# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 6 მარტი 1999 №40 (813) | ფასი 1 ლარი


6

## ჩხუბი გასახდელში

ოთხშაბათი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სამრაცხვინო დღე გახლდათ მადრიდის „რეალის" ისტორიაში

12

## ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი დღე გერმანული იყო





ავსტრალიელ ჭოგით მხტომელ ქალს ემა ჯორჯს კი ოქრო ტრავმამ დააკარგვინა

13

## ხვალ მელბურნი ძალიან ახმაურდება



7 მარტს ავსტრალიის დიდ პრიზზე რბოლით ფორმულა 1-ის 50-ე ჩემპიონატი დაიწყება

# ტორპედომ ნავსი და კოლხეთი გატეხა

*წლეულს „ტორპედომ" იმ წლების ჯავრი იყარა, როცა „კოლხეთს" ვერაფრით სჯობნიდა. ამჯერად კი თასის გათამაშებიდანაც გააძევა და ჩემპიონატშიც ორჯერვე დაჩაგრა. გუშინ ქუთაისელებმა ფოთში 2:1 მოიგეს, მაგრამ, „სინათლეზე" „მერანის" 2:0 მძლეველ „დინამოს", 4 ქულაზე მეტად მაინც ვერ მიუახლოვდნენ*

მამუკა დარჩია ფოთიდან



გუშინ ფოთში. „კოლხეთი" — „ტორპედო": ქუთაისელებმა ასე ნანატრი გამარჯვება ზურაბ იონანიძის (№13) და გიორგი მეგრელაძის გოლებით იზეიმეს

## საქართველოს ჩემპიონატი 17 ტური

4 მარტი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| გურია | 0 |

5 მარტი, პარასკევი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 1 |
| ტორპედო | 2 |
| მერანი | 0 |
| დინამო | 2 |
| ბათუმი | 1 |
| იბერია | 0 |
| ოდიში | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |
| სიონი | 1 |
| დილა | 0 |
| გორდა | 2 |
| სამგურალი | 0 |

6 მარტი, შაბათი

ვიტ ჯორჯია
არსენალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 3 | 0 | 59:9 | 45 |
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 45:15 | 41 |
| ლოკომოტივი | 17 | 7 | 10 | 0 | 20:7 | 31 |
| კოლხეთი | 17 | 8 | 4 | 5 | 36:28 | 28 |
| ბათუმი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:14 | 28 |
| დილა | 17 | 7 | 4 | 6 | 24:22 | 25 |
| მერანი | 17 | 4 | 8 | 5 | 15:19 | 20 |
| სიონი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:33 | 19 |
| იბერია | 17 | 5 | 4 | 8 | 26:32 | 19 |
| გორდა | 17 | 4 | 7 | 6 | 14:21 | 19 |
| არსენალი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:32 | 18 |
| ოდიში | 17 | 5 | 2 | 10 | 12:26 | 17 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 16 | 5 | 3 | 8 | 15:17 | 15 |
| სამგურალი | 17 | 4 | 2 | 11 | 14:35 | 14 |
| თსუ | 17 | 3 | 5 | 9 | 14:23 | 14 |
| გურია | 17 | 3 | 3 | 11 | 18:40 | 12 |

# ნეტავ რა მოხდა დილას ტონგაში?

## ქართველმა მორაგბეებმა შორი გზა მოიარეს. ახლა მთავარია, შინ მშვიდობით დაბრუნდნენ

GRU GEORGIA — TONGA

ფიჯიში ათდღიანი შეკრებისა და ერთი საწვრთნელი შეხვედრის მერე გუშინწინ, ჩვენთან ნაშუადღევზე, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ტონგაში ჩავიდა ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში დასაპირისპირებლად. მასპინძლები გულთბილად დახვედრიან სტუმრებს, ისე, როგორც „მეგობრობის კუნძულის" ბინადართ ეკადრებათ და სტადიონიდან ათი წუთის სავალზე მდებარე სასტუმროში დაუბინავებიათ.

დღევანდელ შაბათ დილას, ამ „სარბიელს" რომ წაიკითხავთ, ტონგა — საქართველო ახალი ჩამთავრებული იქნება. მასპინძლებმა თამაში ჩვენთან გამთენიისას, 6 საათზე, მათთვის დღის 3 საათზე დანიშნეს. ასე რომ, შედეგს მომდევნო „სარბიელშიღა" გაცნობებთ.

მატჩამდელი ამბები კი იხილეთ მეცხრე გვერდზე.

საქართველოს ჩემპიონატი

# 17 ტური

# სადაც სტალინი ახსენოთ...

ფოთი
5 მარტი
15 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 300)

**კოლხეთი 1:2 ტორპედო**

0:1 იონანიძე (19), 1:1 შავგულიძე (26), 1:2 მეგრელაძე (64)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გ. გიორგაძე, ტორჩინავა, მ. ქობულაძე, ჩადუნელი, ამაშუკელი, ღლანიძე, კალანდაძე, ე. გვასალია, შავგულიძე, ტრაპაიძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბულუხია, ბურკვაძე, ებრალიძე, ანჯაფარიძე, კრასოვსკი, ბაჩილავა
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, იმედაძე (კ. მეტრეველი 61), დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 82), მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* სტურუა; თურმანიძე, მაზანიშვილი, მაღლაკელიძე, კ. ჯანაშია
**გაფრთხილება:** ღლანიძე (21), იონანიძე (50), ხვადაგიანი (54), ვაჩიბერაძე (86)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

**მეტოქეთა** დამაინტრიგებელი სატურნირო მდგომარეობაც რომ არა, ორი რიონისპირა ქალაქის მობურთალებს ერთმანეთთან კარგა ხნის პირადი ანგარიში აქვთ და მათი ყოველი გაჯიბრება ისედაც დიდ ინტერესს იწვევს.

„კოლხეთი" — „ტორპედოს" მატჩებში კოლხები უფრო ვარგოდნენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, წინა ცხრა ჩემპიონატში ქუთაისელებს „ფაზისზე" ერთხელაც არ უხეირიათ. ცხრა ჩემპიონატში?! ერთხელაც?!...

მაგრამ, აგერ გატყდა ნავსი. „ტორპედომ", როგორც იქნა, ფოთში იმარჯვა და იქ ჩასულ თავის მრავალმრიცხოვან ქომაგთ საზეიმო განწყობილებაც შეუქმნა. გუშინ 5 მარტი იყო. ეს დღე ჩვენში სტალინის გარდაცვალების დღედაა ცნობილი, მაგრამ ახლა „ტორპედოს" ქომაგებს ჰკითხეთ. 5 მარტი ამიერიდან ჩვენი დღეაო, გაიძახოდნენ გახარებულნი. ერთმა იხუმრა კიდევაც, სადაც სტალინს ახსენებთ, „ტორპედო" არ დაგავიწყდეთო.

მგონი, მოვლენებს გავუსწარით. დროა მთავარზე, თამაშზე ვთქვათ. სტუმრები რომ სერიოზულად იყვნენ განწყობილნი 3 ქულის მოსაპოვებლად, მატჩის საწყის წუთებშივე გამოჩნდა. „ტორპედომ" სამი თავდამსხმელით დაიწყო თამაში. ჯემალ ხერხაძემ წინ დათო ჯანაშია, მეგრელაძე და იმედაძე გაამწესა, იონანიძე კი ოდნავ უკან დახია და ისიც კვეტენაძესთან ერთად მობილურ საიერიშო პლაცდარმს ქმნიდა.

წინასწარ ვიტყვით, ეს იონანიძის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. იგი გონიერი გამთამაშებელიც გახლდათ, მოიერიშეც, დაცვასაც ეხმარებოდა და, საერთოდ, უნაკლოდ ირჯებოდა.

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა მე-6 წუთზე შექმნეს. კოლხყოფილი ახვლედიანი მარჯვენიდან მარჯვედ გაიჭრა ფოთელთა საჯარიმოსკენ, ბურთი ჯანაშიას დაუგორა, ამან კი უფრო მარცხნივ მეგრელაძეზე გაატარა. გიორგიმ თხუთმეტიოდე მეტრიდან სცადა კარში დარტყმა, მაგრამ სუსტი გამოუვიდა და მამუკა გვასალიამ იოლად აუღო. არ გასულა წუთიც და მეგრელაძემ ისევ შეუტია მასპინძელთა დაცვას. იგი კარგ პოზიციაზეც გავიდა, თითქმის შუაგულ საჯარიმოში შეაღწია, თუმცა როგორც წინა ეპიზოდში, მეკარემ ამჯერადაც იყოჩაღა.

კოლხები თავს იოლად არავის დააჩაგვრინებენ. ეს ცნობილი ფაქტია. ჰოდა, მათაც გამოიღეს ხელი. მე-11 წუთზე კალანდაძემ მარჯვენიდან ჩამოწოდებული მაღალი ბურთი კოლხთა ახალწვეულ ტრაპაიძეზე გაატარა, გოჩამაც თითქმის საჯარიმოს ხაზიდან შეუჩერებლივ მორგებულად დაარტყა ცაციათი. ჭანტურია კარის მარცხენა ზედა კუთხეში მიწვდა ბურთს, რითაც აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები.

მერე ისევ „ტორპედოს" ჯერი დადგა, უფრო სწორედ იონანიძის. ქუთაისელმა ჩინებულად ითამაშა. იგი მარცხნიდან შევიდა კოლხთა საჯარიმოში და მოულოდნელად საკმაოდ რთული პოზიციიდან ცაციათი მეკარისგან შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა და „ტორპედოც" დაწინაურდა. ერთ წუთში სტუმრებს ანგარიშის გაორების კარგი შანსი მიეცათ. მეგრელაძემ მარცხენა ფლანგიდან ზუსტად ჩაუწოდა კოლხთა საჯარიმოში მყოფ ჯანაშიას, მას კი ბურთზე ფეხი აუცდა.

ამის შემდეგ ინიციატივას, თუმც მცირე ხნით, მასპინძლები დაეუფლნენ. ეს საკმარისი აღმოჩნდა ანგარიშის გასათანაბრებლად. ღლანიძემ შორიდან, დაახლოებით 30 მეტრიდან, თანაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა ჯარიმა. ჭანტურიამ თითქოს დაიჭირა ბურთი, მაგრამ ბოლომდე ვერ დაიმორჩილა, წინ დაუვარდა, ქუთაისელთა სამეკარეოში დიდი ხორიალა შეიქნა და აქ ყველას კოლხთა ახალგაზრდა ფორვარდმა შავგულიძემ აჯობა, ბურთს ოდნავ წაჰკრა ფეხი და 1:1.

შესვენებამდე დარჩენილ დროში უპირატესობა სტუმრებს ეპყრათ. 38-ე წუთზე მათ რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს. იონანიძემ ჯარიმიდან ზუსტი პასი გაუკეთა იმედაძეს, მან კი ვერ ისარგებლა მომენტით, არცთუ შორი მანძილიდან ბურთს ფეხი ააცილა. მანამდე კალანდაძესაც შეეძლო გატანა.

მეორე ტაიმიც სანახაობრივად საინტერესო გამოდგა, თუმც 15 წუთს საგულისხმო არცერთ კართან არაფერი მომხდარა. ტორპედოელებმა თანდათან იმძლავრეს და დაწინაურდნენ კიდეც.



მამუკა დარჩია ფოთიდან

ვახტანგ ხვადაგიანმა (№24) ლევან შავგულიძეს ამჯერად აჯობა

მეგრელაძემ შეტევის მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, სწრაფად და უშიშრად დაიძრა მასპინძელთა საჯარიმოსკენ და დაახლოებით 18 მეტრიდან ძლიერად დაარტყა. გოლკიპერი გვასალია მარჯვნივ გადახტა ბურთის მიმართულებით, თუმცა რა, ბურთი ქობულაძეს მოხვდა, თავდაპირველი მიმართულება შეიცვალა და კარის იმ კუთხეში აღმოჩნდა, სადაც არავინ არ ელოდა. ოთხ წუთში მეგრელაძეს „დუბლის" გაკეთება შეეძლო. მას იონანიძემ უპასა ზუსტად, მაგრამ კარში დარტყმას სიზუსტე აკლდა.

მასპინძლები მარცხს ვერ ეგუებოდნენ და შტურმზე გადასვლა სცადეს. ტორპედოელთა კარზე დაწოლას 76-ე წუთზე უნდა გამოეღო ნაყოფი, თუმც კოლხებს ბედმა უმუხთლა. ტრაპაიძის ახლოდან დარტყმული ძელმა აისხლიტა. ეს იყო და საპასუხო იერიშში უკვე ქუთაისელებს უნდა გამოეჩინათ თავი. მეტრეველმა, ფაქტობრივად, კოლხთა ცარიელი კარის წინ მიიღო ბურთი, მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ზედმეტი მონდომა, ჯერ მცველის მოტყუება სცადა, მერე მეკარის, ამდენს ვინ აცლიდა... ასპროცენტიანი საგოლე მომენტი დაიკარგა. ისევ მამუკა გვასალიამ იმარჯვა. ორ წუთში მეგრელაძემ შეუჩერებლივ მართლაც რომ ლამაზად, ოსტატურად დაარტყა შორიდან, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს.

ენდშპილი, განსაკუთრებით არბიტრის მიერ დამატებული 4 წუთი, ფოთელთა მძლავრი, მაგრამ ქაოტური შეტევებით აღინიშნა. თუმცა მასპინძლებს ასეთ ვითარებაშიც შეეძლოთ გაყაიმება. ლაცაბიძე წამზომს დასცქეროდა, როდესაც ჭანტურიამ ურთულესი ბურთი აუღო შავგულიძეს. კოლხი ხუთიოდე მეტრიდან ურტყამდა დაუცველ კუთხეში, ქუთაისელთა მეკარემ თავგანწირულ ნახტომში მოიგერია...

# უგოლეადოროდ

ზუგდიდი
5 მარტი
15 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

**ოდიში 0:1 ლოკომოტივი**

0:1 გოდერძიშვილი (77Յ)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია (ჭურღულია 53), კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა, კუტალია (ალანია 57), მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; მებონია, ცაცუა
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ნ. მინდიაშვილი (კ. მელქაძე 78), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი (მარლიშვილი 67), კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, ხორგუაშვილი (ვ. კილასონია 24), დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ბაქრაძე, გილაური
**გაფრთხილება:** მარკოზია (40), აფაქიძე (52), გოგობერიშვილი (57), ტაბაღუა (75) გოდერძიშვილი (78)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); დ. სანაია; (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ვ. ელოევი (ცხინვალი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. დურსუნიში

**თენგიზ ძოჩუა ზუგდიდიდან**

**მოსამზადებელ** პერიოდში საკონტროლო მატჩებში კარგად თამაშმა და სამტრედიიდან წამოღებულმა ქულამ ზუგდიდელ გულშემატკივარს იმედი და მადა გაუღვივა და ამიტომაც თბილისელებს ხალისიანად დაუხვდნენ. „ოდიში" იგივე შემადგენლობით წარსდგა სტუმრების წინაშე, როგორც სამტრედიაში, მხოლოდ თავდამსხმელი ვახანია შეცვალა გოგოხიამ.

„ლოკომოტივი" კი საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობით ჩამოვიდა ზუგდიდში. კოტორაშვილი, ვარლამ კილასონია და მარლიშვილი ტრამვირებულნი იყვნენ, მაგრამ მოედანზე ბოლო ორის გამოჩენა უფრო იძულებითი ნაბიჯი გახლდათ.

მატჩი ორმხრივი დაზვერვით დაიწყო. ვერც ერთი გუნდი ვერ ბედავდა თავქუდმოგლეჯილ შეტევას და ფრთხილად აგორებდნენ ბურთს, მაგრამ უკვე მერვე წუთზე ბურთი კარში აღმოჩნდა. გოდერძიშვილმა მასპინძელთა მეკარეს დაასწრო და თავით გაიტანა, თუმცა თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

თითქოს ამას ელოდაო, „ოდიში" გამოფხიზლდა და შეუტია. პირველივე შეტევა მწვავე გამოდგა. მოედნის სიღრმიდან ზაზა აფაქიძის ზუსტმა, გამჭოლმა გადაცემამ კუტალია გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, მან გოგოხიას გადააწოდა, ხოლო მისი უძლიერესი დარტყმა ჯვარედინს მოხვდა.

მთელი ტაიმის განმავლობაში ორივე გუნდი მაინც დაცვის გამაგრებაზე ფიქრობდა. სოსო ჭედიას შეგირდები უკანა ხაზზე მშვენივრად გამოიყურებოდნენ. ხოლო რკინიგზელთა დაცვა შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და ზუგდიდელები შეტევისას უკეთესად რომ გარჯილიყვნენ, დაისჯებოდნენ კიდეც.

მე-40 წუთზე ხუჯაძის კარგ გარღვევას საინტერესო ფაქტი მოჰყვა. შალვამ კარის მიმართულებით ძლიერად დაარტყა, ნაყოფიას გაუჭირდა ბურთის დამორჩილება და იქვე მარტოდმარტო მყოფ კილასონიას მიუვიდა. ვარლამმაც იმდენი ქნა, სანამ ზუგდიდელთა მცველი არ წამოეპარა, კარში ვერ დაარტყა და ბურთმაც დატოვა მოედნის ფარგლები. აქ კი... გვერდითი მსაჯი კუთხურის ნიშნულისკენ იშვერდა ალამს, რეფერი თავისუფალ დარტყმას ნიშნავდა, თბილისელები კი პენალტს ითხოვდნენ, აქაოდა, ჯავაშვილმა ხელით ითამაშაო...

ეს იყო და ეს. შესვენებამდე გუნდებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

მატჩის განახლების შემდეგ სტუმრებმა უფრო მწვავედ შეუტიეს, მაგრამ რეალური საგოლე მომენტების გამოყენება ვერ შეძლეს. ეტყობა, რკინიგზელები აგრძელებენ პირველ წრეში დაწყებულ უგოლო თამაშების სერიას და ვერც თავდამსხმელებით გუნდის გაძლიერებას უშველია საქმისათვის.

წივწივაძემ 5 მეტრიდან ვერ დაარტყა კარის მიმართულებით. კარში კი არა, მისი თავურით დარტყმული ბურთი, კინაღამ აუტში გადავიდა.

ამის მერე უკვე მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი დომინირებდა. მასპინძლები კაციაშვილისა და ხუჯაძის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და მატჩის დამთავრებამდე ცალ კარში თამაში გაჩაღდა. მხოლოდ ერთხელ გამოეპარათ ოდიშართა კონტრშეტევა და მაშინაც მეკარესთან პირისპირ გასული გოგოხია მცველმა წააქცია. „ოდიში" პენალტს ითხოვდა, მაგრამ...

სტუმრების გამუდმებულ შეტევებს უკვე ვერ უძლებდნენ ზუგდიდელები, შეცდომებმა იმატა და ერთ-ერთ ასეთი ეპიზოდისას მეკარესთან პირისპირ გასული გოდერძიშვილი ჯავაშვილთან ბრძოლისას საჯარიმში წაიქცა. მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც თვით დაზარალებულმა გოლად აქცია.

მოედანზე ვითარება დაიძაბა, რასაც ტრიბუნებზეც მაყურებელთა აღშფოთება მოჰყვა. სათადარიგოთა სკამზე მსხდომი სტუმრებიც წამოიშალნენ და თავზე ქურთუკები წამოიფარეს, აქაოდა, ქვებს გვესვრიანო, რამაც კიდევ უფრო გაალიზიანა გულშემატკივარი...

მატჩის შემდეგ რკინიგზელთა მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე შეფიქრიანებული, მაგრამ გახარებული ჩანდა:

— „ვიცოდით, რომ ზუგდიდელებთან ზუგდიდში თამაში, მიუხედავად იმისა, რომ აუტსაიდერები არიან, ძალიან გაგვიჭირდებოდა. პირველი ათი წუთის გარდა, თამაშით კმაყოფილი ვარ. ისე კი თავდასხმას ვერაფერი მოვუხერხე, ეტყობა, დანავსული ვართ. მსაჯები კი „აულებელი ციხესიმაგრეები" არიან და მათ შესახებ არაფრის თქმა არ მინდა. მთავარია, მოვიგეთ.

ბოლნისი
5 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
2 500 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:0 დილა**

1:0 მოსეშვილი (27)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე (გ. ჩალაძე 65), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, გოგოლაძე, გაგუა, სულთანოვი (დ. ჯაფარიძე 75), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* ხარებაშვილი, დ. სვანიძე, ფ. არჩვაძე, ნ. ჩალაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, ვლ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, შატაკიშვილი, აბალკაცი, ლომიძე, მ. მინდიაშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; კარელიძე, ხიხალაშვილი, ციცქიშვილი, სულთანიშვილი, არუთინიანი, გუდურაშვილი
**გაფრთხილება:** მ. სამხარაძე (38), გაგუა (60), ე. ჯაფარიძე (82)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ი. გოგოლაძე (ბორჯომი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

# მონატრება

**ხვიჩა სანიკიძე ბოლნისიდან**

ფეხბურთს მონატრებული ბოლნისელი ქომაგები მრავლად მოაწყდნენ სტადიონს. თუმცა ტრიბუნები, ძალიანაც რომ მოენდომებინათ, მაინც არ გადაიჭედებოდა უბრალო მიზეზის გამო. ყველაფერს ახლავე აგიხსნით. ვინც ნამყოფია „თემურ სტეფანიაზე", შესვლისთანავე მოჰკრავდა თვალს ტრანსპარანტს წარწერით — „ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველოვ". ლოზუნგი, იცოცხლე, ბევრი მინახავს, მაგრამ მისი შინაარსი ასე პირდაპირ ასახავდეს რეალობას, გუშინ პირველად ვიხილე. ფეხზე იდგა ნახევარი გულშემატკივარი. დასაჯდომი სკამების დიდი ნაწილი ზამთართან ერთად გაპარულა, თანაც, რაოდენ გასაკვირია, ეს სწორედ ის ადგილებია, ტრანსპარანტის ქვემოთ რომ იყო განლაგებული...

„სიონის" გამარჯვებას მონატრებული ქომაგობა მატჩის დაწყებამდე აჟრიამულდა „ჯონი", „ჯონის" ყიჟინით, პირველმა ბურთს ფეხი ჯონი ჯაგიდისმა გაჰკრა და შეხვედრაც შეჩერდა. მოადენზე 12 სიონელი იმყოფებოდა. მთელი სტადიონი ტაშის გრიალით წამოიშალა. „სიონის" ფეხბურთელებმა მხრებზე შეისვეს ჯონი და ისე გაიყვანეს სარბენ ბილიკებამდე. ოცდაერთწლიანი კარიერის შემდეგ ჯაგიდისი ფეხბურთიდან წავიდა... მისი თამაში არაერთხელ მოენატრებათ ბოლნისელ გულშემატკივრებს.

მატჩის დებიუტშიც ვერ ივიწყებდნენ ვეტერან ფეხბურთელს. „ჯონის ხათრით მაინც მოიგეთ ეს თამაში" — ისმოდა ყოველი მხრიდან. მოიგეს კიდეც... უფრო სწორად კი, „დილამ" წააგო. ვერ იყვნენ რაღაც გორელები იშტაზე, ულაზათოდ ირჯებოდნენ. მასპინძლები კი მონდომებულნი დაუხვდნენ სტუმრებს, როგორც შეეძლოთ, ისე ითამაშეს.

პირველი ტაიმი „სიონის" მარცხენაფლანგელებისა იყო. მირზა სამხარაძე და ლავრენტი გაგუა არ ისვენებდნენ. მათ გამთამაშებელი მურმან გოგოლაძეც ეშველებოდა. გაგუამ თავსატეხი გაუჩინა „დილას" მცველებს. მასპინძელთა ყველა შეტევა მისგან იწყებოდა. გორელებიც ხშირად ჯარიმდებოდნენ მის წინააღმდეგ და დაისაჯნენ კიდეც.

27-ე წუთზე გაგუას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო მირზა სამხარაძემ ძლიერად ჩააწოდა. სტუმართა მცველებმა მოიგერიეს. დამატებით გოგოლაძემ დაარტყა და ბურთი, მცველებს რომ მოხვდა, კარიდან სამ მეტრში მდგომ მოსეშვილს მიუგორდა. მანაც არ დააყოვნა და 1:0.

მეორე ნახევარში უფრო გახსნილი ფეხბურთის მოწმენი გავხდით.

56-ე წუთზე გუნდებმა საგოლე მომენტები გაცვალეს. „დილას" მეკარის მიერ უხერხულად მოგერიებული ბურთის დარტყმა მოსეშვილმა დააგვიანა და გორელებმაც სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. „სიონის" კარის დარაჯთან პირისპირ გასულმა მარეხაშვილმა თავზე გადაუგდო მას ბურთი და სანტიმეტრებში აცდინა მიზანს.

მატჩის მიწურულს კი ფეზუაშვილმა სცადა ანგარიშის გათანაბრება და ოსტატურად დაურტყა დალაქიშვილს. ბურთმა ძელს გარედან ჩაუქროლა.

წამოიშალა ბოლნისელი ქომაგობა და კვლავ დააგუგუნა ომახიანად — ჰაერივით საჭირო სამი ქულის შენარჩუნებაში წამოეშველა „სიონს". „სიონმაც" ბოლომდე გაუძლო. საზეიმო განწყობა შეუნარჩუნა „თემურ სტეფანიაზე" მისულთ...

საქართველოს ჩემპიონატი

17 ტური

# ბარი და ფოცხი სინათლეზე

## დაუძახეთ სასწრაფოს!

თბილისი
5 მარტი
15.30 საათი
სინათლე
2 000 (ტევადობა 2 000)

**მერანი 0:2 დინამო**

0:1 ჩომახიძე (37), 0:2 წიტაიშვილი (54)
მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი (თოლორდავა 66), ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, დანელია (დევიძე 44), ჩუხუა, ხუციშვილი, ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; დ. ჭელიძე, ჩანადირი, ცქიფურიშვილი
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, გუჩუა, ხიზანეიშვილი, ჩომახიძე, ქებაძე, ალექსიძე, აშვეთია, წიტაიშვილი (კვარაცხელია 85)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; რუხაძე, ა. სახვაძე, პ. ჯინჭარაძე
გაფრთხილება: წიტაიშვილი (4), ჯიშკარიანი (24), დავითნიძე (61), ალექსიძე (86)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. მაისურაძე, ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

მამუკა კვანტალიანი

„დინამომ" მორიგი გამარჯვება მიითვალა. კარგი თამაში იყო. სანახაობრივად დიდი ვერაფერი, მაგრამ დაძაბულობა და სიმწვავე არ მოჰკლებია. საბოლოოდ გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა. ჩვენში ხომ ყველა დანატრებულია დაძაბულ თამაშებს.

არადა, შეიძლებოდა, მატჩი ჩაშლილიყო. აკი ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო კიდეც შეხვედრა. მიზეზი კი თანაბრად უნდა გაინაწილონ ფეხბურთის ფედერაციამ და გუშინდელი მატჩის მასპინძლებმა.

ჩემპიონატის დაწყების წინ ფედერაცია ვალდებულია, შესაბამისი კომისია მიავლინოს ამა თუ იმ სტადიონზე და მისი ვარგისიანობა შეამოწმოს. ძველ ფედერაციაში იყო მსგავსი სამსახური და „სანათლის" ცოდვაც მათ კისერზეა. ახალმა ფედერაციამ თუ იზრუნა სტადიონების ავანჩავანზე? რატომღაც არა გვგონია. მეორე წრე 28 თებერვალს დაიწყო, მანამდე „მერანმა" ერთი საშინაო მატჩიც ითამაშა — სათასო მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრა „არსენალთან".

მაშინ არავის მოსვლია აზრად, ავჭალის სტადიონზე კარების სიმაღლე შეემოწმებინა. გუშინ კი ანატოლი მილჩენკომ საზომი მოიმარჯვა და აღმოჩნდა, რომ კართა ძელები ნორმაზე რვა სანტიმეტრით დაბალი ყოფილა.

გაუჩნდა საქმე „სინათლის" სტადიონის მომსახურე პერსონალს. საქმეში ბარი და ფოცხიც ჩაერია და ძელების სიმაღლემაც სასურველ ზომას მიაღწია.

თამაში ისევ არ იწყებოდა. მილჩენკომ — სტადიონზე სასწრაფო დახმარების მანქანა არ არის და მატჩიც მანამდე არ დაიწყება, სანამ პრობლემას არ მოაგვარებთო. ამ გაწამაწიაში 25 წუთიც გაილია და „დინამოს" სრული უფლება ჰქონდა, უშრომლად სამი ქულა მოეპოვებინა. აკი უთხრა კიდეც მურთაზ ხურცილავას ანატოლი მილჩენკომ, თქვენი ნებაა, როგორც იტყვით, ისე იქნებაო.

სტუმრებმა სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს პატივი მიაგეს და სათამაშოდ უყოყმანოდ გავიდნენ.

ამით „მერანი" დიდი ანგარიშით წაგებას გადაურჩა და, ალბათ, ფულად ჯარიმასაც, მაგრამ ავჭალის სტადიონს რა ეშველება, საკითხავია. პირველ ტაიმში მასპინძელ ხუციშვილს ორმოში ფეხი ჩაუვარდა და კინაღამ მოიტეხა. კიდევ კარგი, ჟანგიანი თუნუქის საფარი იმაზე გამძლე გამოდგა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა, თორემ დაგვიანებით მოსულ სასწრაფო დახმარების მედპერსონალს საქმე ნაღდად გამოუჩნდებოდა.

„სინათლის" სტადიონზე მისულთ თვალში ერთი ულიმღამო სიახლეც მოხვდებოდათ: ტრიბუნის მოპირდაპირე ღობეზე მასპინძლებს წითელი ზეწრები გამოეფინათ. ასეთი რეკლამა არც „კოკა-კოლას" ეკადრება, არც „სინათლეს" და არც ფედერაციას.



ეს წამია, დინამოელმა კობა წიტაიშვილმა მასპინძელთა საჩუქარი შეირგო და ლომაიას კარში ბურთი აუღელვებლად შეაგორა

არა, საცოდაობა იქნებოდა ამ თამაშის ჩაშლა. კანონის მიხედვით კი ეკუთვნოდა, მაგრამ ავჭალელები ვერ ნახავდნენ საყვარელი გუნდის თავდადებას. „მერანმა" გულშემატკივარს შესაძლებლობების მაქსიმუმი უჩვენა, თავს ზემოთ ძალაც არ იყო, „დინამომ" გუშინაც იძალა. ჩემპიონები ახლა უფრო ძლიერები არიან, ვიდრე შარშან.

არადა, მასპინძლებმა თავიდან ყინჩად დაიწყეს. დაცვაშიც საიმედოდ მოქმედებდნენ და შეტევაშიც მონდომებით ილვწოდნენ. სტუმრებს უსწორმასწორო მინდორზე თამაშის გაშლა უჭირდათ, მაგრამ გუშინ თამაშობდა შოთა ჩომახიძე, ჩინებულ ფორმაში მყოფი უშიშარი ნახევარმცველი, მინდორზე არავის და არაფერს რომ არ მორიდებია. მხოლოდ ის გაუმკლავდა მერანელ დავითნიძეს, რომელიც ყველას უსწორდებოდა მინდორზე. 37-ე წუთზე სწორედ მას მოჰპარა ბურთი კუთხურის ალამთან, საჯარიმოში შეიჭრა და აშვეთიას პასი მიაწოდა. მიხომ მარჯვენათი ვერ დაარტყა, შემობრუნდა და საპირისპირო მიმართულებით რატი ალექსიძეს გაატანა. კაპიტანმა ბურთი პირით ხაზამდე ჩაიტანა და საჯარიმოში ჩააწოდა. ჩომახიძემ კი შეუჩერებლად დაარტყა. ბურთი მიწიდან ძელს მოხვდა და ანგარიშიც გაიხსნა.

მეორე ტაიმი ახალგანახლებული იყო, როცა „მერანმა" დაცვაში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. დევიძემ ლომაიასგან მიღებული ბურთი რატომღაც ცენტრში შეაბრუნა, იქ კი წიტაიშვილი ასპინძელაშვილმა ვერ შეაჩერა და კობამაც ლომაია და „მერანი" დატოვა გაწბილებული.

ამის შემდეგ „დინამოს" გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. საკითხავი ერთიღა იყო, გაიტანდა თუ არა გოლს ბოლომდე მებრძოლი „მერანი". კი ჰქონდათ ორი საგოლე მომენტი ავჭალელებს, მაგრამ ჯერ დავითნიძის თავურის შემდეგ მოიგერია გვარამაძემ რთული ბურთი, მერე ჩუხუას დარტყმული გადააგდო კუთხურზე.

რატომ მოიგო „დინამომ"? იმიტომ რომ ჩემპიონთა ნახევარდაცვა და თავდასხმა სჯობდა „მერანისას". მასპინძლების შუა ხაზი პარალიზებული გახლდათ. ადრინდელივით ნაყოფიერად ვერ გაისარჯნენ ქორიძე და დავითაშვილი. დანელია პირველ ტაიმშივე გამოვიდა მწყობრიდან, მისი ბედი მეორე ტაიმში ალადაშვილმაც გაიზიარა.

სათანადო დონეზე ვერ იდგა მასპინძელთა დაცვაც. უნდა სცოდნოდათ, რომ რამდენიმე შეცოდებას „დინამო" არ აპატიებდათ. დაცვაში ვერც ჩემპიონები იყვნენ მთლად უშეცდომოდ, მაგრამ ავჭალელებს აუვიდნენ.

საბოლოოდ „დინამომ" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, „მერანმა" კი, ხუთეულში მოხვედრას რომ ლამობს, საქმე ერთიორად გაირთულა.

# ფეხბურთი სამ დღეში იქნება

ბათუმი
5 მარტი
15 საათი
დინამო
3 500 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 1:0 იბერია**

1:0 რუსია (52)
ივანე მახარაძემ ვერ გაიტანა პენალტი (52, მეკარე)
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, მაჭუტაძე, კანტიძე (გადელია 70), რუსია (რომანაძე 78)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; მაქაცარია, ქუტიძე, ვერემჩუკი
იბერია: გ. დოლიძე, მიქელთაძე, ქველაძე, გეგეშიძე, თოდუა, ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი 65), ს. გიგიაძე, ხუჭუა, მუმლაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ზ. ფხაკაძე 80)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; მესიაჩენკო, გ. ნიკოლაიშვილი, ნ. გიორგაძე, ცომაია
გაფრთხილება: ქველაძე (16), ი. მახარაძე (28), ლურსმანაშვილი (59), თოდუა (43)
მსაჯები: ს. შალამბერიძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

ბათუმში საგაზაფხულო სეზონი, წესით, 24 თებერვალს, სათასო მატჩით უნდა განახლებულიყო, მაგრამ აჭარაში დატრიალებულმა სტიქიამ „დინამოს" სტადიონი დატბორა და ასეთ მინდორზე, აბა, რა ფეხბურთზე იყო საუბარი. სტადიონის თავკაცებს და მომუშავე პერსონალს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ერთ დროს ხასხასა მწვანე საფარის მოსარჯულებლად, რომელიც კარგა გვარიანად დააზიანა მოვარდნილმა წყალმა. გუშინდელ მატჩს კი სტადიონი შეძლებისდაგვარად მზად დაუხვდა, რაც სწორედ ზემოთქმული ხალხის გარჯის შედეგი გახლდათ.

წლევანდელი სეზონის დასაწყისი „ბათუმს" აშკარად ჩაუვარდა. პირველ შეხვედრაში შინ „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხს სამტრედიაში მეორე მოჰყვა. მაშინ „იბერიამ" ბელგრადული პაექრობისგან გადაღლილ ზღვისპირელებს მწარე გაკვეთილი ჩაუტარა. ჰოდა, აჭარლებს რევანშის აღების საბაბი ჰქონდათ, თუმცა რადგან ოთხ დღეში პრინციპული სათასო მატჩი ელით „ლოკომოტივთან", იმერლებთან მთელი ძალით არ გაისარჯნენ. ძალები კი დაზოგეს, მაგრამ ზედმეტად უგერგილოდ მოქმედებდნენ. ამას მეტოქის სუსტი თამაშიც დაემატა და მატჩი მთლიანობაში აუტანელი საცქერი გახდა.

ეროვნულ ჩემპიონატში უფერული და უინტერესო თამაშების მეტი რა გვინახავს, მაგრამ ასეთი? თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ორივე გუნდი მოვალეობას იხდიდა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა, როცა სტუმარ-მასპინძელს ბურთის აღმა-დაღმა გორების გარდა არაფერი გაუკეთებია და არც სურდა, რაიმე ღირებული შეექმნა.

წარმოგიდგენიათ, მთელ ტაიმში ორად ორი დამიზნებული დარტყმა განხორციელდა. პირველად ეს „სასწაული" მე-40 წუთზე მოხდა, როცა სიჭინავამ შორიდან შეაწუხა (თუ შეიძლება ასე ითქვას) გუბაზ დოლიძე, ხოლო ერთ წუთში ვალერიან გეგეშიძის შეცდომას მინდაძის ცაციათი სუსტად დარტყმული მოჰყვა, რომელიც იბერიელთა მეკარის იოლი ლუკმა შეიქნა.

მასპინძელთა შორის კანტიძე და სიჭინავა თუ ცდილობდნენ თამაშის დალაგებას, მაგრამ ინერტული თანაგუნდელების შემხედვარეთ არაფერი გამოუვიდათ. იმერელთაგან ერთადერთი ივეჩიანი აქტიურობდა, რომელიც, ბუნებრივია, რიცხვმრავალ მცველებთან ვერას გახდა.

სრულიად შესაძლებელი იყო, მეორე ტაიმს უგოლოდ ჩაევლო, თუმცა თამაშის განახლებიდან 7 წუთში გოლი მაინც გავიდა. საჯარიმოში შეჭრილ მაჭუტაძეს (რომელიც ერთობ უსუსურად გამოიყურებოდა) ქველაძემ მაისურზე დაჰქაჩა და სოსო შალამბერიძემ უმალ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. პენალტი ივანე მახარაძეს დოლიძემ ლამაზ ნახტომში კი აულო, მაგრამ მისი გარჯა ამაო გამოდგა. დამატებაზე „ჩაძინებულ" მცველებს რუსიამ დაასწრო და სამტრედიელთა კარი მშვიდად დალაშქრა.

ამის შემდეგ თამაში ოდნავ გამოცოცხლდა, თუმცა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ერთი ეს იყო, მატჩის ბოლო წუთებში „ბათუმი" გოლს გადაურჩა, როცა გიგიაძის მიერ მარცხენა კუთხიდან დარტყმული ბურთი ტოგონიძის ხელიდან პაპიძის ფეხს მოხვდა და კინაღამ კარში შეგორდა. აი, მსაჯის დამატებულ წუთზე სტუმრები პენალტს ითხოვდნენ — იგივე გიგიაძე მალხაზ მახარაძესთან ბრძოლაში წაიქცა, თუმცა ეს ეპიზოდი შალამბერიძემ ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა.

მოკლედ, „ბათუმმა" გაჭირვებით მოიგო, მაგრამ სამი ქულა მაინც სამი ქულაა. აი, მთავარი მატჩი გუნდს სამ დღეში ელის და მაშინ, ალბათ, ზღვისპირელებს სულ სხვა თამაშის ჩვენება მართებთ, რადგან „ლოკომოტივი" „იბერია" ნამდვილად არ გახლავთ. ისე კი, იმედია, მაყურებელი ნამდვილ ფეხბურთს იხილავს. გუშინ კი მართლაც ანტიფეხბურთი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 17 ტური

# როგორ იწრთობა გორდა

რუსთავი
5 მარტი
15 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 2:0 სამგურალი**

1:0 მელაძე (72), 2:0 მიშველაძე (73)
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. სახვაძე (ბერიძე 35), ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ლაბაძე 88), ლ. ალადაშვილი (კ. ჩიგოშვილი 87), მიშველიძე
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე; კალმახელიძე, ტარტარაშვილი, მენთეშაშვილი
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, ჯავახაძე (ფრანგიშვილი 47), ბურნაძე, ლ. ქობულაძე, სუხიაშვილი, ძაგნიძე (ახალაძე 74), მახვილაძე, გ. კილასონია, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 75), გ. შენგელია
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; კობერიძე, ლ. გიორგაძე
**გაფრთხილება:** ბექაური (18), კილასონია (26), მელაძე (28), ბურნაძე (28), ზირაქაძე (50), მახვილაძე (66), შენგელია (71)
**გაძევება:** ბურნაძე (46)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი); თ. ზანდარაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

კობა ინასარიძე რუსთავიდან

**გუშინდელი** წაგების შემდეგ წყალტუბოს „სამგურალმა“ მეტად გაირთულა სატურნირო მდგომარეობა. ჯერ თბილისის „მერანთან“ შინაურმა მარცხმა, ახლა კი რუსთავში დაკარგულმა სამმა ქულამ იმერელთა ხელმძღვანელობას ბევრი საფიქრალი გაუჩინა — როგორ შევინარჩუნოთ ადგილი პირველ ჯგუფში? სწორედ ეს კითხვა ადარდებთ დღესდღეობით წყალტუბოელებს. პრობლემა კი მით უფრო რთულდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სამგურალს“ მეორე წრის დარჩენილ მატჩებში უშუალო კონკურენტებთან სტუმრობა უწევს.

რუსთაველებს შედარებით უკეთესად აქვთ საქმე, იმერლებთან სამი ქულა და ცხრილის უმეტეს მეზობელთა მასპინძლობა მათთვის კარგი მომავლის საწინდარია. „გორდას“ პერსპექტიული ფეხბურთელებიც იძლევიან ამის იმედს. „სამგურალთან“ მატჩზე დამსწრენიც, ალბათ, ამასვე იფიქრებდნენ. რუსთაველებს მცირე სათამაშო პირობებიც რომ შეუქმნან, უეჭველია, ისინი ბევრ გუნდს გაამწარებენ. არა ხელფასი, არა კვება, არა პრემია, არანაირი მხარდაჭერა... კიდევ კარგი, ამ ბიჭებს ზოგიერთების ხათრი აქვთ, თორემ ვინ იცის, ეგებ თავი დღემდეც ვერ მოეტანათ.

მონდომების, თავდადებისა და გამარჯვებისკენ სწრაფვის მაგალითი კი რუსთაველებმა გუშინ გვიჩვენეს. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში „გორდამ“ ისეთი გოლები გაიტანა, თქვენგან მოწონებული. თანაც წუთის ჩაგდებით. ჯერ, რუსთაველთაგან ყველაზე აქტიურ კიტეიშვილს დაუფასა გარჯა მელაძემ და ბურთს ჰაერში ისე შეაგება მარჯვენა, რომ ხაჩირაშვილმა მხოლოდ თვალი გააყოლა მისგან შორეულ კუთხეში გაგზავნილ ბურთს; წუთის მერე კი ისევ მარჯვენა ფლანგიდან, ოღონდ ამჯერად ზირაქაძის ჩაწოდებული, მიშველაძემ ლამაზი თავურით მოათავსა კარში და ანგარიში გააორა. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ წყალტუბოელთა მწვრთნელი, გაიოზ დარსაძე ზედიზედ ცვლიდა ფეხბურთელებს, სხვაობა აღარ შემცირებულა. რუსთაველებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, აქტივს სამი ქულაც კი მიუმატეს, მაგრამ...

ვაი, რომ ისევ მსაჯობაზე უნდა ითქვას. ფანიაშვილს წყალტუბოელი ბურნაძე რომ არ გაეძევებინა მოედნიდან, ან კიდევ წესების უარესად დამრღვევი, შფოთის ამტეხი სიდამონიძე არ დაენდო, მატჩი როგორ დამთავრდებოდა, არავინ უწყის. ღმერთმანი, თუ ბურნაძე წმინდა საფეხბურთო ეპიზოდში მსაჯმა ულმობლად დასაჯა ჩხუბისთავი და მუშტის მქნეველიც ხომ უნდა მიებრძანებინა მინდვრი- დან?

ამ მატჩის ვიდეოფირს, ალბათ, კომპეტენტური პირები ნახავენ და მათ უკეთ იციან, მაგრამ რა ვქნათ, ჟურნალისტური თვალით რომ ასე ჩანდა? ფანიაშვილმა, ეტყობა, მასპინძელი ფეხბურთელის მუშტი ვერ დაინახა და წითელი ბარათისგან ამიტომაც შეიკავა თავი, მაგრამ თანამსაჯი რისთვის არის? მხოლოდ თამაშგარეების და აუტების დასაფიქსირებლად? ხომ შეიძლებოდა კითხვა-რა მოხდა?

რატომ გააძევა მსაჯმა ბურნაძე? თითქმის ყველა ამას კითხულობდა მატჩის შემდეგ. ორი გაფრთხილების გამო? წესით და რიგით ასეც არის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ორი ყვითელიდან ყოფილ გორდელს პირველი უსამართლოდ აუფრიალეს.

და ერთიც, კითხვა ფეხბურთის ფედერაციას: დამტკიცებით ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ გუშინ მსაჯი სერგო კვარაცხელია უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რუსთავში თანამსაჯები სწორედ კვარაცხელიას ბრიგადიდან იყვნენ — გოჩა ცირდავა და კახა მესხი. თავად სერგო კვარაცხელია კი, სრულიად ჯანმრთელი, „გორდა“ — „სამგურალის“ მატჩის მიმდინარეობისას „სინათლეზე“ უსაქმოდ ყოფილა. თუ ასეა, გვიპასხეთ — რატომ შეიცვალა კვარაცხელია ფანიაშვილით?



გიორგი მიშველიძემ საჰაერო დუელი ლევან ქობულაძეს მოუგო



ალექსანდრე იაშვილი

# იაშვილი ნაკრებს კარგა ხანს ვერ დაეხმარება

**სადაცაა,** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი განახლდება. როგორც იცით, 27 მარტს საქართველოს ნაკრები თბილისში სლოვენიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს, მანამდე კი საკონტროლო მატჩს გამართავს უკრაინელებთან. ამ თამაშების წინ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევს პრობლემები მოუმრავლდა. ალექსანდრე იაშვილი და შოთა არველაძე გუნდის ძირითად თავდამსხმელებად ითვლებიან, მაგრამ სლოვენიელებთან (და შესაბამისად, უკრაინელებთანაც) ნაკრებს, ალბათ, ვერც ერთი ვერ დაეხმარება. მიზეზი ტრავმებია, რომლებმაც ბოლო დროს ორივე ფეხბურთელი დატანჯა. ასევე გაურკვეველია ციურიხის „გრასჰოპერის“ ფორვარდის მიხეილ ყაველაშვილის ბედიც. იაშვილისა და არველაძის მსგავსად, იგიც დაშავებულია, თუმცა მსუბუქად და დღე-დღეზე თამაშსაც დაიწყებს. როგორ ფორმაში იქნება მიშა თვის ბოლოსთვის, აი, ეს სხვა საქმეა. შოთა კი ამბობს, ცალფეხაც ჩამოვალ და ვითამაშებო, მაგრამ საეჭვოა, ტრავმირებულმა ეს შეძლოს. უფრო რთულად არის იაშვილის საქმე. გუშინ ფრაიბურგში მას იმ იმედით შევეხმიანეთ, იქნებ ჩვენთვის მოულოდნელი სასიამოვნო ამბავი გვამცნოსო, მაგრამ...

— უკეთესად ვარ, თუმცა ამ სეზონში ჩემი თამაში გამორიცხულია. დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც ნაკრებს დავეხმარები და ვერც „ფრაიბურგს“. მართალია, აღდგენითი ვარჯიშები უკვე დავიწყე, მაგრამ მინდორზე გასვლას, სამწუხაროდ, ივნისამდე ვერ შევძლებ.

**— უშენოდ „ფრაიბურგის“ თავდასხმა აშკარად ვერ გამოიყურება სათანადოდ...**

— მეორე წრეში ადრინდელთან შედარებით ცოტა კი გაგვირთულდა მდგომარეობა, მაგრამ არა მგონია, ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდეს.

**— მეორე წრის განახლებამდე გუნდის მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ამბობდა, ცქიტიშვილის და კობიაშვილის დიდი იმედი მაქვსო. თუ ასეა, რატომ არ ათამაშებს ცქიტიშვილს ძირითად შემადგენლობაში?**

— აღსანიშნავია, რომ ლევანი, მცირე ხანში ბიჭებს ძალიან კარგად შეეწყო. ფინკეს მართლაც ეიმედება მისი. ძირითადში კი იმიტომ არ აყენებს, რომ უნდა, ლევანი ჯერ გუნდს და ბუნდესლიგას შეეგუოს. პირველ მატჩში, გეცოდინება, ბოლოს შეიყვანა მინდორზე. გასულ შაბათს „ვოლფსბურგთან“ უფრო დიდხანს ათამაშა. ლევანმაც ძალიან ძლიერად ჩაატარა ის შეხვედრა. სწორედ ამის შემდეგ თქვა ფინკემ, დროა, ძირითადშიც ვანდო ადგილიო.

**— სხვა სიახლე ხომ არ არის გუნდში?**

— ჯერჯერობით არა. მიზანი კვლავაც პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და იმედია, ბიჭები ამას უჩემოდაც იოლად მოახერხებენ.

ვანო ოქროპირიძე

# ფოცხვერიას და ცვეიბას ათწუთიანი დუელი

**„სარბიელის“** მკითხველებს ხშირად გაუწყებდით მიხეილ ფოცხვერიას „შახტიორის“ კვიპროსული შეკრების შესახებ. უკრაინელებმა გუშინ დაამთავრეს სამეორეწრეო მზადება და დონეცკში გაბრუნდნენ. ფოცხვერიას კლუბმა ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე დაგეგმილი ექვსივე შეხვედრა გამართა.

იარემჩენკოს შეგირდებმა შემდეგი მეტოქეები დაამარცხეს — „ფლორა“ (ესტონეთი) 2:1, „როტორი“ (რუსეთი) 1:0, „ოლიმპიაკოსი“ (კვიპროსი) 7:0, „ვორსკლა“ (უკრაინა) 1:0. 0:2 დათმეს მატჩი კალინინგრადის „ბალტიკასთან“ (რუსეთი).

ბოლო შეხვედრაში კი დონეცკელებმა რუსეთის უმაღლესი დივიზიონის ბინადარ ელიტის „ურალანთან“ ფრედ 1:1 ითამაშეს. გოლი დანჩენკომ გაიტანა. „შახტიორის“ თავდამსხმელთა შორის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად რომ დიდი კონკურენციაა, არც ეს ინფორმაციაა უცხო „სარბიელის“ მკითხველთათვის. კვიპროსზეც ყოველივე თვალნათლივ წარმოჩინდა. მიხეილ ფოცხვერიასაც შეცვლებზე უწევდა თამაში და ორბუს, ვორობეის, დანჩენკოს, ტრანოვისა და შტოლცერსთან ჭიდილში ცდილობდა თავისი სიძლიერის დამტკიცებას. „ურალანის“ წინააღმდეგ ფოცხვერია მთელი 90 წუთის განმავლობაში ირჯებოდა მოედანზე, რაც კვიპროსულ ტურნეში პირველად მოხდა. იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ „შახტიორის“ თავკაცი ვალერი იარემჩენკო უკრაინის ჩემპიონატის მატჩებშიც მისცემს ჩვენებურს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალებას.

„ურალანთან“ შეხვედრაში ქართული ფეხბურთის გულშემატკივართათვის ერთი საყურადღებო მცირე ხნიანი დუელი დაფიქსირდა. ურალანის გუნდის შემადგენლობაში ბოლო ათი წუთი ითამაშა აზრიკ ცვეიბამ.

შეგახსენებთ, რომ აზრიკ ცვეიბა სოხუმის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. იგი ერთ დროს თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა. შემდგომი კარიერა კი ასე გააგრძელა — კიევის „დინამო“, ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზი“, იაპონიის ჯეი ლიგა, ვლადიკავკაზის „ალანია“. 32 წლის მცველმა დსთ-ს და რუსეთის ნაკრების მაისურებითაც მოასწრო თამაში.

მწვრთნელები და სპეციალისტები დონეცკელების მომზადებით აშკარად კმაყოფილი არიან და თამამად აცხადებენ, მარად ჩემპიონ კიევის „დინამოს“ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდაო. ამ ორ გუნდს შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა.

ფოცხვერიას „შახტიორი“ სეზონს 7 მარტს განაახლებს და თანაქალაქელ „მეტალურგს“ დაუპირისპირდება.

ხვიჩა სანიძიძე



მიხეილ ფოცხვერია

# ვაჰ, დრონი, დრონი...

ერთ დროს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩემპიონატს ჰგავდა...

ერთ დროს ქართული საკლუბო ფეხბურთიც ჰგავდა ფეხბურთს...

ერთ დროს ჩვენს მრავალტანჯულ ეროვნულში ხუთი-ექვსი თანაბარი სიძლიერის გუნდი გამოდიოდა და არც მარტო „დინამო“ ფიქრობდა ჩემპიონობაზე.

ეს ის დროა, როცა გიორგი ჩიხრაძე სოხუმის „ცხუმის“ ფეხბურთელი გახლდათ. თვითონაც და „ცხუმიც“ ღირსეული თამაშით ირჩეოდნენ და არაერთი ლამაზი წუთებიც უჩუქებიათ გულშემატკივრისთვის.

მერე იდინა დრომ და გიორგი ჩიხრაძე დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელი გახდა. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, მერე და მერე ვალერი იარემჩენკოს ხუშტურებმა თავისი ქნეს და მიხეილ ფოცხვერიასი არ იყოს, ჩიხრაძესაც აეწეწა დონეცკური საქმეები.

ადგა ჩიხრაძე და თბილისის „დინამოს“ მოაშურა „შახტიორიდან“ განათხოვრებულის რანგში. მარადი ჩემპიონის რიგებში ერთსეზონიანი დაყოვნების შემდეგ გიორგი ჩიხრაძე ჩინეთს ესტუმრა და ახლა იქ ჩაუშვა ღუზა.

თუმცა მცირე ხნით. გარკვეული დროის მერე გიორგი ჩიხრაძე ისევ საქართველოს დაუბრუნდა.

ამჟამად საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი დილმის ბაზაზეა და ინდივიდუალურად ემზადება. ვნახოთ, ეგებ გიორგისაც გაუღიმოს ბედმა და ახალი ნავსაყუდელი იშოვოს. ყველაფერი დროზე არ ჰკიდია?

კონსტანტინე გოგიშვილი

# ცქიტიშვილის დებიუტი დროებით გადაიდო

**როგორც** ჩანს, ქართველი ნახევარმცველის ლევან ცქიტიშვილის დებიუტი ძირითად შემადგენლობაში კიდევ ერთი კვირით გადაიდო. დღეს, ბუნდესლიგის ჩემპიონატის ოცდამეერთე ტურში, „ფრაიბურგს“ უძნელესი მატჩი ელის. ფოლკერ ფინკეს გუნდი მიუნხენს „ბაიერნთან“ სათამაშოდ ლევანის გარეშე ეწვევა. ცქიტიშვილი ამ შეხვედრაში მონაწილეობას ავადმყოფობის გამო ვერ მიიღებს. არადა, მოსალოდნელი იყო, რომ ფინკე საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატს ძირითადშივე დააყენებდა. შეგახსენებთ, ცქიტიშვილმა აქამდე ბუნდესლიგაში სულ ორი მატჩი ჩაატარა და ორჯერვე შეცვლაზე შევიდა. „ლევერკუზენთან“ მან სულ რამდენიმე წუთი დაჰყო მინდორზე, „ვოლფსბურგთან“ კი ფინკემ 63-ე წუთზე ჩართო თამაშში. აღსანიშნავია, რომ „ფრაიბურგს“ დღევანდელ მატჩში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლება. იაშვილის ტრავმაზე არაერთხელ გვითქვამს, ასევე დაშავებულნი არიან: მიულერი და კორელი, ხოლო დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ მალელი დიარა და ტუნისელი ბაია. დისკვალიფიკაციამდე ერთი ყვითელი ბარათი უკლია (გერმანიაში ოთხი გაფრთხილების შემდეგ ტოვებენ თამაშს) ლევან კობიაშვილს. აღსანიშნავია, რომ კობიაშვილის დებიუტი ბუნდესლიგაში სწორედ „ბაიერნთან“ პირველი წრის მატჩში შედგა, მაშინ „ფრაიბურგი“ საკუთარ მინდორზე 0:2 დამარცხდა.

ვანო ოქროპირიძე

UEFA Cup Winners' Cup

# ზაზას გოლები და ფავორიტები

## თასების თასის პირველი მატჩების მიმოხილვა



REUTERS მოსკოვიდან

ლოკომოტივი — მაკაბი 3:0. ზაზა ჯანაშია იმ დღეს ვერავინ შეაჩერა

### ლოკომოტივი 3:0 მაკაბი

1:0, 2:0, 3:0 ჯანაშია (47, 77, 89)

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, არიფულინი (ჩერევჩენკო 36), დროზდოვი, სარქისიანი (ხარლაჩოვი 60), სოლომატინი (ლავრიკი 43), ჩუგაინოვი, სმერტინი, გურენკო, ჯანაშია, ლოსკოვი, ბულიკინი

მაკაბი: დავიდოვიჩი, ა. ჰარაზი, ბენადო, კეისი, ჰრომადკო (დურო 62), ნაგარი, ბენაიუნი (სილვასი 85), ზანო, რ. ჰარაზი (პატკა 76), მელამედი, ბრუჟეკი

მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ჰაიფას „მაკაბის“ დაპირისპირების ბედი ქართველმა ფეხბურთელმა, ზაზა ჯანაშიამ გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივი“, გასულ სეზონში, ამავე შეჯიბრების ნახევარფინალისტი გახლდათ, სადაც გერმანულმა „შტუტგარტმა“ დაამარცხა. რაც შეეხებათ ჰაიფელებს, მათ პირველად მიაღწიეს ევროშეჯიბრების საგაზაფხულო ეტაპს. მეტიც, „მაკაბი“ გახლავთ ისრაელის პირველი გუნდი, რომელმაც მეოთხედფინალში თამაში შეძლო. და კიდევ, მან, მიმდინარე გათამაშების საწყის ეტაპზე, არც მეტი, არც ნაკლები, „პარი სენ ჟერმენი“ დაამარცხა, მაგრამ ჯანაშიას სამი დარტყმის წინააღმდეგ ვერაფერი მოახერხა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველი თავდამსხმელი ხუთი გოლით შეჯიბრების ბომბარდირთა ლიდერია.

ზაზას გოლებისგან განსაკუთრებით საინტერესო და კურიოზული პირველი გამოდგა. მან დაახლოებით 35 მეტრიდან დაარტყა ჰაიფელთა კარის მიმართულებით. ბურთს გოლკიპერი ნირ დავიდოვიჩი დაეუფლა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ პირველი და მაცდური შთაბეჭდილება იყო, სინამდვილეში მას ბურთი ვერ შეუმაგრებია, რაც, ალბათ, მოსკოვურად ტალახიანი მოედნის ბრალი გახლდათ.

მოსკოველთა გუნდის ფორვარდმა მეორე გოლი მეორე ტაიმის შუაში შეაგდო. მან ჯერ მკერდით მიიღო ბურთი, მერე დაიგდო და მესამედ გატანაზე დაიწყო ფიქრი.

ჯანაშიას მესამე გოლს კი სულ მალე საფინალო სასტვენი მოჰყვა. თავიდან მის დარყმას დავიდოვიჩი დაუხვდა, დამატებულს კი ველარავინ.

### პანიონიოსი 0:4 ლაციო

0:1 სტანკოვიჩი (3), 0:2 გაზისი (14სკ), 0:3 სტანკოვიჩი (60), 0:4 ნედვედი (63)

პანიონისი: სტრაკოსია, გაზისი, იოანიდისი, ბოუგასი, ბაკერუდი, ჰეილოკი, საპოუნტზისი, რობერტსი, ზოკოპულოსი, კარასავიდისი (რობინსი 63), ტისდალი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (ლომბარდი 27), მიჰაილოვიჩი (ბარონიო 65), ნესტა, პანკარო, ნედვედი, ლომბარდო, სტანკოვიჩი, კოუტო, სალასი, ვიერი

ჩილელი მარსელო სალასის მიერ შთაგონებულმა „ლაციომ“ მეოთხედფინალის პირველსავე შეხვედრაში დაიბევა ნახევარფინალის საგზური: „პანიონიოსს“ 4:0 მოუგო.

იტალიელებმა, ფაქტობრივად, პირველივე ნამდვილი შეტევით მიაღწიეს საწადელს. თამაში სულ ახალდაწყებული იყო, როდესაც დეიან სტანკოვიჩმა დაახლოებით შვიდი მეტრიდან შეაგდო ბურთი ბერძენთა გუნდის კარის ბადეში. არც მეორე გოლის გატანას დასჭირდა დიდი მზადება. სალასმა მარჯვენა მხრიდან ისე ჩააწოდა, რომ „პანიონიოსის“ მცველმა ათანასიოს გაზისმა საკუთარი კარი დაცა.

შესვენების შემდეგ, მეორე ტაიმი რომ გახურდა, იმავე სალასმა მოწინააღმდეგის ორი მცველი ჩამოიტოვა და დაარტყა. ბურთი მეკარემ მოიგერია, მაგრამ დასწრებით ყველას სტანკოვიჩმა დაასწრო და „ლაციოს“ მესამე, პირადი კი მეორე გოლი გაიტანა.

კიდევ სამი წუთის შემდეგ რომაელებმა მეოთხედ გადააკვეთინეს ბურთს ბერძნების კარის ხაზი: პაველ ნედვედმა ათიოდ მეტრიდან საბოლოო წერტილი დასვა.

„ლაციო“ მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა ბურთს და ინიციატივას. ერთადერთი, რაც მას მეტნაკლებად აწუხებდა „პანიონიოსის“ კაპიტნის, ანტონიოს საპუნტეზისის ცალკეული გამოხდომები გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისე გამოვიდა, რომ ბერძნებმა ნამდვილად სახიფათო და ღირებული ვერაფერი შექმნეს და კაპიტულაცია გამოაცხადეს.

მატჩის შემდეგ, „ლაციოს“ შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა განაცხადა: „არც კი ველოდი თუ წვიმისგან გადაჩიჩქნილ მოედანზე ასე კარგად ვითამაშებდით. ბოლოხანს ისეთ ფორმაში ვართ, როგორშიც იშვიათად არის ხოლმე გუნდი“.

ერიკსონის კოლეგამ, „პანიონიოსის“ მწვრთნელმა, „ლივერპულის“ ყოფილმა მოთამაშემ, რონი ვილანმა კი ასე შეაფასა შეხვედრა: „მოწინააღმდეგე აშკარად იმსახურებდა გამარჯვებას. ცალკეულ ეპიზოდებში მავიწყდებოდა კიდეც, რომ ბერძნული გუნდის მწვრთნელი ვიყავი და სიამოვნებით ვუცქერდი „ლაციოს“ საუცხოო თამაშს“.

### ჩელსი 3:0 ვალერენგა

1:0 ბაბაიარო (9), 2:0 ძოლა (30), 3:0 უაიზი (85)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლე სო, ბაბაიარო, დესაი, ლამბურდი, პეტრესკუ, უაიზი, დი მატეო, ძოლა (ტ. ა. ფლო 46), ვიალი

ვალერენგა: კავენი, ჰარალდსენი, ტრანი, ლევერსენი, ბერნტსენი, კიოლნერი, რიისნაესი, ჰოვი, ვალტინი, ჰაუგი (კაასა 56), კერიუ

„ჩელსიმაც“ გაინალდა ნახევარფინალში გასვლა. ლონდონელებმა ნორვეგიულ „ვალერენგას“ წინსვლაზე ოცნების საშუალებაც მოუსპეს. „ვალერენგას“ თავის გასამართლებლად იმის თქმა შეუძლია, რომ მის ქვეყანაში ეროვნული პირველობა ჯერ არ დაწყებულა და შესაბამისად სათამაშო პრაქტიკა აკლია.

ინგლისში ხმა დადიოდა, თითქოს „ვალერენგას“ თავდამსხმელი, ჯონ კერიუ, 4 მილიონ დოლარადაა შეფასებული და მის ყიდვას ბევრი ეშურება, მაგრამ ნორვეგიული კლუბისა და საკუთრივ ფეხბურთელის სამწუხაროდ „სტემფორდ ბრიჯზე“ მან იმდენად უსუსურად და სტატიკურად ითამაშა, რომ ამიერიდან მისი ინგლისში გაყიდვა-არგაყიდვის საქმე თავიდან იქნება განსახილველი.

ლონდონელთა იტალიელმა ფორვარდმა ჯანფრანკო ძოლამ, რომელიც კერიუს ნიკაპამდე წვდება, ისე ითამაშა, რომ ყველას ერთსულოვნად ამოხდა: „ძოლა დიდი ფეხბურთელია“.

„ვალერენგას“ ტაქტიკაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგილ ლსენმა დაცვა ოთხი ფეხბურთელისგან შეკრა, წინ, ნახევარდაცვაში კი ხუთკაციანი კედელი აღმართა.

ნორვეგიელ მოთამაშეთა უმეტესობა მაღალია. ამიტომაც ძალიან გასაკვირი გახლდათ თავიდან დენის უაიზის ჩაწოდებულ ბურთს „ჩელსის“ კიდევ ერთი იტალიელი, რობერტო დი მატეო რომ შეწვდა, მაგრამ დი მატეომ, როგორც ჩანს, თავად ვერ დაიჯერა მომხდარი და მიზანს ააცილა.

მიუხედავად პირველი იმედგაცრუებისა, „ჩელსიმ“ სულ მალე მაინც გახსნა ანგარიში: მრავალსვლიანი კომბინაციის დასასრულ ძოლამ ნიგერიელ სელესტინ ბაბაიაროს გადააწოდა ბურთი, ბაბაიარომ კი ზუსტად დაარტყა.

მეორე გოლის დროს როლები გაიცვალა: ამჯერად ბაბაიარომ გადააწოდა ძოლას.

შეხვედრის დამთავრებამდე ცოტაღა რჩებოდა, როდესაც გრემ ლე სოს ჩაწოდებულს ძოლას ნაცვლად შესულმა ნორვეგიელმა ტორე ანდრე ფლომ უხელთა და დაახლოებით 12 მეტრიდან თანამემამულეთა კარში გაგზავნა ბურთი.

### ვარტექსი 0:0 მალიორკა

ვარტექსი: მრმიჩი, კასტელი, მადუნოვიჩი, ბალაიჩი, გრეგორიჩი, პრმანი, დალიჩი, მუჟეკი, მუმლეკი (ივანკოვიჩი 89), კარიჩი (მატაში 75), კამბეროვიჩი (პოშავეცი 70)

მალიორკა: როა, მ. სოლერი, სივიერო, ელენა, კარერასი, გარსია, ეტამემაიერი, ოლაისოლა, ფ. სოლერი, პაუნოვიჩი, ბიაჯინი (ლოპესი 81)

ხორვატიული და ესპანური გუნდების დაპირისპირებაში გამარჯვებული „მალიორკა“ ანუ ესპანური მხარე რომ დარჩება, ეჭვი არც აქამდე იყო და არც ახლაა. პირველი შეხვედრა ხორვატიაში გაიმართა და უგოლოდ 0:0 დასრულდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც იტყვიან, თავისზე ძლიერთან თუ რამეს ფიქრობდა, შინ უნდა მოეგოო.

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** პოლიციამ სექტემბერში მიუნხენის „ბაიერნის“ სათადარიგო მეკარე სვენ შოიერი ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისას ამხილა და საქმის გამოძიებაც დაიწყო. წესების დამრღვევი მიუნხენის სასამართლომ მკაცრად დასაჯა — 15 თვით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება და ამასთანავე 50 ათასი გერმანული მარკით, ანუ 27800 დოლარით დააჯარიმა. კლუბი არც „ბაიერნმა“ დაინდო და ხუთი თვით მოკვეთა ფეხბურთიდან. პოლიციამ შოიერს სისხლში დაშვებული 0,5 გრამი ალკოჰოლის ნაცვლად 1,7 გრამი აღმოუჩინა.

**იუგოსლავიის** და ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ერთმანეთს გულშემატკივართა გარეშე ესტუმრებიან. ორივე ქვეყნის ფეხბურთის მამები შიშობენ, რომ ორი დაპირისპირებული ქვეყნის ქომაგებს შორის შესაძლოა სისხლისღვრა მოხდეს და ამის თავიდან ასაცილებლად ყველა ღონეს ხმარობენ. შეგახსენებთ, რომ 27 მარტს ბელგრადში იუგოსლავია ხორვატიას მასპინძლობს, ხოლო 10 ოქტომბერს ხორვატია იღებს ზაგრებში მეზობელს. ცნობისთვის: ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე იუგოსლავიური „პარტიზანი“ ხორვატიულ „კროაციას“ დაუპირისპირდა. მაშინ ორივე შეხვედრამ პოლიციელთა მკაცრი მეთვალყურეობით ჩაიარა და რაიმე ინციდენტი არ მომხდარა.

**გერმანიის** 1996 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ფრედი ბობიჩმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან დორტმუნდის „ბორუსიაში“ ითამაშებს. „შტუტგარტის“ თავდამსხმელმა ისიც დასძინა, რომ უახლოეს მომავალში ახალი კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდება და „ბორუსიასთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ბობიჩმა დორტმუნდელ ექიმებთან შემოწმება უკვე გაიარა. ბობიჩი ბუნდესლიგაში 1994 წელს გამოჩნდა, როცა „შტუტგარტში“ მეორე ბუნდესლიგის კლუბ „შტუტგარტ კიკერსიდან“ გადავიდა. გერმანული პრესის ცნობით, „ბორუსია“ ყაბულსაა, 1996 წლის ევროპის ჩემპიონ ბობიჩში 6,3 მილიონი დოლარი გადაიხადოს. ცნობისთვის: ფრედი ბობიჩს გერმანიის ნაკრებში 19 მატჩი უთამაშია.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ პრემიერლიგის კლუბ „მიდლსბროს“ სახელგანთქმული ფეხბურთელი პოლ გესქოინი ერთი მატჩით დააჯარიმა და ამასთანავე 2 ათასი გირვანქის გადახდა დააკისრა. გაზა ამ სეზონში არბიტრებმა 11-ჯერ გააფრთხილეს, რაც ასოციაციაში ძალიან ებევრათ. გესქოინი „მიდლსბროს“ აღმასრულებელი დირექტორის, კეიტ ლემბის განცხადებით, მომავალ კვირას „ჩელსისთან“ ვერ ითამაშებს.

**საფრანგეთის** ნაკრების მცველის, მსოფლიოს ჩემპიონ ლილიან ტურამის შეძენა ძალიან უნდა მილანის „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის. ნავთომაგნატის აზრით, ტურამი დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო მცველია და კლუბის დაცვას სწორედ რომ წაადგება. „ინტერის“ პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, მზად ვარ, იმაზე მეტი გადავიხადო მცველში, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰოლანდიელ იაპ სტამის სანაცვლოდ გაიღოო. „პარმა“, ტურამის კლუბი, მცველის გაყიდვას სასტიკად უარობს. მეტიც, ამას საერთოდ გამორიცხავს.

**ირლანდიელი** რობი ობრაიენი ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა. ირლანდიის 18 წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ინგლისური „მიდლსბროს“ ხელმძღვანელობამ განუცხადა, რომ იგი აღარ ესაჭიროებათ. ობრაიენს იტალიაში ტრანსფერი „მიდლსბროს“ თავდამსხმელის პოლ მერსონის აგენტმა სტივ კატბერმა გაუჩარხა, რომელსაც ტურინული კლუბის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს. „იუვენტუსის“ მწვრთნელებმა ობრაიენი ირლანდიის ნაკრებში თამაშისას ნახეს და მის შეძენაზეც დაყაბულდნენ. 20 წლის ობრაიენმა „იუვენტუსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. არც ფეხბურთელს და არც კლუბს კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე არ უსაუბრიათ.

**ესპანეთის** 1996 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვთ, შეამოწმონ ლონდონის „არსენალის“ ფრანგი თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა. ცნობილია, რომ ანელკას ლონდონში ცხოვრება არ სიამოვნებს. ფრანგი თავდამსხმელის შეძენა ტურინის „იუვენტუსს“ და ესპანეთის კიდევ ერთ კლუბ „ბარსელონასაც“ უნდოდა.

**გვატემალაში** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი ოკეანისგაღმელი ნაკრები მონაწილეობს. ტურნირს „კოპა პასი“ ეწოდება. პირველ ტურში ბოლივიელებმა ვერ შეძლეს იამაიკელთა დამარცხება და ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ იამაიკას კოსტა რიკამ შინ 9:0 მოუგო. მეორე მატჩში მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალისტმა პარაგვაიმ მასპინძელი გვატემალა დაამარცხა — 3:2. 78-ე წუთამდე გვატემალელები ალეგრიას და ვალენსიას გოლებით უგებდნენ პარაგვაის, მაგრამ 88-ე წუთზე ჯერ სენტურიონმა შეაგდო პენალტი, შემდეგ კი გონსალესმა 90-ე წუთზე პირველ ტაიმში თავისსავე გატანილს ერთი გოლიც მიუმატა და სტუმრებმაც მოიგეს.

**რუმინეთის** დედაქალაქის, ბუქარესტის, „დინამოს“ პრეზიდენტად პირველად დაინიშნა ისეთი პიროვნება, რომელსაც არანაირი შეხება არ აქვს ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. შეგახსენებთ, რომ ბუქარესტის „დინამო“ 1947 წელს დაარსდა და მას შემდეგ გუნდს რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო კურირებდა. კლუბის მმართველებიც მუდამ ამ ორგანიზაციის თავკაცები იყვნენ. რამდენიმე დღის წინ „დინამოს“ ყოფილმა პრეზიდენტმა, რუმინეთის შინაგანი არმიის გენერალმა ნიკოლაე ლანგამ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განაცხადა. მისი ადგილი, კლუბის პრესატაშეს თქმით, ნიკოლაე ბადეამ დაიკავა, კაცმა, რომელიც ელექტრობიზნესითაა ცნობილი.

**ინგლისის** ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის წინ, როცა „შეფილდ უენსდეი“ „უიმბლდონს“ მასპინძლობდა, სტუმართა მწვრთნელმა ჯო კინარმა თავი ცუდად იგრძნო და დახმარებისთვის ფეხბურთელებს მიმართა. ეს ზედ შეხვედრის წინ მოხდა. საბოლოოდ კინარი საავადმყოფოში მოათავსეს და მწვრთნელმა „უიმბლდონის“ გამარჯვების შესახებ სწორედ იქ გაიგო.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# კუნძულიდან ნახევარკუნძულზე



დანიელმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მილანის „ინტერის“ წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა, განაცხადა, სანამ სამშობლოში დავბრუნდები, კარგი იქნებოდა, ერთი-ორი წელი იტალიაშიც გამეტარებინაო. აგერ უკვე რვა წელია, შმაიხელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავს და უამრავი ტიტულიც მოიხვეჭა, მაგრამ ამ სეზონის დაწყების წინ განაცხადა, ინგლისურ ფეხბურთს ვემშვიდობებიო. სად გადავა შმაიხელი, იტალიაში თუ დანიაში, ჯერ უცნობია. შეგახსენებთ, რომ 27 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დანია იტალიას მასპინძლობს.

# ბიჭებო, პატივი ეცით უფროს კაცს



სარბიელის არქივიდან

რონალდომ, დაშავებული ვარო

ᲘᲝᲰᲐᲜ კრუიფის უპატივცემულობა ფეხბურთელთა ამქრის კაცისთვის სირცხვილია და თავხედობა, მაგრამ აი, რონალდომ გაბედა.

საქმე ასე ყოფილა: დიდ ჰოლანდიელს ბრაზილიელისთვის შეუთვლია ბარსელონაში, ჩემდამი მიძღვნილი მატჩი რომ იმართება, პატივი დამდე და ითამაშეო, ამას კი უარი უკადრია.

თამაში, რომელზეც კრუიფმა ხოტორა ინტერელი დაპატიჟა, 10 მარტს „კამპ ნოუზე“ ჩატარდება. იქ მსოფლიოს ნაკრები „ბარსელონას“ დღევანდელ გუნდს ეთამაშება და ამით ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ლეგენდა დაუბრუნდება გულშემატკივარს, რომელსაც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა. თავი დავანებოთ იმ ხანას, როდესაც „ბარსას“ ფორმაში გამოწყობილი კრუიფი ვირტუოზულად აგორებდა ბურთს. ამ კაცმა, უკვე მერე, მწვრთნელობისას, 1992 წელს, გუნდს ჯერჯერობით ერთადერთი ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა.

რაც შეეხება რონალდოს, არც მისთვისაა „კამპ ნოუ“ უცხო ადგილი. ბრაზილიელი ვარსკვლავი ამ სარბიელზე 1996-97 წლების სეზონში ბრწყინავდა ბობი რობსონის ხელმძღვანელობით, მერე კი მილანის „ინტერში“ გადაბარგდა.

„კრუიფისადმი მიძღვნილ მატჩზე ბარსელონაში არ ჩავალ“ — განუცხადა რონალდომ ესპანურ გაზეთ „მარკას“ — „მიპატიჟებისთვის, ბუნებრივია, დიდ მადლობას ვიხდი, მაგრამ ტრავმა ჯეროვნად არ მომიშუშებია და ამიტომ მილანში უნდა დავრჩე“.

ამრიგად კრუიფის მიერ შედგენილ 24 კაციან სიას თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ვარსკვლავი გამოაკლდა.

# ჩხუბი გასახდელში

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სამრაცხვინო დღე გახლდათ მადრიდის „რეალის“ ისტორიაში.

თქვენ ფიქრობთ, რომ სამეფო კლუბის უფერულ ფრეს ჰგულისხმობთ კიევის „დინამოსთან“? ერთი შეხედვით ასეც შეიძლება იყოს, მაგრამ მთლიანობაში მთავარი სულ სხვა რამაა — ოთხშაბათს, სანამ სამეფო კლუბი უკრაინის ჩემპიონს დაუპირისპირდებოდა, „რეალის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა კლარენს ზეედორფმა და მადრიდელთა ვეტერანმა ფერნანდო იერომ ერთმანეთს ურტყეს. ამ ორ უდავოდ კარგ ფეხბურთელს შორის შეხლა-შემოხლა კიეველებთან შეხვედრის შემდეგაც გაგრძელდა.

რატომ მორიგი? — ოფიციალურ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე კლარენს ზეედორფი და ფერნანდო იერო ერთობ შელაპარაკებულან იმის თაობაზე, თუ ვის უნდა დაერტყა საჯარიმოები. არც ერთი არ აპირებდა დათმობას, „რეალის“ უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა კი სტანდარტული სიტუაციების შესრულება სულ სხვებს, რობერტო კარლოსს და პრედრაგ მიატოვიჩს მიანდო.

ეს იყო შუადღისას, საღამო ჟამს კი ზეედორფს და იეროს ქიშპობა კვლავ გაუგრძელებიათ, ამჯერად „სანტიაგო ბერნაბეუს“ გასახდელში და თან უფრო სერიოზულად. იმდენად სერიოზულად, რომ ივან კამპოს, დავორ შუკერსა და გუტის გაუშველებიათ.

მიზეზი ჰოლანდიელისა და ესპანელის ხელმეორე წალაპარაკებისა გინება ყოფილა, თუმცა მადრიდის „რეალის“ მთელმა შემადგენლობამ კომენტარისგან თავი შეიკავა. ერთადერთი, რის შეტყობაც ესპანელმა ჟურნალისტებმა მოახერხეს, იყო ის, რომ ზეედორფს ცხელ გულზე წამოსცდა, სტადიონიდან რომ გადიოდა, იერომ უცენზურო სიტყვებით მომიხსენიაო. რასიზმის გამოვლინებას „რეალის“ ვეტერან იერის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, თუმცაღა, თუ ჰოლანდიელს დავუჯერებთ, მისთვის იერის ბევრი არაფერი დაუკლია.

იქ, გასახდელში, ფეხბურთელთა ჩხუბში „რეალის“ მწვრთნელი ჯონ ტოშაკი არ ჩასულა. უბრალოდ, მატჩშემდგომ პრესკონფერენციაზე რომ ჰკითხეს, ფეხბურთელთა საქციელზე რას იტყვითო, უპასუხა, მეტი ზრდილობა მოეთხოვებათ, „რეალს“, ამხელა კლუბს, თუ პატივს არ სცემენ, თავს მაინც ნუ შეირცხვენენო.

„რეალი“, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ინციდენტის აფიშირებას ერიდება, აი, პრესაში კი ამ აყალ-მაყალს ერთი ამბავი მოჰყვა. ჩხუბი იმდენად ხმაურიანი იყო, ეს, არც არის გასაკვირი. სხვათა შორის, „რეალის“ გასახდელში რომ რაღაც ხდებოდა, კიევის დინამოელებსაც შეუმჩნევიათ.

...ორ კვირაში საპასუხო მატჩია და ვინძლო „რეალი“ შინაომებმა არ გატეხოს.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ქირავდება
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72



REUTERS მედიაფოტო

„რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი და სტივ მაკმანემანი

# ნამდვილი რეალისტი

ᲡᲢᲘᲕ მაკმანამანმა მადრიდის „რეალში“ უნდა განაგრძოს კარიერა. ის მშობლიურ „ლივერპულს“ სტოვებს. ფეხბურთელმა ამ ნაბიჯით ფრიად გაანაწყენა ინგლისელი, კერძოდ ლივერპულელი გულშემატკივარი და შეძახილებიც დაიმსახურა, მაგრამ ხალხმა მასაც უნდა გაუგოს — მაკმანამანს კლუბსა თუ ნაკრებში უმაღლესი დონის შეხვედრებში თამაში სწყურია.

27 წლის გარემარბი მადრიდში გახლდათ, სადაც ესპანეთის „სამეფო კლუბთან“ თავის ხუთწლიან კონტრაქტზე მოილაპარაკა, უფრო სწორედ კი ხელშეკრულებას ბოლო შრიხები დაუსვა. იგი „ლივეპულიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მიდის, რაც იმას ნიშნავს, რომ „რეალი“ ლივერპულელებს მის სანაცვლოდ არაფერს გადაუხდის. რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, იგი მატერიალურად ძლიერ უზრუნველყოფილი იქნება: ერთბაშად და ნაწილ-ნაწილ, ჯამში 22,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ლივერპულში ფანები და ჩვეულებრივი გულშემატკივრები ჩემს მიმართ ყოველთვის საუცხოოდ იყვნენ განწყობილნი. სამწუხაროდ, დღეს გუნდს ცუდი შედეგები აქვს, რაც ერთგვარად ძაბავს მდგომარეობას. ცუდმა შედეგებმა ქომაგებიც გააღიზიანა და საკუთრივ ფეხბურთელებიც“ — განაცხადა მაკმანამანმა პრესკონფერენციაზე, რომელიც მართალია მადრიდში მოეწყო, მაგრამ დამსწრე ინგლისელი ჟურნალისტების მეცადინეობით ერთობ უსიამოვნო ელფერით მიმდინარეობდა.

„არა მგონია, ლივერპულელი ფანების კრიტიკის ობიექტი მხოლოდ მე ვიყო. მიზეზი ისევ და ისევ გუნდის ცუდი თამაშია, თორემ აბა სხვა რა გამოიცვალა? „ლივერპული“ კვლავინდებურად „ლივერპულია“, გულშემატკივარიც არ შეცვლილა. ვიმეორებ, მე ლივერპულში ვცხოვრობ და კარგად ვგრძნობ, რომ ხალხი ძალიან კარგად მეპყრობა.“

მაკმანამანი არ მალავს უცხოეთში წასვლის მიზეზს. ის მაღალი კლასის მოთამაშეა და სურს, ასეთივე გუნდის შემადგენლობაში უდიდეს ჯილდოებს შეეთამაშოს.

მან თქვა, რომ კარგად იცის „რეალის“ ავან-ჩავანი, ხედავს, რომ გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მისთვის შეუფერებელ, მეშვიდე ადგილზეა. მაგრამ იცნობს „სამეფო გუნდის“ ისტორიას და ხვდება, რომ იგი აუცილებლად დაბრუნდება უძლიერესთა შორის.

„მადრიდის „რეალის“ ისტორია გასაოცარია. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იგი ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელია, ეს კი ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ გუნდი, რომელშიც გადავდივარ, მსოფლიოში საუკეთესოს ტიტულს ფლობს. გარდა ამისა, მინახავს, როგორ თამაშობენ „რეალის“ ფეხბურთელები — ისინი დიდებული ოსტატები გახლავან და შესაბამისად ახალ გამარჯვებათა მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავია.“

შემდეგ მაკმანამანი ინგლისის ნაკრებზე ალაპარაკეს, სადაც ევრო 96-ის მერე სულაც არ აქვს ადგილი დაბევებული. ამ თემაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ „რეალში“ გადასვლა მისი, როგორც ფეხბურთელის პროფესიულ ჰორიზონტს გააფართოვებს და შესაბამისად ნაკრების მწვრთნელებიც უფრო ხშირად ენდობიან.

„ვიმედოვნებ, რომ „რეალში“ თამაში უმოკლეს დროში დამიბრუნებს დაკარგულ ადგილს ნაკრებში. მე ხომ ტრავმები მაწუხებდა, რაც ყველას კარგად მოეხსენება. ტრავმების გამო ეროვნული გუნდის ბოლო ორი შეკრება გამოვტოვე, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდება.“

ნაკრებზე საუბარს ისევ „ლივერპულმა“ და მისმა მიზნებმა უცვალა გეზი.

„მშობლიური გუნდის დატოვება 10 თუ 12 წლიანი ერთგული სამსახურის შემდეგ გადავწყვიტე. დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორია, როგორც ზოგადი გამოცდილების მიღების, ისე კონკრეტულ ვითარებაში ადგილის გამოცვლის თვალსაზრისით. მადრიდში უკეთესი ფეხბურთელი გავხდები, ახალ სტილთან და ტაქტიკასთან მომიწევს შეგუება.“

და მაინც, მაკმანამანი „რეალში“ იმ დროს ჩადის, როდესაც მის მექანიზმში რაღაც მოიშალა იმდენად, რომ საუკეთესო ფეხბურთელებმა ერთმანეთს ჩხუბიც კი დაუწყეს.

მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი და ფერნანდო იერო ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში კიევის „დინამოსთან“ თამაშის წინ და შემდეგ სერიოზულად შეეჯახნენ ერთმანეთს. გუნდის ახალი მწვრთნელი, უელსელი ჯონ ტოშაკი იძულებული შეიქნა პირობა დაედო, რომ ფეხბურთელებს მოარჯულებს.

მაკმანამანი კი იხტიბარს არ იტეხს:

„მოთამაშეები ნებისმიერ კლუბში მეგობრობენ და ნებისმიერ გასახდელში არის უთანხმოება. ამაში გასაკვირი არაფერია. გუნდში 15-20 ფეხბურთელია, ყველას მოგება უნდა, ამიტომაც ასეთი რალაცეები ხდებოდა და მოხდება კიდეც. ჯონ ტოშაკს კი პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მასთან საერთო ენას გამოვნახავ. „ლივერპულში“ ხომ მისი ყოფილი თანაგუნდელები მრავლად მუშაობენ, რომელთაგან მასზე უამრავი კარგი რამ მსმენია.“

**ᲛᲘᲩ ᲤᲘᲚᲘᲞᲡᲘ როიტერი**




თასების მფლობელთა თასი
პირველიდან უკანასკნელ
გათამაშებამდე
13 მარტიდან
ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის სარბიელ-ში
UEFA Cup Winners' Cup
სრული ისტორია



გიო ახვლედიანის

## სვეტი

### შერიგება

აი, რა ამბავი იყო: გვიანი შემოდგომიდან გვახსენებდნენ, დიეგო სიმეონე და დევიდ ბექემი კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთსო. თანაც ისე კითხულობდნენ, ნეტავ რა მოხდებაო, რომ კაცს რაღაც საშინელება უნდა წარმოედგინა — სიმეონეს ოლდ ტრეფორდზე წიხლში გაატარებენ, ყოფას უტირებენ, აქეთ-იქედან ფსიქოლოგიური ომი ატყდებაო და ა.შ. და ასე დაუსრულებლად.

თამაშის წინა დღეს სიმეონემ რომ კეთილი რამეები განაცხადა, ასე გავიგეთ, აგეო, შემინდაო, უძვრებაო, ხვალისთვის იხდის ბოდიშებსო, უნდა, რომ თავის გუნდს ხელისშემშლელ ვინმედ არ ექცესო.

მერე თამაში იყო. მოედნის ცენტრში რომ ჩამწკრივდნენ, სიმეონემ და ბექემმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ბექემს გვერდით სქოულზი ედგა, მან თანაგუნდელს რაღაც გადაულაპარაკა და გულიანად იცინეს. მომდევნო ოთხმოცდაათ წუთში ბექემმა ერთხელ წააქცია სიმეონე. სიმეონემ არცერთხელ ბექემი. ბექემის ორ ჩაწოდებას გოლი მოჰყვა, სიმეონემ ერთი არჩათვლილი (თანაგუნდელის მიზეზით) გოლით დაგვამახსოვრა თავი. მერე მათ მაისურები გაცვალეს, ბექემმა სიმეონესი გადაიცვა, სიმეონემ — ბექემისა. ორივემ აღნიშნა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყოო.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ფეხბურთს მრავალი ჯენტლმენური კანონი აქვს და ორი იმდენი არაჯენტლმენური. ვინც ფეხბურთს თამაშობს, ეს მშვენივრად იცის და ხელიც მოწვრილი აქვს ამ კანონების ცოდნასა და აღსრულებაზე. თაობა, რომელიც ახლა თამაშობს ფეხბურთს, ამ მხრივ პრობლემას არ გრძნობს. გარეთ საუთგეიტმა რომ პენალტი გააფუჭა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, მის ნაცვლად სტიუარტ პირსმა იტირა, უფროსი თაობის ვარსკვლავმა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში იტანჯებოდა იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში პენალტი ვერ გაიტანა.

დევიდ ბექემი და დიეგო სიმეონე დღევანდელი ფეხბურთის ვარსკვლავები არიან. ისინი დიდი კლუბების დიდხელფასიანი პროფესიონალები გახლავან. როგორ ფიქრობთ, ისინი დღესაც ისე განიცდიან ცხრა თვის წინანდელ ინციდენტს, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, მედიას უყვარს ასეთი ამბები. მედიას უყვარს, არ დაგავიწყოს ერთ დროს, ერთ საღამოს დრამატული ისტორია, რომელიც თავად ისტორიის მონაწილეთათვის ერთ (ჰა, ჰა ორ) კვირას თუ გასტანს ხოლმე. ასევე, მედიას უყვარს მტრობაზე წერა. უყვარს, როცა მოედნის ამბებს ცხოვრებას დაუკავშირებს.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ? საბჭოთა დროში, როცა რუსეთის ჰოკეისტები კანადაში წავიდოდნენ სათამაშოდ და იქ დიდი ჯახა-ჯუხი იყო, არავინ გვეუბნებოდა, რომ ბობი ჰალი და ტრეტიაკი ძმაბიჭები არიან, რომ ესპოზიტო და იაკუშევი მეგობრობენ, ერთად ვახშმობენ, ოჯახებს აცნობენ ერთმანეთს და მოკლედ, კარგი ურთიერთობა აქვთ. კომენტატორი „დრუზია-საპერნიკებს" მხოლოდ ჩეხებს უწოდებდა. ჩვენ კი გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ ვარსკვლავები კი არ მეგობრობდნენ, არამედ მტრობდნენ ერთმანეთს. ამხანაგურად, ოღონდ მთელი ჯიგრით თამაშობდნენ და სამტრო და საჩხუბარი რაც იყო, ყინულზე ეტეოდა.

ამიტომ, საკვირველი არ არის „ნაფხულის ინციდენტი" რომ ასე დასრულდა. შეიძლება, ორ კვირაში კიდევ მოხდეს რამე, მაგრამ ის ამბავიც ასე დასრულდება. იქ სხვა მხარეა. ამიტომ „მანჩესტერ" — „ინტერის" შეხვედრაში სულაც არ გამოდგა პირველხარისხოვანი ის, რასაც ელოდნენ. გამლაყინწების დრო და სურვილი არავის აქვს. ახლა ფეხბურთი ფული და ცივილური ურთიერთობებია. გლადიატორთა იერი კი იმისთვისაა საჭირო, რომ მაყურებელმა თვალი ვერ მოაცილოს მინდორს.

ფეხბურთი

# ბიჭის წელიწადი



### ოქტომბერი

*„მატჩის წინ მკითხეს, თამაში თუ შეგიძლიაო. კი-მეთქი. დასვენებისთვის დრო მაშინაც მექნება, 40 წლის რომ გავხდები".*

**მაიკლ ოუენი**

ჯეკი კონორმა და მისმა პატარა მეგობარმა შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ ხელებს აღარ დაიბანდნენ. რატომ? ბავშვები სულაც არ ჯიუტობდნენ, უბრალოდ, მათ იმ დილით მაიკლ ოუენს ჩამოართვეს ხელი. საყვარელი ფეხბურთელის ნახვამ კი ბავშვებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ეს ყველაფერი ლივერპულის კერძო სკოლის ბიბლიოთეკაში მოხდა — ბავშვები ოთახიდან რომ გამოდიოდნენ, ვიღაცას შეეჯახნენ. აიხედეს და... ჰოი, საოცრებავ! მათ წინ მომღიმარი მაიკლ ოუენი იდგა... „მართალი გითხრა, ცოტა დავიბენი. ბავშვებმა ისეთი თვალებით შემომხედეს, საკუთარი თავის შემეშინდა. მსიამოვნებს, ხალხი რომ მცნობს. მაგრამ პოპულარობა ხანდახან პრობლემებსაც მიქმნის".

მაიკლი კერძო სკოლაში საპატიო სტუმრის რანგში მიიწვიეს. ერთ-ერთ დარბაზში უამრავი ახალგაზრდა შეიკრიბა. უმეტესწილად დამწყები ჟურნალისტები, რომლებსაც მაიკლი უნდა „დაეკითხათ".

რამდენიმე დღით ადრე „ლივერპულმა" უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „ვალენსიას" უმასპინძლა. ლივერპულელთა სამწუხაროდ, ესპანელებთან მაიკლს არ უთამაშია: „თამაშის წინ როი ევანსი შემოვიდა და მკითხა, თამაში თუ შეგიძლიაო. კი-მეთქი". მაიკლი მაინც არ ათამაშეს. სკოლაში მინიპრესკონფერენციაც სწორედ ამ შეკითხვით დაიწყო. ერთ-ერთი გოგო წამოდგა და:

— ვინ შეგატყობინათ, რომ ვალენსიელებთან თქვენთვის ადგილი არ გამოიძებნა? — იკითხა მან. მაიკლმა, თითქოს თავს იცავსო, საკმაოდ წყნარად უპასუხა, გუნდიდან ამოვარდნას და დასვენებას შორის დიდი სხვაობაა. „ლივერპულში" ჩემთვის ადგილი კი გამოინახება, მაგრამ მაშინ ჩემი დასვენება ამჯობინესო.

კითხვები საფეხბურთო თემაზე სულ უფრო და უფრო იშვიათდებოდა. აი, მაიკლის პირადი ცხოვრება კი თითქმის ყველას აინტერესებდა. ბიჭიც პასუხობდა, თუმცა ცდილობდა, ქომაგთა ინტერესი იმდენად დაეკმაყოფილებინა, რამდენადაც საჭირო იყო.

საერთოდ ოქტომბრის ბოლოს მაიკლის თამაში გაუარესდა. რისი ბრალი იყო ეს? მაიკლზე უკეთ ამის მიზეზი, ალბათ, არავინ იცის: „წლის ბოლოს აშკარად გადავიღალე. ჩემთვის ეს წელი პირველი იყო, სრული დატვირთვით რომ ვითამაშე. მართალი გითხრათ, არ მეგონა, ამდენს თუ შევძლებდი".

გაუარესდა მაიკლის თამაში? ეს ერთი შეხედვით, მაგრამ განა შეიძლება, მის თამაშს ნოტინგემელების წინააღმდეგ დამაკმაყოფილებელი უწოდო?

პრემიერლიგის მორიგ ტურში, ზუსტად ვალენსიელებთან მატჩის ოთხი დღის შემდეგ, „ლივერპული" „ნოტინგემ ფორესტს" მასპინძლობდა. „ლივერპულმა" 5:1 მოიგო. მაიკლმა ოთხი გოლი გაიტანა...

### ნოემბერი

*„ტაქსი ოუენისთვის! ტაქსი ოუენისთვის!"*

**ტაქსის მძღოლი**

ნოემბერში, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა სპონსორმა „უმბრომ" ნაკრების ფეხბურთელები თავისთან მიიწვია გეიტსჰედში, ფეხბურთელთა ფოტოგადაღებები იყო.

იქ, გეიტსჰედში, მე და მაიკლი ერთად წავედით ტაქსით. გზა გრძელი იყო და ჩვენც დროს საუბრით ვკლავდით. თითქმის ყველაფერზე ვისაუბრეთ. უფრო სწორედ, იმაზე, რაც მე მაინტერესებდა. მაიკლი, რომელიც წინ მოკალათებულიყო, წამდაუწუმ ჩემსკენ ბრუნდებოდა, რაღაცას მეტყოდა და თან სულ თვალებში შემომცქეროდა. თავიდან ცოტა არ იყოს, ვიბნეოდი, მერე კი შევეჩვიე. კარგად რომ დავფიქრდი, თითქოს ვიგრძენი, რომ ის გაზრდილიყო. მაშინ, პირველად რომ შევხვდი იტალიაში, სულ სხვა იყო, უფრო პატარა, ახლა კი სხვანაირად გამოიყურებოდა.

დრო ძალიან სწრაფად გარბის...

ფოტოგადაღებებმა სამ საათზე მეტს გასტანა. უკან დაბრუნებისას კი მანქანაში მოვისმინეთ ცნობა, რომ როი ევანსი „ლივერპულიდან" წავიდა. მაიკლმა ეს ამბავი რამდენიმე დღით ადრე იცოდა.

„ყველანი შეგვკრიბა და გვითხრა, რომ მიდიოდა. ფეხბურთელებმა, თითქოს ვიცოდით კიდეც, რა უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც არ გვჯეროდა, რომ ეს წუთი დადგებოდა. მან ყველას ყველაფრისთვის მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა, რომ კლუბიდან წასვლა საჭიროდ ჩათვალა".

...მაიკლის დებიუტი პრემიერლიგაში სწორედ როი ევანსის მოღვაწეობისას შედგა. პირველი გოლიც მისი თავკაცობისას გაიტანა. „17 წლის ვიყავი, ჩემპიონატში პირველად რომ მათამაშა. როი მენდო. პენალტების დარტყმაც სწორედ ევანსმა დამაწყებინა. იგი სულ მენდობოდა. დიდ პატივს ვცემ".

მაიკლი: „მეუბნებიან, რომ ძლიერი ვარ და ტიტულოვანი ვიქნები, მაგრამ მომავალზე ოპტიმისტურად საუბარი არ მაკმაყოფილებს. მინდა, წარმატებას მივაღწიო, რომ მერე, როცა ფეხბურთს დავემშვიდობები, ვთქვა — დრო უქმად არ გამიცდენია.

არავინ იცის, რა იქნება მომავალში, თუმცა რაც უნდა მოხდეს მის კარიერაში, ახლავე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას დრო უქმად სულაც არ გაუცდენია.



მაიკლ ოუენი

### დეკემბერი

*„განვლო მთელმა ერთმა წელიწადმა. პატარა ინგლისელი ვარსკვლავი ერთი წლის გახდა. გაივლის დრო და ის გაიზრდება".*

**სტივ მორგანი, ჟურნალისტი**

მე მაინც ვფიქრობ, რომ მიუხედავად ზინედინ ზიდანის შესანიშნავი თამაშისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უდავოდ ძლიერი ფრანგი გამთამაშებელი ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, გასული წელი მაიკლ ოუენის იყო.

ალბათ, არავინ შემომედავება იმაში, რომ 1966 წელი ჯორჯ ბესტისა გახლდათ, 1970-ში ფეხბურთის მეფე პელე მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩინდა. ოთხი წლის შემდეგ მსოფლიო „მფრინავი ჰოლანდიელი", იოჰან კრუიფით მოიხიბლა. განვლო ათმა წელიწადმა და 1984-ში პლატინიმ გაიბრწყინა, 1986-ში მარადონა „დაიბადა", 1988-ში კი ვან ბასტენი ქუხდა, 1993 წელს — ბაჯო. სულ რაღაც სამი წლის წინ კანტონას წელიწადი იყო...

ეგებ სხვას სხვა მოსაზრება ჰქონდეს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ 1998 მაიკლისა იყო.

ამ ჩანახატს რომ ვიწყებდით, მაიკლმა მითხრა, ბევრი რამ არ მახსოვს და ცუდი არ გამოგივიდესო. არ შემშინებია. მერე რა, რომ მაიკლს ბევრი რამ არ გაახსენდა. გაივლის დრო და მეხსიერებაში ჩაბეჭდილი ამბები წამოტივტივდება.

რა არის ამ ჩანახატის მთავარი მიზანი? ის, რომ ათწლეულების მერე, როცა მაიკლს მართლაც ბევრი რამ არ ემახსოვრება და არც მოსთხოვენ, რომ ახსოვდეს, მისი შვილიშვილები გადაფურცლავენ და წაიკითხავენ, თუ ვინ იყო მათი ბაბუა.

სკოტ მორგანი

***FourFourTwo*-დან**

თარგმნა ლაშა გოდუაძემ



მაიკლი და ელიზაბეტ II. ერთი წლის წინ ეს შეხვედრა წარმოუდგენელი იყო

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— რას გაჯგიმულხარ? ცხვირს იბზუებ.

— ***ეგ მე ვიცი.***

— დიდი რამე, ერთხელ გაგიმართლა.

— ***გამიმართლა?***

— აბა, რა იყო? შმაიხელმა გამოიღვიძა, სიმეონეს გოლი არ ჩაუთვალეს...

— ***მე გითხარი, მაგ კაცის სახელს ჩემს ოჯახში ნუ ახსენებთ-მეთქი.***

— რა გინდა? ხომ მოინანია?

— ***ვერაგობაა ეგ მონანიება.***

— ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს...

— ***ესეც უტვინო ბიჭია. შენ რა გგონია?***

— ესე იგი, ისევ უნდა ეწიხლავათ?

— ***ეგ საკითხი აღარ მაინტერესებს.***

— და შენ გგონია, „მანჩესტერი" გასულია?

— ***მე მგონია, რომ „ინტერი" არ არის გასული.***

— აბა რაღ გინდა „მანჩესტერის" გასვლა? ნახევარფინალში მაინც წააგებს.

— ***ვისთან?***

— ვთქვათ კიევთან.

— ***კიევს რა უნდა ნახევარფინალში?***

— ვაჟკაცურად, ტელევიზორს არ უყურებ?

— ***ყოველ შემთხვევაში, კიევს — არა.***

— აბა, მადრიდის „რეალს"?

— ***მართალი ხარ, იყო ერთ დროს ასეთი გუნდი. მას მადრიდის „რეალი" ერქვა. დიდებული გუნდი იყო. მერე გუნდი გამოჰიდინჯდა, ახლა კი მთლად გამოტოშაკდა.***

— მაშ, მართალი ვყოფილვარ.

— ***შენ მთავარი დაგავიწყდა.***

— რა არის მთავარი?

— ***მთავარია, რომ შმაიხელმა გამოიღვიძა.***

— და ეგ გიშველის?

— ***უკვე მიშველა.***

— შენი თქმის არ იყოს, არსებობდა ერთ დროს ასეთი გუნდი — მილანის „ინტერი".

— ***აი, რა კარგია, რომ ხვდები. თან, შმაიხელმაც გამოიღვიძა.***

— ნუ შეგვჭამე არ შმაიხელით. შუმახერი წავიდა, არკონადა წავიდა, დასაევი წავიდა. ეგეც წავა...

— ***სანამ წავა დაგანახებთ რამეებს.***

— მე იცი რა მიკვირს? ბრაზილიამ სამჯერ დაურტყა და სამჯერ გაუტანა. აქ კი ვენტოლამ ორჯერ დაურტყა და...

— ***გამოიღვიძა-მეთქი, ვეჟო. აქამდე ეძინა.***

— რატომ ეძინა?

— ***რატომ ძინავს ვეას? რატომ ძინავს ბერგომის? არი ეგრე — ჩამოეძინებათ ხოლმე.***

— კიდევ ვის ძინავს?

— ***არ მინდა ვთქვა.***

— თქვი, რა მოხდება?

— ***ენა არ მიბრუნდება.***

— თქვი.

— ***ეჰ. მაგრამ მისი ბრალი არ არის. სხვა რამეების ბრალია.***

— კარგი, გული ნუ გამიწვრილე, თქვი...

— ***ზიდანს. ზიდანს ძინავს, გესმის შენ?***

— ვიცი, განა არ ვიცი? გული მისკდება.

— ***სულ ტყუილად. ნუ გეშინია.***

— ხალხმა რაღაცეების ლაპარაკი დაიწყო.

— ***ყურს ნუ დაუდგებ ორპირი ხალხის ლაპარაკს. ეგენი ლოპესზე გადაირიენ...***

— ლოპესი არ არის მარადიული საგანი.

— ***შენ იძახე და კი გადაირიენ. „ბარსელონას" გაუტანა და გაუტანაო. იმ რუსზეც ხომ გადაირიენ...***

— რას იზამ?

— ***მთავარია რომ არ დაივიწყო, არსებობს რაღაც მარადიული.***

— და გაზა?

— ***რა გაზა?***

— მარადიულობასთან კავშირში...

— ***მოიცა ერთი...***

— ძინავს?

— ***სალათას ძილით.***

— ცუდია.

— ***მაგრამ გახსოვდეს: არ მოკვდარა, მხოლოდ ძინავს და ისევ გაიღვიძებს.***




სარბიელის არქივიდან

# ალალია მასზე

მსოფლიოს ჩემპიონი, საფრანგეთის ეროვნული გუნდი, მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებთან საქველმოქმედო მატჩს ჩაატარებს. ეს მატჩი მიეძღვნება გამოჩენილ ფრანგ ფეხბურთელს ჟან პიერ პაპენს, რომელმაც მიმდინარე სეზონის წინ თამაშს თავი დაანება.

საფრანგეთისა და მსოფლიოს დაპირისპირების ადგილი გახლავთ მარსელის „სტად ველოდრომი", თარიღი — 30 მაისი.

მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებში ითამაშებენ პაოლო მალდინი, რობერტო ბაჯო, დევიდ ბექემი, ლოთარ მათეუსი, აარონ ვინტერი, ჟორჟ ვეა და სხვანი.

კიდევ, იცით, ვინ შეიძლება ითამაშოს საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ? ფრანგმა დავიდ ჟინოლამ, ბრწყინვალე გარემარბმა, რომელსაც სამშობლოს ეროვნული გუნდის მწვრთნელები კარგა ხანია გუნდში აღარ იწვევენ.

„საფრანგეთის ნაკრები პირველად მართავს საქველმოქმედო შეხვედრას, მაგრამ კაცზე, ვის საპატივცემულოდაც ის იმართება, ალალია. ჟან პიერ პაპენი ჩვენი ფეხბურთისთვის საგანგებო პიროვნება გახლავთ" — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, კლოდ სიმონემ.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ კარიერას მარსელში დავასრულებდი. საუკეთესო მოგონებები სწორედ ამ ქალაქთან მაკავშირებს" — თქვა თავად პაპენმა, რომელმაც „ოლიმპიკის" შემადგენლობაში 1988-1992 წლებში ოთხჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

ეროვნული გუნდის შემადგენლობაში პაპენმა 54 შეხვედრაში 30 გოლი გაიტანა, მარსელის გარდა ის თამაშობდა „ბრიუგეში", „მილანში", „ბაიერნში", „ბორდოსა" და „გინგამში".

1991 წელს ჟან პიერ პაპენს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი" ერგო.

# ლატვია ძალიან დაბლააო

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ლატვიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა მარიან პახარმაც ითამაშა. 23 წლის მოთამაშეს, რომელსაც ინგლისის „საუთჰემპტონი" ეპატიჟებოდა, ამ ქვეყნის დასაქმების სამინისტრომ მუშაობის უფლება არ მისცა.

პრემიერლიგის კლუბ „საუთჰემპტონსა" და რიგის „სკონტოს" შორის გარიგებას ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერაღა აკლდა. გუნდების წარმომადგენლები შეთანხმებულნი იყვნენ, რომ პახარი „სკონტოდან" „საუთჰემპტონში" 800 ათას გირვანქად, ანუ 1,2 მილიონ დოლარად უნდა გადაბარგებულიყო, მაგრამ წინაღობა იქ აღმოჩნდა, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ.

„ლატვია მსოფლიოს კლასიფიკაციაში დაბალ ადგილზეა, რაც ამ ქვეყნის ფეხბურთელს საშუალებას არ აძლევს, პრემიერლიგაში ითამაშოს" — განუცხადა ინგლისის დასაქმების სამინისტრომ „საუთჰემპტონს". ლატვიის საელჩოს პრესმდივანმა სილვესტერ სავიკისმა სამინისტროს განცხადება ლატვიისათვის შეურაცხმყოფლად ჩათვალა.

„საუთჰემპტონის" მწვრთნელმა დევიდ ჯონსმა განაცხადა, რომ ისინი პახარისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

# ხუან რამონის დაბრუნება

საბერძნეთში, „პანათინაიკოსმა" პაოკ-თან 0:1 რომ წააგო, კლუბის ხელმძღვანელობა აღშფოთდა და მწვრთნელი, ვასილის დანიელი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მის სკამს ამიერიდან არგენტინელი ხუან რამონ როჩა დაიკავებს. როჩა ადრე მუშაობდა „პანათინაიკოსის" მწვრთნელად. მას საკმაო წარმატებაც ხვდა წილად. 1996 წელს არგენტინელმა სპეციალისტმა ათენის გუნდი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალშიც კი გაიყვანა. ახლა როჩა „პანათინაიკოსს" სეზონის ჩაამთავრებინებს. რაც შეეხება გადამდგარ მწვრთნელს, დანიელს, კონტრაქტის თანახმად, მას ათენში კიდევ 18 თვე უნდა ემუშავა.

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXI ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — დორტმუნდი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| შტუტგარტი — აინტრახტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვოლფსბურგი — ჰამბურგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჰერტა — კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბაიერნი — ფრაიბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მიონხენგლადბახი — მიუნხენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — ვერდერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXI ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზტ. პაული — კარლსრუე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ულმი — კიოლნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ფორტუნა — ბერლინი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| დიუსელდორფი — კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გოუტერსლო — ურდინგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაინცი — არმინია | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVIII ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენტრი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| უიმბლდონი — ლესტერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXV ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბერი — კრისტალ პალასი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქრიუ — გრიმსბი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| იფსვიჩი — ტრანმერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| პორტ ვეილი — ბრედფორდი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ქუინზ პარკი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| შეფილდი — უოტფორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სანდერლენდი — ნორვიჩი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სვინდონი — ბოლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვესტ ბრომვიჩი — ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXIV ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| პერუჯა — ემპოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბარი — ინტერი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| სამპდორია — იუვენტუსი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ფიორენტინა — პარმა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| მილანი — პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| უდინეზე — რომა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლაციო — სალერნიტანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ბოლონია — ვენეცია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კალიარი — ვიჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXV ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეჩე — რეჯანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რავენა — ატალანტა | 2,2 | 2,7 | 3,1 |
| კოზენცა — ბრეშა | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| ნაპოლი — ჩეზენა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| ლუკეზე — ფ. ანდრია | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| პესკარა — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| მონცა — ტერნანა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| კოვეო — ტორინო | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| კრემონეზე — ტრევიზო | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| რეჯინა — ვერონა | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოვიედო — დეპორტივო | 2,6 | 2,8 | 2,5 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალავესი — მალიორკა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ტენერიფე — ატლეტიკო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სოსიედადი — ვილიარეალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ესპანიოლი — ვალიადოლიდი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სალამანკა — ბარსელონა | 5,3 | 3,1 | 1,5 |
| ვალენსია — ბილბაო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სელტა — ბეტისი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| რეალი — სარაგოსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ესტრემადურა — რასინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXVII ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალაგა — მერიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კომპოსტელა — ერკულესი | 1,35 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| ნუმანსია — ბარსელონა B | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| მალიორკა B — ლას პალმასი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეკრეატივო — ლეგანესი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ორენსე — ბადახოსი (15[00]) | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| სევილია — ოსასუნა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეიდა — ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოგრონიესი — ტოლედო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რაიო — ეიბარი (15[00]) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ატლეტიკო B — სპორტინგი (15[00]) | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — ჰერენვენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ალკმაარი — კამბური | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| ვიტესი — სიტარდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მაასტრიხტი — ტვენტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრააფსხაპი — ფეიენოორდი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ვალვაიკი — ტილბურგი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| სპარტა — ნაიმეგენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| აიაქსი — უტრეხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXV ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკერენი — ჰერენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ანდერლეხტი — ლომელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| გენკი — შარლერუა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| გენტი — ბევერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ოსტენდე — ვესტერლო | 2,2 | 3,0 | 2,9 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიერსი — ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ჰარელბეკი — სტ. ტრუიდენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| აალსტი — კორტრაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XVII ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კატოვიცე — ლეხი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გურნიკი — ვიძევი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლკს — პოგონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| რუხი — ოდრა (13.30) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვისლა — პოლონია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბელხატოვი — ზაგლებე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეგია — სტომილი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ამიცა — რაძიონკოვი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დარდანელი — გაზიანთეფი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| საქარია — ისთანბული | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ბეშიქთაში — ქოჯაელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ანკარაგიუჯიუ — ბურსა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანთალია — ალთაი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| გალათასარაი — ფენერბაჩე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სამსუნი — ადანა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქარაბუქი — გენჩლერბირლიგი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXI ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ზალცბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლუსტენაუ — შტაირი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შტურმი — რიდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ტიროლი — რაპიდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტ. გალენი — სერვეტი | 3,5 | 2,8 | 2,0 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| გრასჰოპერი — ლუცერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ლოზანა — ციურიხი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისის თასის მეოთხედფინალი

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ევერტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ბარნსლი — ტოტენჰემი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| არსენალი — დერბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერი — ჩელსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### საფრანგეთის ლიგის თასის მეოთხედფინალი

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| პსჟ — მონპელიე | 1,8 | 3,0 | 4,0 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მეცი — ტულუზი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რენი — ლანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### პორტუგალია. თასის მე-6 წრე

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალვერკა — კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბეირა მარი — ლეირია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სეტუბალი — ფერეირა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| მარიტიმუ — პევიდიში | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### შოტლანდიის თასის მეოთხედფინალი

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზერველი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — ფალკირკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მორტონი — სელტიკი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### ჰოკეი. NHL

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონრეალი — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| ოტავა — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფილადელფია — აილენდერსი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| ვაშინგტონი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სან ხოსე — ჩიკაგო | 1,35 | 4,4 | 3,6 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ბუფალო — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| აილენდერსი — ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| პიტსბურგი — კოლორადო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვანკუვერი — ჩიკაგო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| დალასი — სტ. ლუისი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფინიქსი — ნეშვილი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ანაჰაიმი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონრეალი — ფლორიდა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ოტავა — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| რეინჯერსი — ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კაროლინა — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |

### კალათბურთი. NBA

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორლანდო — დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| კლივლენდი — გოლდენ სტეიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| სან ანტონიო — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ფინიქსი — საკრამენტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ინდიანა — მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| ფილადელფია — ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| ტორონტო — ბოსტონი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| იუტა — ლეიკერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| დენვერი — სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| საკრამენტო — დალასი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| პორტლენდი — ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| სიეტლი — მინესოტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორლანდო — ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| მაიამი — ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| დეტროიტი — ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| მილუოკი — ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

### რაგბი. ხუთი ერის თასი III ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი — უელსი | 1,1 | 6,0 | 6,0 |
| ირლანდია — ინგლისი | 3,5 | 6,0 | 1,25 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ნეტავ რა მოხდა დილას ტონგაში?

ბორჯღალოსნებისთვის პატივი თვით ტონგის სამეფოს მეფეს, ტაუფა აჰაუ ტუპოუ IV-ს დაუდია და დღეს მატჩამდე ორი საათით ადრე სტუმარ მორაგბეთათვის აუდიენცია დაუნიშნავს.

ნუკუალოფას სარაგბო სტადიონი ქართველებს გუშინვე დაუჭაშნიკებიათ და არცთუ კმაყოფილები დარჩენილან. ნაკრების კაპიტნის, ზურა მჭედლიშვილის თქმით, გრუნტი ძალიან მშრალი და მაგარი ყოფილა.

კაპიტანთან ტონგაში დაკავშირება კი გუშინ მოხერხდა:

— ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ფიჯისთან შედარებით აქ დაბალია ტემპერატურა. დღეს 38 გრადუსი იყო. ძალიან ცხელა და სუნთქვა გვიჭირს. ძალიან კარგია, შეკრება ფიჯიში რომ გავიარეთ, თორემ აქაურ პირობებთან შეგუება ძალიან გაგვიჭირდებოდა. დღეს დილით სავარჯიშოდ გავედით, მოედანი ვნახეთ. შეიძლება ითქვას, ნორმალურია. ოღონდ ეგ არის, სიცხის გამო მაგარი გრუნტი აქვს.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ზოგიერთ ლეგიონერს უარი განუცხადებია ნაკრებში თამაშზე.**

— ზუსტად არც ჩვენ ვიცით. ხან ამბობენ, ჩამოვიდნენო, ხანაც უარი თქვესო, ოთხი კაცი კი ამაღამ ჩამოვაო. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოვიდა და ვინ არა, ხვალ გავიგებთ.

**— თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებს ძალუძს ტონგელთა დამარცხება?**

— ამის იმედი რომ არ გვქონდეს, აქ არც ჩამოვიდოდით. ჩვენ ვნახეთ რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი მათი მონაწილეობით. ძალიან ძლიერი გარემარბები ჰყავთ. ისე, არც შერკინება აა ჯაბანი, მაგრამ, ვფიქრობ, ამ მხრივ ვაჯობებთ. თვითონ ხალხი კი, რაც ამ ერთ დღეში ვნახე, ძალიან თბილია. მატჩამდე მეფეს უნდა შევხვდეთ. თამაშის მერე კი, ერთი კარგი ადგილი გვანახეს ოკეანის პირას, ბანკეტი უნდა გაიმართოს.

ქართველთა თავს გადამხდარი ამბების შესახებ უკვე გამცნეთ. ჯერ იყო და ნაკრებს მაჩიტიძე, იურინი და მთიულიშვილი გამოაკლდნენ, მერე კიდევ ფიჯიზე ხამაშურიძე და იაშვილი დაშავდნენ, თუმცა ხამაშურიძეს ფეხი ისე ძალიან აღარ აწუხებს. საბოლოოდ მასპინძლებს ქართველები ასეთი შემადგენლობით შეებრძოლებიან:

*აქვსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, სოსო პარწიკანაშვილი, ვანო ნადირაძე, გია ლაბაძე, ზურაბ მჭედლიშვილი (კაპიტანი), შოთა მოდებაძე, პალიკო ჯიმშელაძე, არჩილ ქავთარაშვილი, ილო მაისურაძე, ბესო ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ვასილ აბაშიძე, ბადრი ხეხელაშვილი, ირაკლი გიორხელიძე, სანდრო ესაკია, ბესო ტეფნაძე, ვასილ კაცაძე, ვიქტორ დიდებულიძე, სოსო ნიკოლაენკო, გოდერძი შველიძე*

რაც შეეხებათ ტონგოელებს, მწვრთნელმა პოლუტელე ტუიჰალამაკამ და ნაკრების ტექნიკურმა მრჩეველმა დევიდ ვატერსტოუნმა დაასახელეს 28 მობურთალი, რომელთაგანაც შეარჩევენ იმ ოცდაორს, ქართველებს რომ დაუპირისპირდებიან:

*ფეაო ვუნიპოლა (კაპიტანი), მაიკატო კაიჰეა, ნგალუ ტაუ, სიონე პალე, ლატიუმე მაკა, მააფუ პალე, ფალამინი მაფი, პენიჰეა კივალუ, ისილელი ფატანი, მეტ ტეპოუ, ფელეტი მაჰონი, დევიდ ედვარდსი, სონატანე კოლოი, ვაა ტოლოკე, სილილო მარტენსი, ნასილი ლიკილიკი, ბრაიან ვული, ელისი ვუნიპოლა, სალესი ფინაუ, ფეფიკოუ ტატაფუ, პიტა ტანგინოა, სემი ჰალა, ტევიტა ტიუეტი, სემისი ფაკაოსიფოლაუ, სიუა ტაუმალოლო, კუსიტაფუ ტონგა, ისი ტაპუელუელუ*

# უელსის სიძლიერე ვის გაუჭირდება?!

## საფრანგეთი — უელსი

ᲤᲠᲐᲜᲒᲗᲐ პირველ საშინაო მატჩს რაგბის მოყვარულები და სპეციალისტები მოუთმენლად ელიან. არის ერთი სჯა-ბაასი და მეტოქეთა ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა. მცოდნე ხალხის თითქმის ყველა აზრს დაეთანხმება კაცი, ერთი გამონაკლისის გარდა. „ფრანს-პრესის ერთ დეპეშაში ნათქვამია, რომ უელსელებს მსოფლიო დონის უკანა ხაზი ჰყავთ. ამის დამწერს ან უელსის ბოლო თამაშებისთვის არ უყურებია, ან მთლად კარგად ვერ ერკვევა რაგბიში.

საშუალო დონის ნ. ჯენკინსმა ხუთი ერის წლევანდელი გათამაშების საწყისი ორი მატჩი საკმაოდ ცუდად ჩაატარა. გიბსი ერთფეროვანი მოთამაშეა და ხშირად ცდება ხოლმე, რობინსონი ზანტი და მოუქნელია, ტეილორზე ლაპარაკი არც ღირს, ჰოვართს არა უშავს, მაგრამ ფრანგ ნტამაკს ნაღდად ვერ შეედრება. მხოლოდ ჯეიმსი და ჰოული გამოირჩევიან მასიდან, თუმცა ბედოვლათი პარტნიორების ხელში ძალიან უჭირთ.

ერთი სიტყვით, უელსის უკანა ხაზის სიძლიერე მონაჭორია. შოტლანდიასაც და ირლანდიასაც ამ მხრივ გაცილებით უკეთ აქვთ საქმე, აღარაფერს ვამბობ საფრანგეთსა და ინგლისზე.

რა საფრთხეს უქმნის უელსი ხუთი ერის ბოლო ორი ტურნირის მომგებ „მამლებს"? არავითარს! ვერც ერთი უელსელი ვერ ჯობნის პოსტების მიხედვით თავის ფრანგ „კოლეგას". გამონაკლისი შეიძლება იყოს ჰოული, მაგრამ მასპინძელთა მე-9 ნომერი კარბონოც არაა ჯაბანი. შემადგენლობა ხომ არ უვარგათ, თანაც სტუმრები ირლანდიელებივით მტკიცე და ურყევი ხასიათითაც არ გამოირჩევიან, ამის ხარჯზე მაინც რომ შესძლებოდათ წარმატებაზე ოცნება.

მოკლედ, საფრანგეთი, ვინაც მეტოქეს ყველა ხაზში ჯობნის, უპრობლემოდ გაიმარჯვებს. ამ შეხვედრას მასპინძლები უფრო 20 მარტს ინგლისში სტუმრობის მოსამზადებლად გამოიყენებენ. ორ კვირაში ხომ, ალბათ, ტურნირის გადამწყვეტი მატჩი გაიმართება, თუ, რა თქმა უნდა, დღეს ირლანდიამ არ გაიმარჯვა.

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ**

ნტამაკი (15)

ბერნა-სალი (14) კომბა (13) დურთი (12) ლომბარი (11)

კასტანიედი (10) კარბონო (9)

რეინო (7) ტ. ლიევერემონი (8) ბენეტონი (6)

პელუ (5) ბრუზე (4)

ტურნერი (3) იბანესი (2) კალიფანო (1)

როჯერსი (1) ჯ. ჯენკინსი (2) ევანსი (3)

კ. ქვინელი (4) უაიტი (5)

ჩარვისი (6) ს. ქვინელი (8) სანკინსონი (7)

ჰოული (9) ნ. ჯენკინსი (10)

ჯეიმსი (11) გიბსი (12) ტეილორი (13) რობინსონი (14)

ჰოვართი (15)

**ᲣᲔᲚᲡᲘ**

სათადარიგონი:

**საფრანგეთი — ლოსიუკი, კასტელი, დალ მაზო, გარბაჟოზა, ოკანი, ორადუ, მარკონე**

**უელსი — მორგანი, ბეტმენი, ლევიტინი, ვოილი, ენტონი, ლუისი, უილიამსი**

## ირლანდია — ინგლისი

ᲐᲘ, ეს თამაში მართლაც დაძაბული და საამო საცქერი იქნება. ირლანდიელები, რომლებმაც „უემბლიზე" უელსის დამარცხებით გამარჯვების გემო გაიხსენეს, აღმავლობის გზაზე არიან. ინგლისელებს კი შოტლანდიასთან გაჭირვებით მოგების შემდეგ საკუთარი ქომაგების თვალში ერთგვარი რეაბილიტაცია სჭირდებათ.

ნამდვილად საოცარია, სამხრეთ აფრიკასთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ რა უფერულად გამოიყურებოდნენ ინგლისელები წინა მატჩში. დღევანდელი შეხვედრისთვის სტუმართა თავკაცმა კლაივ ვუდვორდმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ქეტისა და დეისონის ადგილს ძირითადში ბრექენი და გრეისონი დაიკავებენ. ამ უკანასკნელის დაბრუნება ერთობ მოულოდნელი და გასაკვირია, რადგან შარშანდელი ტურნირის მსვლელობისას არადამაკმაყოფილებელი თამაშისთვის ვუდვორდმა იგი ნაკრებიდან გააგდო. მაგრამ კაცია და გუნებაო. გარდა ამისა, 15 ნომრად პერი ითამაშებს, ნაცვლად ბეილისა, რომელიც შოტლანდიასთან უსუსურად გაისარჯა; ხოლო დალალიომ და ჰილმა ადგილები გაცვალეს.

ირლანდიელების შემადგენლობა კი მწვრთნელს ტაქტიკური მოსაზრებებით არ შეუცვლია. ფეხნატკენი ბელის ნაცვლად ჰენდერსონი იასპარეზებს, გამოჯანმრთელებულმა კოსტელომ და დემფსიმ კი მილერი და ელვუდი სათადარიგოთა სკამზე დააბრუნეს. ირლანდიელებს მეტად ეიმედებათ ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ჰამფრიზისა, რომელიც საკუთარი გუნდის თამაშს მშვენივრად წარმართავს.

ამ მატჩის მომგები შეინარჩუნებს „სამმაგი გვირგვინის" დაუფლების შანსს. ეს ჯილდო დანარჩენი სამი ბრიტანელის დამმარცხებლისთვისაა განკუთვნილი. ანგლო-საქსონური პრესა ფავორიტად ინგლისს მიიჩნევს, მაგრამ დასავიწყებელი არც ირლანდიური უტეხი სულია.

**ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

**ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ**

ოში (15)

დემფსი 14) ჰენდერსონი (13) მეგსი (12) ბიშოპი (11)

ჰამფრიზი (10) მაკგინესი (9)

უარდი (7) კოსტელო (8) ოკუინიგენი (6)

დევიდსონი (5) ჯონსი (4)

უოლესი (3) ვუდი (2) კლოჰესი (1)

ლენარდი (1) კოკრილი (2) გერფორსი (3)

ჯონსონი (4) როდბერი (5)

ჰილი (6) დალალიო (8) ბეკი (7)

ბრექენი (9) გრეისონი (10)

ლაგერი (11) გასკოტი (12) უილკინსონი (13) რიისი (14)

პერი (15)

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ**

სათადარიგონი:

**ირლანდია — ელვუდი, სკალი, მილერი, გელვი, ფიცპატრიკი, ნესდეილი**

**ინგლისი — ბეილი, ქეტი, დეისონი, კორი, გრეკოკი, უბოგუ, მაკარტი**

# გზა ერთმანეთამდე

## საქართველო

### შესარჩევი ეტაპი

II რაუნდი

**საქართველო — ხორვატია 29:15**

**დანია — საქართველო 8:19**

**იტალია — საქართველო 31:14**

**საქართველო — რუსეთი 12:6**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 220:62 | 12 |
| საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | 74:60 | 10 |
| ხორვატია | 4 | 2 | 0 | 2 | 105:90 | 8 |
| რუსეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 85:92 | 6 |
| დანია | 4 | 0 | 0 | 4 | 26:206 | 4 |

| | ლელო | გარდასახვა | ჯარიმა | არეკნი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი | 6 | 1 | 13 | 1 |
| საშუალოდ | 1,5 | 0,25 | 3,25 | 0,25 |
| გაშვებული | 8 | 4 | 4 | 0 |
| საშუალოდ | 2 | 1 | 1 | 0 |

III რაუნდი

**ირლანდია — საქართველო 70:0**

**საქართველო — რუმინეთი 23:27**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 123:35 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 62:76 | 4 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 23:97 | 2 |

| | ლელო | გარდასახვა | ჯარიმა | არეკნი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი | 2 | 2 | 3 | 0 |
| საშუალოდ | 1 | 1 | 1,5 | 0 |
| გაშვებული | 13 | 13 | 2 | 0 |
| საშუალოდ | 6,5 | 6,5 | 1 | 0 |

## ტონგა

### შესარჩევი ეტაპი

II რაუნდი

**ფიჯი — ტონგა 20:10**

**ტონგა — კუკის კ-ები 68:12**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | 73:17 | 6 |
| ტონგა | 2 | 1 | 0 | 1 | 78:32 | 4 |
| კუკის კ-ები | 2 | 0 | 0 | 2 | 19:121 | 2 |

| | ლელო | გარდასახვა | ჯარიმა | არეკნი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი | 11 | 10 | 0 | 1 |
| საშუალოდ | 5,5 | 5 | 0 | 0,5 |
| გაშვებული | 3 | 1 | 5 | 0 |
| საშუალოდ | 1,5 | 0,5 | 2,5 | 0 |

III რაუნდი

**დასავლეთ სამოა — ტონგა 28:20**

**ავსტრალია — ტონგა 74:0**

**ფიჯი — ტონგა 32:15**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 0 | 165:33 | 9 |
| ფიჯი | 3 | 2 | 0 | 1 | 78:99 | 7 |
| დას. სამოა | 3 | 1 | 0 | 2 | 59:71 | 5 |
| ტონგა | 3 | 0 | 0 | 3 | 35:134 | 3 |

| | ლელო | გარდასახვა | ჯარიმა | არეკნი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი | 5 | 2 | 2 | 0 |
| საშუალოდ | 1,66 | 0,66 | 0,66 | 0 |
| გაშვებული | 17 | 11 | 8 | 1 |
| საშუალოდ | 5,6 | 3,66 | 2,66 | 0,33 |



ენდრიუ მერთენსი

# ჯვაროსნები ლაშქრობენ

RUGBY SUPER 12

ოკლენდი. 5 მარტი

„ედენ პარკი". 45 000 მაყურებელი

## ოკლენდი 16(8):22(12) კრაისტჩერჩი

**ოკლენდი: დოუდი, მიტჩელი, ბარელი, ტეილორი, რიჩელმანი, კოლინზი, კარტერი, რაში, რობინსონი, სპენსერი, ელისი, ინესი, ვიდირი, ჰოულეტი**

**2 ლ — ვიდერი (2) 2 ს — სპენსერი (2)**

**კრაისტჩერჩი: ფიკი, ჰამეტი, სომერვილი, თორნი, ბლექკადერი, მაქსველი (მაკლეოდი 47), რობინსონი, სარიჯი, მარშალი, მერთენსი, საოალო, გიბსონი, რალფი, კერი, მაკდონალდი**

**1 ლ მარშალი 1 გ და 5 ს — მერთენსი**

მთავარი როლი მასპინძელთა დამარცხებაში ოლბლექსელმა ენდრიუ მერთენსმა ითამაშა. მატჩში, რომელშიც თითქმის ყოველ წუთს მსაჯის სასტვენის ხმა ისმოდა, მან ხუთი საჯარიმო გაიტანა და თანაგუნდელი მარშალის ლელოც ზუსტად გარდასახა. ოკლენდელთაგან ფიჯელმა ჯოელი ვიდირიმ გამოიჩინა თავი. მის ანგარიშზე ორი ლელოა. სტუმრებმა მეტოქე თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და სავსებით ლოგიკური გამარჯვება მოიპოვეს. „ჯვაროსანთა" ასეთ სტარტს არავინ ელოდა. ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულებს წელს ფავორიტებში არავინ მოიხსენიებდა, თუმც ამ ორი გამარჯვებით კრაისტჩერჩელებმა ოპონენტებს დაუმტკიცეს, რომ ჯერ ადრეა მათი ჩამოწერა. მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე, როცა ანგარიში 22:11 იყო, ოკლენდელმა ჯოელი ვიდირიმ ექვს ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთების საშუალება სტუმრებმა არ მისცეს.

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 17 ტური
# ანონსი

7 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი

## დინამო — თსუ

წინა ტურში ჩემპიონატის მეორეადგილოსან სტუ-ს ძლევით ფრთაშესხმული „დინამო“, ბუნებრივია, ახლა მეორე სტუდენტური გუნდის დამარცხებას შეეცდება, რომელსაც, თავის მხრივ, უსახურ „შევარდენთან“ თავი დიდად არ მოუკლავს და ნაწილობრივ საამმატჩოდაც დაზოგა ძალები.

დინამოელებმა კი დიდი ჯანი შეალის სტუ-ს და ღირსეულადაც გაიმარჯვეს, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევნი არიან.

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში თსუ-მ შვიდი ქულით იმარჯვა და ახლა უეჭველად მოგების გაორებას გეგმავს. მათი მწვრთნელი ნოდარ ქორქია გულმოდგინედ ადევნებდა თვალს დინამოელთა უკანასკნელ თამაშს და, ალბათ, ის საგულისხმო დეტალიც მოინიშნა, რომელსაც საპასუხო ტაქტიკას დაუპირისპირებს. ქორქიას ბიჭებს განსაკუთრებით დინამოელთა ზონური დაცვის წინაალმდეგ მართებთ გააზრებული ქმედება, რადგან ეს კომპონენტი მეტოქეს ზედმიწევნით კარგად აქვს დამუშავებული.

ტრავმირებული ირაკლი ხოშტარიას არყოფნაში „დინამოს“ უკრაინამოვლილი მაისურაძე და გამთამაშებელი ნიკოლაძე გაუძღვებიან. ფარზე მათ კილაძის ეიმედებათ, რომელსაც თსუელი არჩილ ხელაშვილის სახით სერიოზული მეტოქე ეყოლება. საინტერესო დუელია მოსალოდნელი ახალგაზრდების — მარკოიშვილსა და აბულაძეს შორისაც. გუნდები არც სნაიპერთა ნაკლებობას განიცდიან. სტუდენტთაგან ამ მხრივ წოწელია და მგალობლიშვილი არიან განსაკუთრებით საშიშნი, დინამოელთაგან კი შანიძე და ხეცურიანი გამოირჩევიან.

ერთი სიტყვით, ეს მატჩი ბევრ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს, რასაც ნაწილობრივ გამოცდილ მწვრთნელთა — მოსეშვილისა და ქორქიას მოსალოდნელი ჭიდილიც განაპირობებს.

**გიორგი გიქაშვილი**

8 მარტი. ვერის ბაღი. 15 45 საათი

## სტუ — ვითა

მეორე წრის ბოლოსწინა ტურის ცენტრალურ მატჩად უდავოდ სტუ — „ვითა“ უნდა მივიჩნიოთ. ექვსგზის ჩემპიონი „ვითა“ ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ეს რომ ასეა, მან თვით მრისხანე „აზოტის“ დამარცხებით დაამტკიცა და არც სტუდენტებთან და აპირებს რაიმეს დათმობას.

ყველა რგოლში თანაბარძალოვნად დაკომპლექტებულ ვითელებს უკანა ხაზში საქმე ერთიორად გამოუკეთდათ. რვათვიანი უმოქმედობის შემდეგ დავით უსტიაშვილმა სწორედ ამ გუნდში ამოყო თავი და პირველივე მატჩში დაამტკიცა, რომ მაღალი დონის გამთამაშებელია. უეჭველია, უსტიაშვილი მყარად მოიკიდებს ფეხს გუნდის ხუთეულში, ხოლო მანამდე გამთამაშებლის პოზიციაზე გამწესებული მამუკა აბრამიძე მსროლელის ადგილზე გადაინაცვლებს, რაც გუნდის შემტევ პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის. „ვითას“ თავდასხმაშიც აწყობილი აქვს საქმე, ჩუბინიძე-ორმოცაძე-კოკოლიშვილის სამეული ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და ცენტრზე მოთამაშე კორძაძესა და ახალკაცს გვარიანად უმსუბუქებს საკეთებელს.

რაც მთავარია, „ვითას“ სათამაშო დისციპლინა გამოარჩევს სხვათაგან, რაც მთლიანად გუნდის მწვრთნელის, ზურაბ ტომარაძის დამსახურებაა. მისი შეგირდები ერთნაირად არიან შეხმატკბილებული როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში და სოლიდური მოქმედებით გულშემატკივართაც ახარებენ.

სტუ აშკარად ვერ არის საუკეთესო ფორმაში — წინა ტურში „დინამოსთან“ დასანანი მარცხი იწვნიეს. კარგი მოთამაშეების სიმცირეს არც ეს გუნდი განიცდის, მაგრამ მწვრთნელ თამაზ ოქრუაშვილს ჯერაც ვერ დაუკომპლექტებია სასტარტო ხუთეული, რისთვისაც ხშირ შეცვლებს მიმართავს ხოლმე. ეს ხერხი ყოველთვის ვერ ამართლებს და რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სტუდენტები შეუთამაშებელნი არიან. საერთო ანსამბლიდან აშკარად ამოვარდნილია ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც ვერა და ვერ მოერგო ოქრუაშვილის მონახაზს და, თუ მწვრთნელებმა ცქიტიშვილს ფუნქციები უფრო დაუკონკრეტეს, შედეგიც არ დააყოვნებს.

სხვა მხრივ, სტუ კარგი, ბრძოლისუნარიანი გუნდია და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. სტუდენტთა მეორეადგილოსნობაც სწორედ ჩვენი სიტყვების სისწორეზე მეტყველებს.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

8 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი

## შევარდენი — აზოტი

რა შეიძლება მოხდეს ამ მატჩში? ექვსგზის ჩემპიონ „ვითასთან“ წაგების შემდეგ რუსთავის „აზოტი“ „შევარდენს“ დაიფრენს. ან რა ბრძოლას უნდა ველოდოთ — „აზოტი“ ჩემპიონობას უმიზნებს, „შევარდენი“ კი დღითი დღე სუსტდება და უძლურდება, მოთამაშეებმაც გული აიცრუეს, ასახსრო გუნდში თამაში არავის სურს. წინა შეხვედრაში „შევარდენი“ რუსთაველებზე სუსტ თსუ-სთან დიდი ანგარიშით დამარცხდა, სტუდენტებს მხოლოდ 6-7 წუთი ეთამაშა თანაბრად და ლიდერთან, აბა, რას გააწყობს. „აზოტს“ ამ შეხვედრაში ირაკლი ჯაფარიძე ვერ დაეხმარება — რუსთაველთა ცენტრი დისკვალიფიცირებულია. თუმცა, ვფიქრობ, „აზოტს“ მის გარეშეც არ გაუჭირდება აუტსაიდერის დამარცხება, რომელსაც ძირითადად ხუთი კალათბურთელი ჰყავს, შეცვლაზე საიმედო არავინ ეგულება და მეორე წრეში ჯერაც არავინ დაუმარცხებია.

თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავასწრებთ. ჩვენ არაერთი შეხვედრა გვახსოვს, სადაც „შევარდენმა“ თავისზე ბევრად ძლიერ მეტოქეს მედგარი წინაალმდეგობა გაუწია და მატჩი მხოლოდ ბოლო წამებზეღა დათმო. იმედია, ლიდერთან ორთაბრძოლაში გუნდს სრული შემადგენლობით ვიხილავთ და „აზოტთან“ „შევარდენი“ კვლავ ღირსეულად ითამაშებს. თუმცა საამისოდ აუტსაიდერს დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

**ზურაბ გონაშვილი**

7 მარტი. ვერის ბაღი. 15 45 საათი

## კოლხა — ასკ

მერვე ეროვნული კარგა ხანია მიმდინარეობს და ახლანდელი მეტოქეები დღემდე ერთმანეთს არ დაპირისპირებიან. ამის მიზეზი ისაა, რომ ასკ მეორე წრიდან ჩაება ჩემპიონატში, პირველი წრის ყველა მატჩში წაგება ჩაეთვალა და თავისი წილი უშრომელი ორი ქულა „კოლხასაც“ ერგო. არმიელებს ეს მწარედ ახსოვთ და თუ ლიდერებს ვერას გამორჩნენ, მათებრ ცხრილის ბოლოში მყოფებისთვის ქულები გასაჩუქებლად არ ემეტებათ. მას შემდეგ, რაც „შევარდენი“ გაამწარეს, ბოლო ტურში მაკაბელების ჯავრის ამოყრას აპირებდნენ, მაგრამ მათ ალქმულ მიწაზე გაასწრეს. „მაკაბის“ დაბრუნების მოლოდინში შემდეგ ტურიც კარს მოგვადგა და ამასობაში ასკ მეორე შეჭირვებულს, სოხუმის „კოლხას“ ეთამაშება. ამთავითვე ნათელია, რომ მოგებას დანატრებული გუნდები ერთმანეთს არ დაზოგავენ და მოედანზე დაუნდობელი პაექრობა გაჩაღდება.

ახლა იმაზეც ვთქვათ, რომელ გუნდს აქვს გამარჯვების მეტი შანსი. ვფიქრობთ, ასკ-ს უკეთესად აქვს საქმე და მოწინაალმდეგის ძლევა მას უფრო ძალუძს. კოლხები კი ოთხი წამყვანი მოთამაშის წასვლას შავ დღეში ჩაუგდია. ძმები ქვილითაიების, ბერიასა და კვაჭაძის გარეშე სტუდენტური კლუბი ერთობ შესუსტებულია. „კოლხას“ თავკაცობამ სახელდახელო შევსება კი მიიღო, მაგრამ ძველი კოლხელები — პირველი, არველაძე და ქარუმიძე სათანადო სპორტული ფორმიდან ჯერაც შორს არიან. ეს ბიჭები „კოლხამ“ სდასუ-სთან მატჩშიც გამოიყვანა და გამარჯვებისთვისაც ყველაფერი იღონა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ძალა აღმართს ხნავსო და სოხუმელებიც შეხვედრის ბოლოს გატყდნენ. ასე რომ, „კოლხა“ არასრული შემადგენლობით უხვდება არმიელებს.

ასკ, ცხადია, სოხუმელთა კაცნაკლულობით ისარგებლებს და მოთამაშეთა რიცხვმრავლობით ეცდება ფონს გასვლას. თანაც ამ გუნდში არც ტანმაღალი მოთამაშეების სიმცირეა და კოლხთა ეულად დარჩენილი ცენტრის, უგრეხელიძის გამოთიშვაც შესაძლებელია. ერთი სიტყვით, არმიელებს უდავო უპირატესობა აქვთ სოხუმელებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ უკანახაზელების იმედად არიან. თუმცა, ამ უპირატესობას გამოყენება უნდა და ვნახოთ, როგორ მოახერხებს ამას ასკ.

**მამუკა ტულუში**



პირველი წრის აზოტი — შევარდენის მსგავსად, ზვიად ბაბიაშვილს (მარცხნივ) და მის რუსთაველ თანაგუნდელებს პრობლემები არც ახლა ექნებათ

საქართველოს ჩემპიონატი

# 16 ტური

# საუკეთესო მოთამაშე

## ნუგზარ კოკოლიშვილი

### •ვითა•



თსუ-სთან მოულოდნელი დამარცხების შემდეგ ექვსგზის ჩემპიონმა „ვითამ“ ჯავრი ერთპიროვნულ ლიდერ „აზოტზე“ იყარა და მიმდინარე ჩემპიონატში პირველი დამარცხება აგემა. კოლექტიურად მოთამაშე ჩემპიონთაგან ამჯერად თავი გამოიჩინა ნუგზარ კოკოლიშვილმა, რომელმაც პირველ ნახევარში დაცვაში კარგ თამაშს შესვენების შემდეგ გუნდისათვის კრიტიკულ მომენტებში შედეგიანი შეტევებიც დაურთო და მეტოქეს მატჩის ხსნის იმედი გადაუწურა.

**— ნუგზარ, როგორ გგონია, „აზოტთან“ შეხვედრაში მაყურებლებს თავი რით დაამახსოვრე?**

— კონკრეტულად ვერ გეტყვი, რადგან ძირითადად მწვრთნელის დავალებებით ვიყავი დაკავებული და რადგან ჟურნალისტთა ყურადღებაც დავიმსახურე, გამოდის, რომ კარგად შემისრულებია.

**— რა გევალებოდა მთავარი მწვრთნელისაგან?**

— ზონური დაცვის შემდეგ ჩემს ფრთაზე მოთამაშე გოგობერიშვილისა და გაბისონიას უვნებელყოფა.

**— სულ ეგ არის?**

— დაცვაში თამაშისა და მეტოქის პერსონალურად მეურვეობასთან ერთად, როდესაც თამაშის მსვლელობა მოითხოვს და თავდასხმაში მყოფი ჩუბინიძე გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებს, მის ადგილს ვიკავებ. ვიბრძვი თავისუფალი ბურთის დასაუფლებლად და წინა ხაზის მოთამაშეებისათვის ხელსაყრელი მომენტების შესაქმნელად. თუ შესაძლებლობა მომეცა, სამქულიანებსაც ვესვრი.

**— „აზოტთან“ შენს მიერ მოპოვებულ 16 ქულიდან 14 მეორე ნახევარზე მოდის. შესვენების შემდეგ თავდასხმაში აქტიურ თამაშს რითი ახსნი?**

— ფიზიკური მონაცემებით. მეტოქეს დაღლა დაეტყო და უფრო თავისუფლად მოქმედების საშუალება მქონდა.

**— შენ თუ გრძნობ დაღლას მოედანზე?**

— არასოდეს...

**— ფიზიკურ მომზადებას ბუნებრივი მონაცემებით ხსნი, თუ ვარჯიშით გამოიმუშავე?**

— ერთითაც და მეორითაც.

**— ალკოჰოლური სასმელებისა და სიგარეტის მიმართ როგორ ხარ განწყობილი?**

— სიგარეტი არასოდეს მომიწევია. რაც შეეხება სასმელს, წარმოშობით კახეთიდან ვარ და პირად საქმეებზე თითქმის კვირაში სამჯერ მიწევს იქ ჩასვლა. მეგობრები ყოველთვის მეპატიჟებიან მწვადსა და ხაშლამაზე, მაგრამ ღვინოზე მაინც ვერ დამითანხმეს.

**— კახელმა კაცმა და თანაც ასეთი ფიზიკური მონაცემების მქონემ ჭიდაობაზე რატომ თქვი უარი... კალათბურთში როგორ მოხვდი?**

— კალათბურთშიც ძალზე გვიან, 15 წლისამ დავიწყე ვარჯიში.

**— უფრო კონკრეტულად...**

— დავიბადე სიღნაღის რაიონში, 1971 წელს. 15 წლისა თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. ჩემი სიმაღლის გამო, 198 სმ ვარ, და, რა თქმა უნდა, კალათბურთის სიყვარულითაც, ვარჯიში დავიწყე ახალგაზრდულ „დინამოში“.

**— კალათბურთის გარდა სპორტის რა სახეობა გიტაცებს?**

— როდესაც საშუალება მაქვს, დიდი სიამოვნებით ვთამაშობ ფეხბურთს. რა თქმა უნდა, აქაც დაცვაში.

**— როგორც კალათბურთელს, რა მიგაჩნია შენს ნაკლად?**

— პატარაობიდან რომ დამეწყო ვარჯიში, დარწმუნებული ვარ, ბევრად უკეთ ავითვისებდი ბურთის ფლობის ტექნიკას.

**— „ვითას“ ავკარგიანობაზე რას მეტყვი?**

— ჩვენი შესაძლებლობები „აზოტთან“ შეხვედრაში კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ.

**— თსუ-თან რომ დამარცხდით?**

— ერთეული შემთხვევები გამორიცხული არაა. თანაც თსუ-ს თავდამსხმელმა ლევან მგალობლიშვილმა ისეთი ძნელი ბურთები ჩააგდო, რომ, მგონი, თავადაც გაუკვირდა.

**— ასეთი შემთხვევები მომავალშიც რომ განმეორდეს?**

— არა მგონია, ფლეი ოფში მოხვედრა გაგვიჭირდეს. იქ კი გუნდი ერთი მოგების იმედად ვერ იქნება.

**— „ვითას“ უმთავრესი მიზანი ფლეი ოფში თამაშია, თუ ჩემპიონობა?**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონობა

**— ჩემპიონებს ფინალში ვინ დაუპირისპირდება?**

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ დღეისათვის ყველაზე მეტი შანსი რუსთავის „აზოტს“ აქვს.

**როლანდ ლაგუჩიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა. მერვედფინალი. მეორე მატჩები. 4 მარტი

**ცსკა 98:105 *ეფესი***
**(სერია — 0:2)**

ცსკა: დაინეკო (26), დომანი (8), კარასიოვი (11), კისურინი, ნოსოვი (6), პანოვი (15), ტიხონენკო (19), ვეტრა (13)

ეფესი: აიდინი (7), ბეშოქი (9), დრობნიაკი (6), ევლიაოღლუ (3), ნაუმოსკი (36), სარიჯა (6), სავიჩი (20), თურქჯანი (13), თურქოღლუ (5)

**ულქერი 82:93 *ჟალგირისი***
**(სერია — 0:2)**

ულქერი: აჯიკი (2), ალიჰოჯიჩი, ერდენაი (32), ფირინჯიოღლუ (4), კოტუროვიჩი (11), რენკინი (14), თექინალფი (7), თუნჩერი (12), ილდირიმი

ჟალგირისი: ბოუი (18), ედნი (18), მასიულისი (6), მასკოლიუნასი (2), შტომბერგასი (25), ზიდეკი (9), ე. ჟუკაუკასი (6), მ. ჟუკაუსკასი (9)

**მაკაბი 55:70 *კინდერი***
**(სერია — 0:2)**

მაკაბი: ალექსანდერი (17), ბენუა (7), გუდესი (2), ჰენფელდი (3), კატაში (23), პოპა, რადულოვიჩი, შარფი, შეფერი (3), შელეფი

კინდერი: აბიო (6), ბინელი, კრიპა (2), დანილოვიჩი (13), ფროსინი (10), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (19), ოსალივანი (2), პანიჩი, რიგოდო (18)

***ტიმსისტემი* 88:64 პანათინაიკოი**
**(სერია — 2:0)**

ტიმსისტემი: დამიო (5), ფუჩკა (20), გაი (9), კარნიშოვასი (16), ლაცისი (5), მულაომეროვიჩი (15), მაიერსი (18)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (10), ბოდიროგა (22), ბუდურისი, ბურკი (4), ეკონომუ (7), ჯენტილე (3), კოხი (10), რაჯა (8)

***რეალი* 85:74 ფენერბაჰჩე**
**(სერია — 2:0)**

რეალი: ანგულო (17), ბერდი (15), ერეროსი (26), იტურბე (2), ლასა (12), მარტინი (2), სანტოსი, სტრიულენსი (11)

ფენერბაჰჩე: აბი (6), ენდენი (ენდელაძე), გილმორი, კალამიზა (15), ქურთოღლუ (7), ქუთლუაი (21), ლოხმანჩუკი (10), მაკრეი (13), ტაბაკი (2)

**ვარეზე 77:83 *ოლიმპიაკოსი***
**(სერია — 0:2)**

ვარეზე: დე პოლი, გალანდა (6), ჯადინი (3), მენეგინი (24), მრშიჩი (25), პოცეკო (4), სანტიაგო (6), ვესკოვი (7), ზანუს-ფორტი (2)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (1), გოლდვაიერი (30), კომაზეცი (5), ობერტო (9), პაპანიკოლაუ (1), როჯერსი (16), ტარლაკი (5), ტომიჩი (13), ცალიკისი (3)

**ციბონა 79:68 ვილერბანი**
**(სერია — 1:1)**

ციბონა: ბაგარიჩი, გირიჩეკი (7), გრგატი (18), კრსტიჩი (17), მარცელიჩი (8), ნიჩევიჩი (9), პრკაჩინი (6), ვრანკოვიჩი (14)

ვილერბანი: ადამსი (2), ბილბა (7), ბლომი (2), დიგბო (15), ჰენრი (7), პალმერი (5), პერსევო (6), პლუვი (5), რადი (19)

**პო ორტეზი 74:57 ოლიმპია**
**(სერია — 1:1)**

პო ორტეზი: აიშა (13), დევისი (8), ევოდო, ფატუ (5), ფუარე, დ. გადუ (3), ტ. გადუ (17), გრანტი (19), სხოლტენი (4), სმიტი (5)

ოლიმპია: დანეუ, დუშჩაკი (10), იურკოვიჩი, კოტნიკი (9), კრალევიჩი (6), მაკდონალდი (3), მუტავჯიჩი (2), ნოვაკი (2), ტეილორი (12), ზდოვცი (13)

*დაუმთავრებელ სერიებში გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 11 მარტს.*

*მეოთხედფინალები დაიწყება 23 მარტს. ერთმანეთს შეხვდებიან: ჟალგირისი — ეფესი; ტიმსისტემი — რეალი; ოლიმპია ან პო ორტეზი — კინდერი; ოლიმპიაკოსი — ციბონა ან ვილერბანი.*

# ესეც თქვენი პანათინაიკოსი!

ევროპა ნელ-ნელა მართლა უახლოვდება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაცის. ოკეანის გაღმა ხშირად ყოფილა, რეგულარულ სეზონში წარჩინებულს ფლეი-ოფის პირველსავე წრეში რომ წაეგოს აუტსაიდერთან. ახლა ევროლიგაშიც მსგავსი რამ მოხდა. ჯგუფური ეტაპის აბსოლუტური გამარჯვებული, რეკორდთა სერიის დამამხობელი ათენის „პანათინაიკოსი“ სამარცხვინოდ დამარცხდა იტალიურ „ტიმსისტემთან“. ბერძენთა მარცხი პირველ, საშინაო მატჩში მოულოდნელობად ჩაითვალა, მაგრამ რა ვუყოთ საპასუხო მატჩსა და 24-ქულიან წაგებას? კი მაგრამ, სად იყვნენ „პანათინაიკოსის“ სუპერვარსკვლავები? სადიყვნენ და ადგილზე, მოედანზე ბოდიროგამ კი ივაჟკაცა, მაგრამ თანაგუნდელებმა დაალალატეს — რაჯა ფუჩკას დაეჩაგვრინა, ეკონომუ—კარნიშოვასს. შედეგი: „ტიმსისტემი“ — ევროლიგის მეოთხედფინალში, „პანათინაიკოსი“ — საბერძნეთის ჩემპიონატში.

რუსეთმა წლევანდელ ევროლიგაში სამი გუნდით დაიწყო ასპარეზობა, ახლა კი უკვე აღარავინ ჰყავს. სლავთა ბოლო იმედს, ცსკა-ს თურქულმა „ეფესმა“ მიაყარა მიწა. მოსკოვში არნახულად დაძაბული მატჩი გაიმართა, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენას ორი ოვერტაიმი დასჭირდა. ძირითადი დრო 74:74 დასრულდა, პირველი ოვერტაიმი კი — 17:17 (!). რუსებს დაინეკო და პანოვი გაუვარდათ, თურქებს კი — აიდინი, ბეშოქი, სარიჯა და სავიჩი. „ეფესს“ პეტარ ნაუმოსკი ჰყავს, რომელმაც 13 პასი ჩამოარიგა, ხოლო 19 წლის ჰიდაიეთ თურქოღლუმ გადამწყვეტ მომენტში ჩააგდო სამქულიანი და მეოთხედფინალს ერთი თურქული გუნდილა შემორჩა.

„ულქერსა“ და „ფენერბაჰჩეს“, პრაქტიკულად, არანაირი შანსი არ ჰქონიათ, შესაბამისად „ჟალგირისთან“ და „რეალთან“. შეხვედრები ლოგიკურად დასრულდა. სამაგიეროდ, დიდი ბრძოლა გაიმართა ვარეზეში, სადაც „ოლიმპიაკოსმა“ ორ ოვერტაიმში მოახერხა მეოთხედფინალში გასვლა. შეხვედრა სულ ქულა-ქულაში მიმდინარეობად (ტაიმი 30:31, ძირითადი დრო — 57:57, პირველი ოვერტაიმი — 67:67). იტალიელები საუკეთესო მოთამაშეების — ანდრეა მენეგინისა და ველკო მრშიჩის პერსონალურებმა დალუპა. თანაც, ბოლოსკენ ბერძენთა სნაიპერები როჯერსი (4-დან 4 სამქულიანი) და გოლდვაიერი (11-დან 5 სამქულიანი) უფრო ნერვმტკიცენი აღმოჩნდნენ.

ევროლიგის შარშანდელმა ჩემპიონმა, იტალიურმა „კინდერმა“ თელ ავივში საპასუხო მატჩის პირველსავე ტაიმში გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური. იტალიელები შესვენებაზე 11-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ (37:26). მეორე ტაიმში კი მშვიდად გაუწელეს დროს ოდედ კატაშის ამარა დარჩენილ „მაკაბის“.

ორი მეოთხედფინალისტი კი მომავალ ხუთშაბათს გამოვლინდება ორ ფრანგულ-ბალკანურ დუელში. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სტუმარმა გუნდებმა („ვილერბანი“ და „ოლიმპია“) ენერგია არ დახარჯეს და ძალები გადამწყვეტი მატჩებისთვის შემოინახეს, სადაც თავად იქნებიან მასპინძლები. ალბათ ამას უნდა მივაწეროთ, რომ ამ ორ შეხვედრაში გამორჩეული და საინტერესო არაფერი მომხდარა.

**ბაჩა ხურციძე**

## რეგულარული ჩემპიონატი

# ვესტფოლმა შური ვერ იძია



REUTERS ჰიუსტონიდან

ჰიუსტონი — კლიპერსი. ჰიუსტონელმა ჩარლზ ბარკლიმ (ზემოდან) დერიკ მარტინს დამარცხება არ აკმარა და ახლა დახრჩობაც დაუპირა

4 მარტი

**სიეტლი 93:101 ფინიქსი**

სიეტლი: პეიტონი (9 ქულა, 11 პასი), ჰოკინსი (14), ოუენსი (9), ბეიკერი (15), პოლინაისი (7); შრემპფი (22 ქულა, 13 მოხსნა), ელისი (15), ვილიამსი (2), ბერი

ფინიქსი: კიდი (7 ქულა, 19 პასი), ჩეპმენი (23), მაკლაუდი (15), გულიოტა (18), მენინგი (13); რობინსონი (13), ბეილი (6), მორისი (4), ბრაუნი (2), კლაინი

„სიეტლ სუპერსონიქსის“ თავკაცმა პოლ ვესტფოლმა თავისი სამწვრთნელო კარიერა სწორედ „ფინიქს სანზში“ დაიწყო და ცუდად არ უძღვებოდა საქმეს. 1993 წელს, როცა ლიდერად ჩარლზ ბარკლი ჰყავდა, თავისი გუნდი ფინალშიც გაიყვანა, მაგრამ 1996 წელს ბარკლი ჰიუსტონში გადაბარგდა და ფინიქსმა წაგებებს უხშირა, ამიტომაც ვესტფოლი ერთხანს უმუშევრად დარჩა, სანამ სიეტლმა არ მიიწვია. ამ შეხვედრაში ფავორიტად მასპინძელი უფრო მიიჩნეოდა, მაგრამ ვესტფოლის ყოფილმა კლუბმა ყოფილი მწვრთნელის გუნდის ფავორიტობა არად ჩააგდო და მისსავე მოედანზე სძლია. შეხვედრაში ყველა ელოდა ლიგის ორი უძლიერესი გამთამაშებლის - სიეტლელი გერი პეიტონის და ფინიქსელი ჯეისონ კიდის დუელს, რომელიც შედგა კიდეც, ოღონდ ერთობ უფერულად — პეიტონმა თამაშში 16 სროლიდან მხოლოდ 3 ჩააგდო, კიდმა 10-დან — ორი. სამაგიეროდ, პასების განაწილებას მიჰყვეს ხელი, რაშიც კიდმა იმარჯვა და იმდენი პასი ჩამოურიგა თავისიანებს, ამ სეზონში ჯერ არავის მოუხერხებია, თან ისეთ ბურთებს აძლევდა პარტნიორებს, მათ ჩაგდების მეტი აღარაფერი რჩებოდათ. განსაკუთრებით იმარჯვა რექს ჩეპმენმა, რომელმაც მეტოქის კალათი აიკლო და პოლ ვესტფოლს ერთგვარი შურისძიება ჩაუშხამა. ჩეპმენს ბევრი სამქულიანი არ უსვრია (სულ ოთხი), მაგრამ ყველა ჩააგდო და ყველა საჭირო დროს. მატჩის შემდეგ კიდი მასზე იტყვის: რექსი ბუნებით რისკიანი და შეჯიბრისმოყვარული კაცია და თამაშზე ყოველთვის საბრძოლველად შემართული მიდისო.

პირველ ნახევარში ბრძოლა თანაბარი იყო, მაგრამ მესამე მეოთხედში სასწორი სტუმართა მხარეს გადაიხარა. სიეტლი წინ უკანასკნელად ამ მეოთხედის ბოლოს გავიდა — 65:64. მას შემდეგ, ჯერ კიდმა ჩააგდო ორქულიანი, მერე ჩეპმენის ჯერი დადგა. მან ჯერ სამიანი მოათავსა კალათში, შემდეგ საშუალო მანძილებიდანაც ივარგა და ფინიქსი მესამე მეოთხედის შემდეგ 75:69 გავიდა წინ. დასკვნით მეოთხედში გერმანელმა დეთლეფ შრემპფმა გაიბრძოლა: ვესტფოლმა იგი, იმის გამო, რომ წინა შეხვედრებში ბევრს ვერაფერს აკეთებდა, სასტარტო ხუთეულში არ დააყენა. ამით დამფრთხალმა ბებერმა გერმანელმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. სწორედ შრემპფის თავგამოდებით მასპინძელი პერიოდულად ახერხებდა ორიოდე ქულით წამოწეოდა სტუმარს, მაგრამ ჩეპმენმა დროული სამქულიანებით სიეტლს იმედები გადაუწურა.

**ვანკუვერი 93:102 მინესოტა**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22)
მინესოტა: გარნეტი (23)

ჩრდილოამერიკულმა „მინესოტა ტიმბერვულვზმა“ ისე მოუგო სამხრეთკანადურ „ვანკუვერ გრიზლის“, რომ თვალი არ დაუხამხამებია. უკვე პირველი ნახევარი მინესოტელმა მგლებმა კევინ გარნეტის და სტივენ მარბერის (16 ქულა, 11 პასი) მეთაურობით 62:45 მოუგეს ვანკუვერელ „გრიზლებს“, რომელთაც რამდენიმე გამარჯვება იმის წყალობით აქვთ, რომ თავის დარ სუსტ გუნდებთან ბევრმა თამაშმა მოუწიათ.

**კლივლენდი 84:99 დეტროიტი**

კლივლენდი: ანდერსონი (16)
დეტროიტი: ჰილი (28)

დეტროიტმა სეზონი ზედიზედ სამი მოგებით დაიწყო, შემდეგ ზედიზედ რამდენიმე თამაში წააგო, მაგრამ გუნდი ამჟამად კვლავ აღმასვლის გზაზეა და კლივლენდის სტუმრად ძლევით ექვსამდე გაიგრძელა წაუგებელი მატჩების სერია. კლივლენდი კი პირიქით: თავიდან კრიზისში იყო, მერე მოძლიერდა, მაგრამ შემდეგ კვლავ უკან-უკან წავიდა. დეტროიტი ამ მატჩამდე ფაქტობრივად ისე იგებდა, მის ლიდერ გრანტ ჰილს ლიდერობისა არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ამჯერად თავისიანთა მშვენიერ გარჯას მანაც თავისი დაამატა და იმდენი იბორგა, კლივლენდელებს მასზე ხშირი დაჯარიმების მეტი ბევრი არაფერი დარჩენოდათ. ჰილი კი მიზანში ისროდა, 19 საჯარიმოდან 16 ჩაუგდო მეზობელი ქალაქის გუნდს და იოლად მოგებული თამაშის შემდეგ თავისი გუნდის ქება-დიდებას მოჰყვა — კარგი გუნდი გვყავს და როცა თამაში გვინდა, ძნელად რომ ვინმემ ხელი შეგვიშალოსო.

**ნიუ ჯერსი 82:96 შარლოტი**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (28)
შარლოტი: პერსონი (21), ფილზი (20)

**ატლანტა 77:86 ტორონტო**

ატლანტა: ჰენდერსონი (18)
ტორონტო: ბრაუნი (16)

**დალასი 79:95 სან ანტონიო**

დალასი: ტრენტი (14)
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 12 მოხსნა), რობინსონი (20)

დალასს ჰყავს ერთი მოთამაშე — შონ ბრედლი, რომლისთვისაც ბუნებას უზარმაზარი სიმაღლე მიუცია. იგი 229 სანტიმეტრია, თუმც რად უნდა ეს სიმაღლე, თუ ვერაფერში გამოიყენა. ბრედლის ერთადერთი რაც ეხერხება, ეს დაფარებაა, სხვა არაფერი ძალუძს და არათუ ისეთ ძლიერ ცენტრებთან, როგორიცაა დევიდ რობინსონია, არამედ ლიგაში მისი ამპლუის მოთამაშის უმრავლესობასთან ბრძოლაში წაგებული რჩება. ასე იყო ამ მატჩშიც. მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, მეორე კი მხოლოდ ხელს უშლიდა.

**ჰიუსტონი 98:77 კლიპერსი**

ჰიუსტონი: ბარკლი (21 ქულა, 12 მოხსნა), დიკერსონი (20)
კლიპერსი: სმიტი (16)

კლიპერსს მაშინ უჭირდა ჰიუსტონთან გამკლავება, როცა რაღაცას წარმოადგენდა, ხშირ წაგებათა შორის თითო-ოროლა გამარჯვებას გამოურევდა ხოლმე და ახლა რაღას დააკლებდა, როდესაც ახალი სეზონის დაწყების დღიდან ერთი მატჩიც არ მოუგია. საერთოდ ჰიუსტონმა კლიპერსი ზედიზედ მერვედ დაამარცხა.

**მაიამი 95:87 დენვერი**

მაიამი: პორტერი (16)
დენვერი: ვილიამსი (21)

დენვერი ისედაც არ იყო მაიამის იოლად მძლეველი და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედას, რიფ ლაფრენცის ტრავმამ ხომ კიდევ უფრო დაასუსტა. თუმც ეს გუნდი გასული საშინელი სეზონის შემდეგ აღმავლობის გზაზე იდგა. მაიამის კი გარდა იმისა, რომ ძლიერი სასტარტო ხუთეული ჰყავს, საკმაოდ სოლიდური სათადარიგოთა სკამიც მოეძიება და დენვერს სწორედ მათ გამოუყვანეს წირვა. მაიამის სათადარიგოებმა დენვერელები 35:2 დაჯაბნეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 12 | 4 | 75,0 |
| მაიამი | 11 | 4 | 73,3 |
| ფილადელფია | 10 | 5 | 66,7 |
| ნიუ იორკი | 9 | 6 | 60,0 |
| ბოსტონი | 6 | 7 | 46,2 |
| ვაშინგტონი | 5 | 9 | 35,7 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 12 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 11 | 4 | 73,3 |
| დეტროიტი | 10 | 6 | 62,5 |
| მილუოკი | 8 | 5 | 61,5 |
| ატლანტა | 8 | 8 | 50,0 |
| კლივლენდი | 6 | 8 | 42,9 |
| ტორონტო | 5 | 9 | 35,7 |
| შარლოტი | 4 | 10 | 28,6 |
| ჩიკაგო | 4 | 12 | 25,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 12 | 3 | 80,0 |
| მინესოტა | 10 | 5 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 9 | 7 | 56,3 |
| სან ანტონიო | 8 | 8 | 50,0 |
| დალასი | 6 | 11 | 35,3 |
| დენვერი | 5 | 11 | 31,3 |
| ვანკუვერი | 4 | 12 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 11 | 3 | 78,6 |
| ლეიკერსი | 11 | 6 | 64,7 |
| სიეტლი | 9 | 5 | 64,3 |
| ფინიქსი | 9 | 7 | 56,3 |
| საკრამენტო | 7 | 9 | 43,8 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 9 | 40,0 |
| კლიპერსი | 0 | 14 | 0 |

# გერმანული დებიუტი

*მაებაშის მძლეოსნობის მეშვიდე ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანელ ათლეტთა გამარჯვებით დაიწყო. ტურნირის პირველი ოქროები მეჭოკე ქალმა ნასტია რიშიჩმა და სამხტომელმა ვაჟმა ჩარლზ ფრიდეკმა მოიპოვეს.*



REUTERS მაებაშიდან

ნასტია რიშიჩმა ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ოქრო მოიპოვა

ქალ მეჭოკეთა ასპარეზობა, მოსალოდნელისამებრ, დაძაბულად წარიმართა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თუკი აქამდე 4,35 მეტრს მხოლოდ რვა ქალი გადასცდენოდა, პარასკევს ოთხი საათის მანძილზე ხსენებულ სიმაღლეზე გადებულ თამასას დედაკაცები კიდევ რვაჯერ გადაევლნენ თავზე.

21 წლის ნასტიამ ოქროს მომტანი 4,50 მ უკანასკნელ ცდაზე აჩვენა. მეორე საფეხურს ისლანდიელი ვალა ფლოსადოტერი შესწვდა, რომელმაც შეჯიბრის მსვლელობისას ორჯერ გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი და საბოლოოდ 4,45-მდეც ავიდა. მსოფლიოს ჭერქვეშა რეკორდსმენმა, გერმანელმა ნიკოლ რიგერ-ჰუმბერტმა და უნგრელმა ჟუჟა საბომ 4,35-4,35-ით ბრინჯაოს მედლები ირგუნეს.

აი, ამავე სიმაღლეს შეწვდენილ ლეგენდარულ ავსტრალიელს, ემა ჯორჯს კი, რომლის ანგარიშზეც 17 მსოფლიოს რეკორდი სწერია, უცილობლად მოსაპოვები რაგინდარა მედალი მუხლქვეშ უეცრად გადამწყდარმა მყესმა დააკარგვინა.

რამდენადაც ქალთა ჭოკით ხტომა საჩემპიონატო მენიუში მხოლოდ მეორედ იყო წარმოდგენილი (თუ რაღაც ყველასათვის უცნობი მიზეზის გამო) ნასტია რიშიჩს აღთქმული 50 ათასის ნაცვლად მხოლოდ 37500 დოლარი არგუნეს. ნორჩმა გერმანელმაც — ეგ ამბავი სულ ჩემს გრძელ ფეხებზე მკიდიაო — ასე თქვა და ოქროს მონაგარი „გრინ დოუმის" პროჟექტორებზე აბრჭყვიალა...

მის 27 წლის თანამემამულეს, 1998 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებულს, ჩარლზ ფრიდეკს კი მაებაშური ოქრო შედარებით იოლად ერგო — ამისათვის მას მხოლოდ პირველსავე ცდაზე პირადი საუკეთესო შედეგის, 17,18 მეტრის გამეორება დასჭირდა. მისმა ბითურად მხტომელმა მეტოქეებმა, რომელთაგან განსაკუთრებულ ფხიანობას მსოფლიოს კუბელი ჭერგარე ჩემპიონის, იოლბი კესადასაგან მოელოდნენ, მის მიჯნას ეგრემც ვერ უწიეს. ბულგარელი როსტისლავ დიმიტროვი 17,05-ზე გადახტა, ხოლო ამერიკელი ლამარკ კარტერი 16,98-სა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

საერთოდ კი დღის პირველმა მონაკვეთმა შედარებით მშვიდად ჩაიარა. ბრიტანელ სპრინტერს, ჯონ რეჯისს თუ არ ჩავთვლით (1989 წლის ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მ-ზე რომ იხეირა და რატომღაც ახლაც ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა), მოსაგები აქ ყველამ მოიგო. ამასთან, თუკი ქალთა 200 მეტრიან ბილიკზე რუმინელმა იონელა ტირლეამ წლის უსწრაფესი შედეგი დააფიქსირა (22,64), ჩვენებურმა თამარ შანიძემ ეს მანძილი მხოლოდ 25,42-ში დაფარა და, სამწუხაროდ, ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა.

ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოს უძლიერესი ბირთვის მკვრელის ვინაობა ნიადაგ უკრაინელი ალექსანდრ ბაგაჩისა და ამერიკელ ჯონ გოდინას შორის ირკვევა. ერთი ეგაა, რომ — როგორც ეს, მაგალითად, პარიზის 1997 წლის ჭერქვეშა და ათენის იმავე წლის ჭერგარე ასპარეზებზე მოხდა — უკრაინელი ბირთვს ამერიკელზე შორს კრავს ხოლმე, მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ ამას დოპინგის საშუალებით აკეთებს და მისი ოქროც ავტომატურად გოდინას გადაეცემა. ამ ვაგლახი ტრადიციის პირველი ნახევარი არც მაებაშიში დარღვეულა. სლავმა მთაკაცმა ჭურვი გუშინ 21,41 მ-ზე გატყორცნა, ხოლო ამერიკელმა — მხოლოდ 21,06 მ-ზე. ტრადიციის მეორე ნახევრისა კი ჯერჯერობით არაფერი გავრცელებულა, ისე კი ყველას რატომღაც ეფიქრება, რომ ბაგაჩის შარდი ახლა ისეთივე ჰ ალალი უნდა იყოს, როგორც მისი გამარჯვების შემდგომი ღიმილი. რაც შეეხება გოდინას, მან კაცურად აღიარა, რომ სასურველი ფორმისგან ჯერ კიდევ შორსაა და ყველა ი-ზე წერტილის დასმასაც ჭერგარე სეზონის გახურებისას შეეცდება... ბრინჯაოს მედალი უკრაინელსავე იური ბელონოგს ერგო. მისი შედეგი 20,89 მ-ია.

დღის მორიგ უმნიშვნელოვანეს ამბავს კი ვაჟთა 3 კმ-იან სარბიელზე მოელოდნენ. თუმცა, რბოლა ისეთი უგემური გამოდგა და ეთიოპელმა ჰაილე გაბრსელასიემ თავისი მეშვიდე ტიტული, 50000 დოლარის ჩეკითურთ ისე იოლად ჩაიჯიბა, რომ მილეთმა ლამის სტვენა ატეხა. ეს მით უფრო, რომ ჰაილე რეკორდს ნახევარი წუთით ჩამორჩა და ტრასაზეც ისეთი არხეინი დაუდევრობით ირჯებოდა, ვითომც არაფერიაო. როგორც მერე გაირკვა, მის ამგვარ ქმედებას თავისი მიზეზი ჰქონია: „აქ ყველაფერი ისედაც მოყომარებული იყო, მე კი უკვე ხვალინდელ 1,5 კმ-იან რბოლაზე ვფიქრობდიო", განუმარტავს ჰაილეს.

და ბოლოს — ქება და დიდება ბრიტანელ სპრინტერ კოლინ ჯეკსონს, რომელსაც აქამდე 3-ჯერ ეასპარეზა ჭერქვეშა მსოფლიოს პირველობაზე და სამივეჯერ მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერებოდა. მისი ოქროვანი ოცნების ხელისშემშლელი მაებაშიში ვერავინ გამოდგა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მაებაშიდან

კოლინ ჯექსონს (მარცხნივ) მეოთხედ კი გაუმართლა

### 60 მ ბარიერებით

ქალები

1. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 7.86
2. გლორია ალოზი (ნიგერია) 7.87
3. კეტურა ანდერსონი (კანადა) 7.90

კაცები

1. კოლინ ჯექსონი (დიდი ბრიტანეთი) 7.38
2. რევი ტორინი (აშშ) 7.40
3. ფალკ ბალცერი (გერმანია) 7.44

### 3000 მ

კაცები

1. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) 7:53.57
2. პოლ ბიტოკი (კენია) 7:53.79
3. მილიონ ვოლდე (ეთიოპია) 7:53.85

### სამხტომი

კაცები

1. ჩარლზ ფრიდეკი (გერმანია) 17.18 მ
2. როსტისლავ დიმიტროვი (ბულგარეთი) 17.05 მ
3. ლამარკ გარტერი (აშშ) 16.98 მ

### ჭოკით ხტომა

ქალები

1. ნასტია რიშიჩი (გერმანია) 4.50 მ
2. ვალა ფლოსადოტერი (ისლანდია) 4.45 მ
3. ნიკოლ რიგერ-ჰუმბერტი (გერმანია) 4.35 მ

ჟუჟა საბო (უნგრეთი) 4.35 მ

### ბირთვის კვრა

კაცები

1. ალექსანდრ ბაგაჩი (უკრაინა) 21.41 მ
2. ჯონ გოდინა (აშშ) 21.06 მ
3. იური ბელონოგი (უკრაინა) 20.89

### სიმაღლეზე ხტომა

ქალები

1. კრისტინა კალჩევა (ბულგარეთი) 1.99 მ
2. სუსანა კოვაშიკოვა-ჰლავონოვა (ჩეხეთი) 1.96 მ
3. ტიშა ვალერი (აშშ) 1.96 მ

### ქალთა ხუთჭიდი

1. ლაშუნდრა ნათანი (აშშ) — 4753 ქულა
2. ირინა ბელოვა (რუსეთი) — 4691
3. ურსულა ვლოდარჩიკი (პოლონეთი) — 4596



# ახალი თაობა ირჩევს მოგებას



სარბიელის არქივიდან

ჟან მაიკლ გემბილი

**სკოტსდეილი. აშშ. ფრანკლინ ტემპლტონ კლასიკი. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

წლეულს „ტემპლტონ კლასიკმა" თავის ისტორიაში ყველაზე ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი (ტრავმას ხელი რომ არ შეეშალა, მარსელო რიოსიც აქ იქნებოდა), მაგრამ აქ მოასპარეზე სამი საუკეთესო ათეულელიდან მეოთხედფინალს მხოლოდ ერთმა უწია.

პირველი სენსაცია ოთხშაბათს 18 წლის ვუნდერკინდმა ლეიტონ ჰიუიტმა გააგორა, რომელმაც წლეულს უკვე მეორედ გაამწარა თანამემამულეთა კერპი პატრიკ რაფტერი: „მთავარი ის არის, რომ პატრიკი აშშ-ის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებული და მსოფლიოს მეხუთე ჩოგანია, რომლისგანაც ყველა ახალბედა იუნიორის დამარცხებას ელის. მთელი ზეწოლა მასზე იყო, მე კი არაფერი მქონდა დასაკარგი".

რაფტერს ურიგოდ არ დაუწყია — 4:4-ზე უმცროს კოლეგას ბრეიკი აართვა და პირველი სეტის მოსაგებად საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაღა სჭირდებოდა, მაგრამ აქ ორი ორმაგი შეცდომით შეეწია მეტოქეს და ანგარიში გაათანაბრებინა. დაახლოებით იგივე ტაი-ბრეიკზეც განმეორდა: ფავორიტი ჯერ 3:1-ით დაწინაურდა, მერე კი ბადესთან უხეირო თამაშით აქაც თავად გამოიჭრა ყელი. მეორე ხელში თინეიჯერის უპირატესობა უკვე აშკარა იყო — 7:6 (7:5), 6:1.

„ვფიქრობ, თავიდათავი ის არის, რომ ამჟამად საკუთარი შესაძლებლობების 60 პროცენტით თუ ვთამაშობ. მატჩში ბევრი შანსი მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე, რაც სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის ბრალია, მეორე სეტში კი გუნება უკვე წამხდარი მქონდა — ასე ახსნა რაფტერმა თავისი მარცხი, თუმცა არც მეტოქის შექება დავიწყებია — იგი ძალიან ცოტა შეცდომას უშვებს და იმაზე გაცილებით უკეთესად თამაშობს, ვიდრე მისი კლასიფიკაციით (90-ე) შეიძლება იმსჯელოთ".

ჯერ კიდევ შარშან ჰიუიტი დევისის თასის შეხვედრებზე რაფტერის ჩოგან-ალკაზმულობის მთრეველი და სპარინგ-პარტნიორი გახლდათ, ამ ორ თვეში კი უკვე მესამედ გავიდა ATP ტურნირების მეოთხედფინალში და თანამემამულეზე გაცილებით უკეთესი შედეგებითაც დაიკვეხნის: „შენი ქვეყნის პირველი ჩოგნის დამარცხება, თანაც ორჯერ, ძალიან სასიამოვნოა. იანვარში სიდნეიში ჩემი გამარჯვება ბევრს მოულოდნელი ეგონა, ამიტომ ეს მატჩი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო".

სენსაცია ნომერი ორის ავტორიც ახლადწამოჩიტული ჩოგბურთელი, 21 წლის ამერიკელი ჟან-მაიკლ გემბილი შეიქნა და მისი მსხვერპლიც ასევე სახელოვანი თანამემამულე, ოღონდ ამ შემთხვევაში თვით მსოფლიოს პირველი ჩოგანი, პიტ სამპრასი გახლდათ.

პისტოლ პიტს გემბილი აქამდე ორივე პირად შეხვედრაში დაემარცხებინა და განსხვავებულ შედეგს არც პირველი სეტი მოასწავებდა, რომელიც მან მეცხრე გეიმში გახერხებული ბრეიკის ხარჯზე 6:4 მოიგო. მაგრამ ეს იყო და ეს — სამპრასმა მეტოქეს მოწოდება ერთხელაც ველარ აართვა, თავისი კი 12 ეისის მიუხედავად, ორჯერ დათმო.

უმნიშვნელოვანესი შეხვედრის ბოლოსწინა გეიმი გამოდგა, რომელშიც ზუსტი მიღებისა და სამპრასის ორი უნებლიე შეცდომის ხარჯზე გემბილი 40:0 დაწინაურდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ერთი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მეორეზე კი მეტოქის დარტყმული ბადეს მოხვდა, მის მხარეს გადაგორდა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა — 4:6, 6:3, 6:4.

„რა თქმა უნდა, ეს ჩემი კარიერის უდიდესი გამარჯვებაა. წინა ორ შეხვედრაში თავი ძალიან არ შემირცხვენია, მაგრამ მაინც ვერ ვიფიქრებდი, თუ, ჩემი აზრით, ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს დავამარცხებდი. ასე ძლიერად შემოვლებებზე არასოდეს მითამაშია და არც ფსიქოლოგიურად ვყოფილვარ მზად" — განაცხადა მატჩის შემდეგ გემბილმა.

„შეიძლება ბადესთან ძალიან ხშირად გავდიოდი, მაგრამ სხვამხრივ საკუთარ თავთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. რა თქმა უნდა, ყველა მარცხი იმედგამაცრუებელია, მაგრამ საკმაოდ მაღალ დონეზე ვითამაშე და ოდნავ არ გამიმართლა" — თავი იმართლა სამპრასმა.

ყველაზე დაუმსახურებელი მეოთხედინალის საგზური კი ჟერომ გოლმარმა მოიპოვა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტი ნიკოლას „მაუგლი" ლაპენტი ფრანგს 5:3-ს უგებდა, როდესაც კოჭი ამოიტრიალა და მატჩის გაგრძელებაზე უარის თქმა მოუხდა.

მეორე წრე: **ანდრე აგასი** (3,აშშ) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:2, 6:0; **გორან ივანიშევიჩი** (4,ხორვატია) — ერნან გუმი (არგენტინა) 6:4, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (6,საფრანგეთი) — ენდრიუ ილი (ავსტალია) 6:1, 6:2; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:2; **მარკ ვუდფორდი** (ავსტრალია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:1.

**კოპენჰაგენის ღია პირველობა. დანია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 250 ათასი $**

მეორე წრის ანტიგმირი ATP ტურის ერთ-ერთი ყველაზე პატარა საპრიზო ფონდის მქონე ტურნირზე პირველად განთესილი შვეიცარიელი მარკ როსე შეიქნა. 1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლასიფიკაციით 92-ე კანადელ დანიელ ნესტორთან მატჩში სამი ჩოგანი დაამტვრია, 6:7 (6:8), 4:6 წააგო და ამის შემდეგ პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადდა.

მეორე წრე: **ბაირონ ბლეძი** (ზიმბაბვე) — ნიკლას კულტი (შვედეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:3; **უეინ ბლეძი** (ზიმბაბვე) — დავიდე სანგვინეტი (6,იტალია) 7:6 (7:2), 6:3; **მაგნუს გუსტაფსონი** (3,შვედეთი) — ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:7 (5:7), 7:5; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:3, 7:6 (7:4); **ფაბრის სანტორო** (4,საფრანგეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:1, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# ვინ რისი მაქნისია

## ხვალ მელბურნში იუბილეა: ფორმულა 1 50-ე სეზონს იწყებს

### მაკლარენი

ორი ტოპ-პილოტი და საუკეთესოდ მომზადებული შასი „მაკლარენს“ ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად აქცევს. ორივე პილოტი ალბათ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, გუნდის ხელმძღვანელობა კი მათ თანაბრად მომზადებული ბოლიდებით უზრუნველყოფს. გუნდს არც წლეულს უნდა ჰქონდეს რაიმე სერიოზული ნაკლი, მთავარია, პილოტები ერთმანეთთან ბრძოლით არ გაერთონ და ამით მეტოქეებს .საქმე არ გაუადვილონ.


REUTERS მელბურნიდან

ასე დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონმა მიკა ჰაკინენმა წლევანდელი პირველი ოფიციალური ვარჯიში

### ფერარი

კარგად მომზადებული შასი, მძლავრი ძრავა და ჩემპიონატში გამარჯვების უდიდესი წყურვილი, მშვენიერი გუნდური ტაქტიკა და მისი შემსრულებლები — ლიდერი მიხაელ შუმახერი და მისი ერთგული საჭურველთმტვირთველი ედი ირვინი იტალიელთა გუნდს „მაკლარენის“ მთავარ მეტოქედ გვისახავს. მთავარია, „სკუდერია“ მობილიზებული და კარგად გამართული შასით შეხვდეს ჩემპიონატს.

### უილიამსი

ფრენკ უილიამსის გუნდი წლეულს ახალი, უკეთ მომზადებული შასით იასპარეზებს. პილოტებიც მშვენიერი ჰყავს: CART-ის სერიის ორგზის გამარჯვებული ალექს ძანარდი და რალფ შუმახერი. მაგრამ ორივე პირველ სეზონს ატარებს გუნდში, თანაც ძანარდის „ინდი-კარში“ შეთვისებული მართვის მანერის შეცვლა მოუწევს, რალფს კი უფრო დაფიქრებულად ასპარეზობა მართებს. ეს პილოტები შესაძლოა სეზონის განმავლობაში პოდიუმზეც ვიხილოთ. მაგრამ რაიმე სერიოზულ წარმატებას ალბათ არ უნდა ველოდოთ. გუნდის ნაკლს შედარებით სუსტი ძრავა წარმოადგენს.

### ჯორდანი

ედი ჯორდანმა გუნდში ორი ძლიერი პილოტი მიიპატიჟა. ორივეს შეუძლია რბოლებში გამარჯვება, თანაც მათ ბოლიდებზე საკმაოდ მძლავრი ძრავებია დამონტაჟებული. გუნდი ეცდება გამარჯვებების შემატებას. მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ალბათ ვერ შეძლებს. შარშანდელი პოზიციის შესანარჩუნებლად კი ალბათ სერიოზულ პაექრობას გაუმართავს მეტოქეებს.

### ბენეტონი

ამ გუნდის „რევოლუციურ“ მოდელზე „სუპერტეკის“ შედარებით სუსტი ძრავაა დამონტაჟებული, რაც ორ ახალგაზრდა პილოტს საკმაო სირთულეებს უქმნის. თუმცა ფიზიკელაც და ვურციც სეზონის განმავლობაში ქულების მოპოვების კანდიდატთაგანი არიან და შესაძლოა ერთ-ორ პოდიუმსაც გამოკრან ხელი.

### ზაუბერი

ეს გუნდი წლეულსაც ერთ-ერთი საშუალო იქნება. ახალ შასიზე „ფერარის“ შარშანდელი, საკმაოდ მძლავრი ძრავაა დამონტაჟებული. სწორედ ეს აიმედებს გუნდის ხელმძღვანელობასაც და მის პირველ პილოტ ჟან ალეზისაც, რომელიც არავის დაუთმობს იოლად პოზიციებს. გუნდის მიზანი კი ხუთეულში მოხვედრა იქნება.

### ეროუსი

გუნდი ჩემპიონატს შარშანდელი მოდელით იწყებს. თანაც გამოცდილი პილოტი მიკა სალო იაპონელი ტაკაჯით შეცვალა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამათგან რაიმე წარმატებას არ უნდა ველოდოთ. თუმცა ახალი მოდელის და ფინანსური მდგომარეობის გამყარების შემდეგ, რაც შუა სეზონიდანაა მოსალოდნელი, გარკვეული პროგრესიც სავსებით შესაძლოა.

### სტიუარტი

გუნდს ახალი შასის და „ფორდის“ ახალი, უფრო მძლავრი და ჩემპიონატში ყველაზე მსუბუქი ძრავის დიდი იმედი აქვს. პილოტებიც გამოცდილი ჰყავს: ბარიჩელო და ჰერბერტი, რომელთაც ძალუძთ, ბრძოლა გაუმართონ მოწინავეებს და თუ შასიცა და ძრავაც საიმედო გამოდგა, შესაძლოა „სტიუარტი“ „პროსტისა“ და „ზაუბერის“ სეროზულ მეტოქედ მოგვევლინოს.

### პროსტი

„პროფესორი“ პროსტი ქულების მოპოვებას და ხელსაყრელ პირობებში პოდიუმზე მოხვედრას გეგმავს. მართლაც: გუნდის კონსტრუქტორ ბარნარდის მიერ მომზადებული შასი, ძლიერი და საიმედო „პეჟოს“ ძრავა, ტრულის და პანის სისწრაფე გვაფიქრებინებს, რომ ალენ პროსტი, როგორც ყოველთვის, რეალურ ამოცანას ისახავს და გუნდს გარკვეული წარმატებების შანსი გააჩნია.

### მინარდი

მუდმივი აუტსაიდერისგან არც წლეულს უნდა ველოდოთ რაიმე განსაკუთრებულს, თანაც შასიზე საკმაოდ სუსტი და ჭირვეული ძრავაა დამონტაჟებული. მართალია, ბადოერი „ფერარის“ ტესტ-პილოტი გახლავთ, მაგრამ სამი წელია, ჩემპიონატებში არ ურბოლია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქულებისთვის ბრძოლაში, მისი მეწყვილე ხენე კი დებიუტანტია და ტექნიკასა და ტრასებთან შეჩვევა სჭირდება.

### BAR

ჩემპიონატის დებიუტანტს ყოველგვარი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია (თუნდაც რბოლაში გამარჯვება). შასი „რეინარდის“ მიერ არის მომზადებული, ეს ფირმა კი ავტოსპორტის ნაბისმიერ კლასში მშვენიერ ბოლიდებს ამზადებს, თუმც ფორმულა 1 განსაკუთრებულია და გარკვეულ გამოცდილებას მოითხოვს. ვილნევი შესანიშნავი პილოტია და სისწრაფეში მას არც ახალი მეწყვილე ზონტა ჩამოუვარდება, ეგაა, გამოცდილება აკლია. ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ „სუპერტეკის“ ძრავა, რომელიც ძალით საკმაოდ ჩამორჩება მოწინავეებს. გუნდის ტექნიკურ-ფინანსური მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ სეზონის განმავლობაში მოსალოდნელია პროგრესი და გუნდი მოწინავეთა შორის მოხვედრასაც შეეცდება.

## F1

**პირველი ეტაპი** ავსტრალიის დიდი პრიზი

### ალბერტ პარკი

*მელბურნი, 7 მარტი*



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . 5.303 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . 58 წრე — 307.574 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით დილის 7 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:**

1. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1:31.45.996; 2. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) ჩამორჩა 0,702 წმ-ით; 3. ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი) ჩამორჩა 1 წრით; 4. ირვინი (ფერარი); 5. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი); 6. ჰერბერტი (ზაუბერი)

პოული — ჰაკინენი 1.30.010
საუკეთესო წრე — ჰაკინენი 1.34.126

სეზონის პირველ რბოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ აქ ჩნდება როგორც გუნდების რეალური შესაძლებლობანი, ისე ხარვეზები ბოლიდების კონსტრუქციაში. ამ რბოლის შედეგების მიხედვით გუნდების ხელმძღვანელები სამომავლო საქმიანობას განჭვრეტენ, ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრას იწყებენ.

არც წლევანდელი სადებიუტო რბოლა იქნება გამონაკლისი. განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ „გამოიჩენს თავს“ ახალი, ოთხღარიანი წინა საბურავები. ამ ეტაპზე უპირველესი ფავორიტები „მაკლარენი“ და „ფერარი“ არიან. მოწინავეთა შორის მოსალოდნელია „ჯორდანის“, „პროსტის“, „ბენეტონის“, „უილიამსის“ და BAR-ის გამოჩენაც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს, რადგან დიდი ხანია, ფორმულა 1-ში არ გამოჩენილა ასეთი ამბიციური და ფინანსურ-ტექნიკურად ძლიერი დებიუტანტი.

დებიუტანტები არიან პილოტთა შორისაც. BAR-ის ერთ-ერთს ბოლიდს ახალგაზრდა, ნიჭიერი ბრაზილიელი რიკარდო ზონტა გამოიყვანს საასპარეზოდ. პირველად მიიღებენ რბოლაში მონაწილეობას ესპანელები მარკ ხენე („მინარდი“) და პედრო დე ლა როსა („ეროუსი“). რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ფორმულა 1-ს დაუბრუნდნენ იტალიელები ალექს ძანარდი („უილიამსი“) და ლუკა ბადოერი („მინარდი“). ასე რომ, ეს რბოლა მათთვისაც გარკვეულწილად სადებიუტოდ შეიძლება ჩაითვალოს.

## გუნდების შემადგენლობანი

| | | |
|---|---|---|
| 1 | მიკა ჰაკინენი (ფინეთი) | მაკლარენ მერსედეს-MP-14 |
| 2 | დევიდ კულჰარდი (ბრიტანეთი) | მაკლარენ მერსედეს-MP-14 |
| 3 | მიხაელ შუმახერი (გერმანია) | ფერარი F-399 |
| 4 | ედი ირვინი (ირლანდია) | ფერარი F-399 |
| 5 | ალესანდრო ძანარდი (იტალია) | უილიამს-სუპერტეკ FW-21 |
| 6 | რალფ შუმახერი (გერმანია) | უილიამს-სუპერტეკ FW-21 |
| 7 | დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი) | ჯორდან-მუგენ ჰონდა-199 |
| 8 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (გერმანია) | ჯორდან-მუგენ ჰონდა-199 |
| 9 | ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია) | ბენეტონ-სუპერტეკ-B-199 |
| 10 | ალექსანდრ ვურცი (ავსტრია) | ბენეტონ-სუპერტეკ-B-199 |
| 11 | ჟან ალეზი (საფრანგეთი) | ზაუბერ-პეტრონას C 18 |
| 12 | პედრო პაულო დინიცი (ბრაზილია) | ზაუბერ-პეტრონას C 18 |
| 14 | ტორანოსუკე ტაკაჯი (იაპონია) | ეროუს FA-19 (FA-20) |
| 15 | პედრო დე ლა როსა (ესპანეთი) | ეროუს FA-19 (FA-20) |
| 16 | რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია) | სტიუარტ-ფორდ SF-3 |
| 17 | ჯონი ჰერბერტი (ბრიტანეთი) | სტიუარტ-ფორდ SF-3 |
| 18 | ოლივიე პანი (საფრანგეთი) | პროსტ-პეჟო AP-02 |
| 19 | იარნო ტრული (იტალია) | პროსტ-პეჟო AP-02 |
| 20 | ლუკა ბადოერი (იტალია) | მინარდი-ფორდ M-01 |
| 21 | მარკ ხენე (ესპანეთი) | მინარდი-ფორდ M-01 |
| 22 | ჟაკ ვილნევი (კანადა) | BAR-სუპერტეკ-01 |
| 23 | რიკარდო ზონტა (ბრაზილია) | BAR-სუპერტეკ-01 |

ყველა გუნდი ასპარეზობს „ბრიჯსტოუნის“ საბურავებით.

## 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარი

| თარიღი | ეტაპი | ტრასა | ტრასის სიგრძე | რბოლის დისტანცია | დასაწყისი ადგ. დროით |
|---|---|---|---|---|---|
| 7 მარტი | ავსტრალიის დიდი პრიზი | ალბერტ პარკი (მელბურნი) | 5.303კმ | 58 წრე — 307,574 კმ | 14.00 |
| 11 აპრილი | ბრაზილიის დიდი პრიზი | ინტერლაგოსი (სან-საულუ) | 4.292 კმ | 72 წრე — 309,024 კმ | 13.00 |
| 2 მაისი | სან მარინოს დიდი პრიზი | იმოლა | 4.930 კმ | 62 წრე — 305,699 კმ | 14.00 |
| 16 მაისი | მონაკოს დიდი პრიზი | მონტე კარლო | 3.367 კმ | 78 წრე — 262,626 კმ | 14.30 |
| 30 მაისი | ესპანეთის დიდი პრიზი | კატალუნია მონტ-მელო | 4.728 კმ | 65 წრე — 307,336 კმ | 13.00 |
| 13 ივნისი | კანადის დიდი პრიზი | ჟილ ვილნევი (მონრეალი) | 4.421 კმ | 69 წრე — 305,049 კმ | 13.00 |
| 27 ივნისი | საფრანგეთის დიდი პრიზი | მანი-კური | 4.250 კმ | 72 წრე — 305,814 კმ | 14.00 |
| 11 ივლისი | ბრიტანეთის დიდი პრიზი | სილვერსტოუნი | 5.140 კმ | 60 წრე — 308,405 კმ | 14.00 |
| 25 ივლისი | ავსტრიის დიდი პრიზი | A-1 რინგი | 4.319 კმ | 71 წრე — 306,649 კმ | 14.00 |
| 1 აგვისტო | გერმანიის დიდი პრიზი | ჰოკენჰაიმი | 6.823 კმ | 45 წრე — 307,022 კმ | 14.00 |
| 15 აგვისტო | უნგრეთის დიდი პრიზი | ჰუნგარორინგი | 3.968 კმ | 77 წრე — 305,536 კმ | 14.00 |
| 29 აგვისტო | ბელგიის დიდი პრიზი | სპა.ფრანკორშამპი | 6.968 კმ | 44 წრე — 306,592 კმ | 14.00 |
| 12 სექტემბერი | იტალიის დიდი პრიზი | მონცა | 5.770 კმ | 53 წრე — 305,772 კმ | 14.00 |
| 26 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი | ნიურბურგრინგი | 4.556 კმ | 67 წრე — 305,252 კმ | 14.00 |
| 17 ოქტომბერი | მალაიზიის დიდი პრიზი | სეპანგი | 5.542 კმ | 55 წრე — 304,810 კმ | 13.00 |
| 31 ოქტომბერი | იაპონიის დიდი პრიზი | სუძუკა | 5.864 კმ | 53 წრე — 310,582 კმ | 13.00 |

*კალენდარში მოსალოდნელია ცვლილებები, სათადარიგო ეტაპებია არგენტინისა და ჩინეთის დიდი პრიზები*

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ოცდამეათე

# კოლი უოლესის თავგადასავალი

იმ საღამოს ნიუ იორკში პრემიერა იყო. უჩვენებდნენ ფილმს „ჯო ლუისის თავგადასავალი“. „ჰოლიდის“ კინოთეატრის წინ ორი კაცი იდგა და ბროდვეის აფერადებულ ვიტრინების ცქერით იქცევდა თავს. პრემიერა წარმატებული იყო. სეანსი უკვე დამთავრებულიყო და კინოთეატრის კარებიდან ხალხი მოედინებოდა.

ერთ-ერთმა მაყურებელმა ქალმა, ჩანს მეტად დაუდგრომელი ხასიათის ვინმემ, დინჯად მოსაუბრე კაცები რომ შეამჩნია, ჯიქურ მიეჭრა და მათ და ერთ-ერთს, უფრო ახალგაზრდას ბედნიერებით გაცისკროვნებულმა მიაყარა: „მისტერ ლუის, თქვენ ჩემი გმირი ხართ! ბედნიერი ვარ რომ გნახეთ. მსოფლიოში არ არსებობს თქვენზე დიდი ადამიანი! თქვენს გვერდით მიგულეთ...“

კაცები უსმენდნენ ამ ქალის სახოტბო სიტყვებს და იღიმოდნენ.

ბოლოს უფრო ახალგაზრდამ ვერ მოითმინა და შეაწყვეტინა: „მემ, აი, ჯო ლუისი“ და კომპანიონზე მიათითა.

ქალი გაოგნდა.

„მაგრამ ის უფროსია!“ აღმოხდა ქალს.

უფრო ახალგაზრდას კოლი უოლესი ერქვა, თავადაც მოკრივე იყო და ფილმში ჯო ლუისს ასახიერებდა.

ქვეყნად ერთადერთი ჯო ლუისი, ერთადერთი „ყავისფერი ბომბდამშენი“ არსებობდა, მაგრამ 50-იანი წლების ამერიკაში ხშირად ერეოდათ კოლი უოლესი და დიდი ჩემპიონი. კოლი საოცრად ჰგავდა ახალგაზრდა ლუისს, ხოლო მას შემდეგ, რაც „ჯო ლუისის თავგადასავალში“ შეასრულა მთავარი როლი, ჯო ლუისისავე სიტყვებით, მის „სახალხო გამოხატულებად“ იქცა.

კოლი უოლესს სიყმაწვილიდანვე „პატარა ჯოს“ ეძახდნენ. ჯერ მუშტი არ გაექნია ხეირიანად და უკვე დიდ საკრივო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. თვით „რინგმაც“ კი 1948 წელს დაწერა, დიდი საკრივო სამყაროს ზღურბლზე ახალი ჯო ლუისი დგასო. ეს საკვირველიც იყო და მოულოდნელიც. სრულიად უცნობ მძიმეწონოსანს ადარებდნენ კაცს, რომელსაც თორმეტ წელწადს ეპყრა ჩემპიონის გვირგვინი. შედარება გარეგნული მსგავსებიდან იწყებოდა, თუმცა რინგზე მთავრდებოდა.

კოლი უილისი სამხრეთში დაიბადა. ცამეტ წლამდე ფლორიდაში, ჯეკსონვილში ცხოვრობდა, მაგრამ მერე ოჯახი იძულებული შეიქნა აყრილიყო და უფრო ჩრდილოეთით, ვირჯინიაში, რიჩმონდში გადმობარგებულიყო. ცამეტი წლის კოლი სასტუმროში მსახურობდა ხელის ბიჭად. იქ ერთმა თეთრმა ქალბატონმა ნომერში შეიტყუა და კაცად აქცია. უოლესს ლინჩის წესით გასამართლება ემუქრებოდა და ოჯახიც, ამ მიზეზით აიყარა.

„მაშინ სამხრეთში სხვაგვარი კანონები მოქმედებდა. შავ ბიჭს თუ თეთრ ქალთან დაიჭერდნენ, ყულფს გადააცმევდნენ თავზე“, — იხსენებს დღეს უოლესი.

ახლა ის 71 წლისაა და ნიუ იორკში ცხოვრობს.

მამამისი რკინიგზაზე მსახურობდა და როდესაც კოლი უფროს კლასებში სწავლობდა, მტვირთავად მსახურობდა რიჩმონდის რკინიგზის სადგურზე — მგზავრებს ჩემოდნების თრევაში შველოდა. ერთხელაც, როცა მორიგ მგზავრს ჩაულაგა ჩანთები ტაქსის საბარგულში, უცნობმა მოხედა და ალალად ჰკითხა: „ბიჭო, კრივისა იცი რამე? ამხელა ხარ, წადი იჩხუბე. რინგზე კარგი ფულია“.

მერე კოლი ჯარში გაიწვიეს. ხელთათმანებიც იქ მოირგო პირველად და ნიუ ჯერსიში განლაგებული ფორტ დიქსის ჩემპიონიც გახდა მძიმე წონაში.

მერე კი იყო ნიუ იორკის სამოყვარულო კრივის კლუბები, სადაც უოლესს ახსენებდნენ, როგორც „ჯო ლუისის შემდეგ ყველაზე კარგ მოყვარულ მძიმეწონოსანს“. და თან, როგორ ახსენებდა ხალხს ჯო ლუისის სიყმაწვილეს!

„ნიუ იორკ ტაიმსი“ დიდად აქებდა კოლის, რახანია მოყვარულის ჩხუბს ამდენი ხალხი არ მოუზიდავსო. კოლი კი ნოკაუტს ნოკაუტზე აცხობდა. 1948 წელს, „ოქროს თათმანის“ პირველობაზე, რიჯვუდ გროუს არენაზე კოლი შეეტაკა მაშინ ასევე განთქმულ მოყვარულ როკი მარჩიანოს. ბრუკლინში გამართული ეს შეხვედრა სულაც არ გამოდგა ძნელი უოლესისთვის. მსოფლიოს მომავალი დაუმარცხებელი ჩემპიონი მაშინ ერთი უტექნიკო, დაქოქილი, აგრესიული ვინმე იყო. გაუჩერებლად იქნევდა მუშტებს, მაგრამ როგორც კრივის მეისტორიენი აღნიშნავენ, ეს იყო კლასიკური მებრძოლის შეყრა ველურ ძალასთან. უოლესმა ორჯერ დასცა ძირს მარჩიანო და ულაპარაკოდ გაიმარჯვა.

იმ წლის „ოქროს თათმანის“ ფინალი „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართა. გაიყიდა 17,926 ბილეთი და კოლიმ დაამარცხა პიტსბურგელი ბობი ბეიკერი.

გაიჭედა „მედისონ სკვერ გარდენი“ უოლესისა და კლარენს ჰენრის შერკინების დღესაც. ჰენრი ჩიკაგოს „ოქროს თათმანის“ ჩემპიონი იყო და კოლიმ კვლავ იმარჯვა. შემდეგ მან პირველსავე რაუნდში დაამარცხა სენტ ლუისელი გოლიათი ბინ ბანგერტი და შედეგით 17-1 გამოეთხოვა სამოყვარულო რინგს.

კოლი უოლესის პროდებიუტი შთამბეჭდავი აარონ უილსონი გამოაცხადეს. თავის დროზე აარონ უილსონიც „ოქროს თათმანის“ ჩემპიონი იყო. 1946 წლის შემდეგ პროფესიულ რინგზე ირჯებოდა და რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვებითაც იცნობდნენ. მაგალითად, მას გაელახა მარჩიანოს გვირგვინის პრეტენდენტი დონ კოკელი. უილსონს იცნობდნენ აგრეთვე, როგორც იმავ მარჩიანოს საუკეთესო სპარინგ-პარტნიორს. ამბობდნენ კიდეც, ძნელი გასარკვევია, როკია უილსონის სპარინგ-პარტნიორი, თუ უილსონი მარჩიანოსიო.

მოკლედ, უილსონი იმავე „მედისონ სკვერში“ დაეჯახა უოლესს და შეუტია. მის უპირატესობას, ჭკუასა და ზუსტ დარტყმებს უკანასკნელ რაუნდში გადაესვა ხაზი — კოლიმ დასცა მოწინააღმდეგე და ამგვარად შემოატრიალა წაგებული ბრძოლა. მატჩ-რევანში ორი თვის შემდეგ გაიმართა „სენტ ნიკოლას არენაზე“ და უოლესმა ორ რაუნდში მოაგვარა საქმე — აარონ უილსონი საკაცით გაიტანეს.

შემდეგ კოლიმ იოლად ჩაამთავრა ორი ბრძოლა და მიუახლოვდა თავისი კარიერის უმნიშვნელოვანეს წერტილს. მის მორიგ მეტოქედ შეეგულებინათ კაცი, რომელსაც ორმოციან წლებში უწოდებდნენ „გახანგრძლივებულ მსოფლიო ჩემპიონს“. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ჯო ლუისი ჯარში იყო, მსოფლიო ჩემპიონობა



**კადრი ფილმიდან — კოლი (ჯო ლუისის როლში) ტახტზე წევს. მსახიობი ჯიმს ედვარდსი მის მწვრთნელს ჯეკ ბლეკბერნს ასახიერებს, კარლო ლეტიმური კი მის ჰალსტუხიან ადვოკატს, სტურ პაინს**

იყო. 1950 წელს ზედიზედ ცხრა ბრძოლა მოიგო. ჯო ლუისი დაბრუნდა და ის, ახალი ჯო ლუისი, კვლავ იმეორებდნენ. მაგრამ კოლი როგორღაც დადგა, საშუალო მოკრივეთა კედლის გამონგრევა გაუჭირდა. მისი ყველაზე ეფექტური გამარჯვება 1951 წლის 16 თებერვალს იყო. კოლის ეპაექრებოდა დეტროიტელი ნოკაუტის ოსტატი ვერნ მიჩელი. კოლიმ ნოკაუტით მოუგო ნოკაუტის ოსტატს. ეს იყო პირველი ასეთი წაგება იატაკზე გაშხლართული დეტროიტელის კარიერაში.

ამასობაში, ჯო ლუისი ველარ ჯო ლუისობდა. ტიტულიც დაეთმო და აშკარად მობერებულიყო. მარჩიანოსთან დამარცხებული, მეორეხარისხოვან ბრძოლებში შოულობდა ფულს. მაგრამ ბრუკლინელ მენეჯერებს ერთი სარფიანი აზრი მოუვიდათ თავში — მოდი, ორი ჯო ლუისი გამოვიყვანოთ რინგზეო. ნამდვილი ჯო ლუისი საღამოს მთავარ შერკინებაში გამოვიყვანოთ, კოლი უოლესი კი ანდერქარდში ვაჩხუბოთო. ორი ჯო ლუისი ერთ საღამოს — „მედისონ სკვერ გარდენი“ ნაღდად გაივსებოდა. გაივსო კიდეც, თუმცა, იმ საღამოს რინგზე გამოსული „ორი ჯო ლუისიდან“ არცერთი იყო ნაღდი.

როგორც მედიამ იხუმრა, ჯო ლუისის აჩრდილებმა ვერ გაამართლეს. ნამდვილი ჯო ლუისიც იმ ძველი ჯო ლუისის აჩრდილი იყო. ზრდილობის გულისათვისლა უქნევდა მუშტებს ლი სევოლდს (თუმცა სევოლდს ესეც ეყო). ახალგაზრდა „ჯო ლუისმა“ კი მაყურებელი გააოგნა. კოლი უოლესი ხვდებოდა ერთ უსახელო ვეტერანს, რომელსაც ერსკინ ბრაზერზი ერქვა. ამ ბრაზერზმა მეორე რაუნდის მეორე წუთზე დააგდო უოლესი. პუბლიკა ყაყანით დაიშალა.

„იმ საღამოს თავში კრივი არ მქონდა“, — იხსენებს კოლი — „ოჯახში ვერ მოვაგვარე საქმეები და დავისაჯე კიდეც. ბრაზერზმა ვერ გაბედა და მეორედ არ შემხვდა. იცოდა, შუაზე გავხევდი“.

ის, რომ „შუაზე გახევა“ ხელეწიფებოდა, კოლიმ მალევე დაამტკიცა. მის მორიგ მეტოქედ ეპყრა ჯიმი ბივინს, სწორედ ამ „გახანგრძლივებულ ჩემპიონს“. ბივინსი 1940 წლიდან პროფესიონალი იყო და თავის პირველსავე ბრძოლაში დაემარცხებინა ლეგენდარული ჩარლი ბარლი.

უოლესთან შეხვედრის ჟამს ბივინსი 37 წლისა მოყრილიყო. სხვადასხვა დროს მას დაემარცხებინა ბილი სუსი, გას ლესნევიჩი, ჯო მაქსიმი, ეზარდ ჩარლზი და არჩი მური. ეს შერკინება კი კვლავ „სენტ ნიკზე“ გაიმართა. უოლესი გონივრულად კრივობდა, მისი ჯები სტანჯავდა „გახანგრძლივებულს“. მეცხრე რაუნდის წინ კოლი წინ იყო, 7-1, 6-2, 5-3 (მაშინ გამარჯვებას რაუნდებით ითვლიდნენ და არა დარტყმებით). სწორედ მეცხრე რაუნდში მოიქნია ხელი ბივინსმა. მარჯვენა იყო. კოლი ფეხზე დარჩა, მაგრამ 17 წამში ბრძოლა დასრულდა.

„შევცდი“, — იხსენებს კოლი.

1953 წელი იმით დაიწყო, რომ უოლესი სარეიტინგო ცხრილში მოხვდა და საუკეთესოთა შორის გაერია. ბილი იანგთან შესახვედრად ემზადებოდა, როცა ჰოლივუდიდან დარეკეს. მალე სავარჯიშო დარბაზში რეჟისორი სტირლინგ სილიფანტი გამოჩნდა და კოლის კინოზე დაუწყო ლაპარაკი, „ჯო ლუისის თავგადასავალის“ სცენარი უჩვენა და უთხრა, სტუდია „იუნაიტედ არტისტს“ წელს აპირებს ამ სცენარის ფილმად გარდასახვასო. სილიფანტს გაეგონა, ერთი კარგი მოკრივეა, ჯო ლუისს ძალიან ჰგავსო და პირადად უნდოდა, ენახა. რეჟისორი გაგიჟებული იყო, ასეთი მსგავსება არც მინახავსო. პირველივე საუბრის ბოლოს გადაწყდა — კოლი უოლესი ჯო ლუისის როლს შეასრულებდა.

ფილმი „ყავისფერი ბომბდამშენის“ ბავშვობიდან იწყებოდა და სრულდებოდა მარჩიანოსთან ჩხუბით.

გადაღებები ოთხ თვეს მიმდინარეობდა, ნიუ იორკის ახლოს გროსინგერის საწვრთნელ ბანაკში, ოღონდ რეჟისორს ორთაბრძოლები არ დაუდგამს. ფილმში მრავლად იყო ჯო ლუისის ჩხუბების დოკუმენტური კადრები. კოლი უოლესს კი ერთადერთ რამეს ურჩევდნენ: „დაივიწყე ვინცა ხარ და ამავდროულად იმად დარჩი, ვინც ხარ“.

ფილმი კარგად მიიღეს. კოლი უოლესს მსახიობობის ნიჭი გამოაჩნადა. „ნიუ იორკ ტაიმსი“, „ტაიმი“, „ნიუსვიკი“, მის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ. სილიფანტსაც აქებდნენ, მთავარი როლის შემსრულებელი ზუსტად შეარჩიაო. „კათოლიკ ვორლდი“ წერდა, უოლესის მთავარი ღირსება ის არის, რომ საოცრად ბუნებრივად გამოიყურება და ვერც იფიქრებ, რომ ჯო ლუისს ვიღაც სხვა კაცი თამაშობსო.

1978 წელს გამოცემულ თავის ავტობიოგრაფიაში ჯო ლუისმაც გაიხსენა ეს მივიწყებული ფილმი და მას „არცთუ ცუდი, მაგრამ არც ძალიან კარგი“ უწოდა.

კოლი უოლესი კი დღესაც ღიმილით იხსენებს იმ დროს:

„ჯოს ძალიან ვუყვარდი, ყოველთვის „უმცროსს“ მეძახდა. „უმცროს“ ბომბდამშენს გაუმარჯოსო, ასე მეტყოდა ხოლმე. ყოველი შეხვედრისას ქვითრების წიგნაკს გააძრობდა ჯიბიდან, ას დოლარს გამოწერდა და მჩუქნიდა. დღეში ორჯერ რომ გვენახა ერთმანეთი, ორჯერვე მჩუქნიდა. ბევრს ვიცინოდით ამის გამო. ჯო კი ამბობდა, აბა რა, უფროსი ძმა ყოველთვის უნდა ჩუქნიდეს ფულს უმცროს ძმასო“.

საკრივო კარიერა კი გრძელდებოდა. თუმცა, ჟურნალ „ლაიფის“ ლამის ფილოსოფიური შეკითხვა მართალი აღმოჩნდა.

„შეძლებს კი კოლი უოლესი დაივიწყოს, რომ ერთხანს ჯო ლუისს წარმოადგენდა? უნდა კი მას რინგზე დგომა?“

ამ შეკითხვას ეზარდ ჩარლზმა უპასუხა. მან სან ფრანცისკოს „სივიქ აუდიტორიუმში“ იმგვარად აბურთავა საერთო რეიტინგში მეცხრე ადგილზე მდგომი კოლი, რომ მერვე რაუნდში რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. იმავე 1954 წელს ბობ ბეიკერმა ორჯერ ზედიზედ დაამარცხა უოლესი და პატარა ჯო ლუისიც დიდი ჯო ლიუისის გზას შეუდგა — კრივს გამოეთხოვა. 20 მოგებითა და 7 მარცხით მან რიგით მოკვდავთა შორის დაიმკვიდრა ადგილი.

„მაღალი ბიჭი იყო. მაშინ მაღლებს უჭირდათ, დღევანდელი ფიზიკური ძალმოსილებისა არაფერი ეცხოთ. კოლის კრივისა ბევრი გაეგებოდა, მაგრამ განხორციელება უჭირდა. პროფესიონალებს შორისაც კი „ოქროს თათმანს“ მომგებ ბიჭად დარჩა“, — ასე შეაფასა უოლესის კარიერა კრივის მეისტორიემ ჰენკ კაპლანმა.

მის წასვლას მხოლოდ როკი მარჩიანო განიცდიდა. ისე გაიძრო ხელთათმანები, რომ ვერ შევხვდიო. გველის ნაკბენივით ახსოვდა სიყმაწვილეში ნაწვნევი მარცხი.

შემდეგ კოლი დალაქობდა, აქა-იქ ფილმებშიც გაიელვებდა. სულ ბოლოს, მივიწყებული და მოხუცი მარტინ სკორსეზემ მონახა ნიუ იორკში და თავის „ცოფიან ხარში“ გამოაჩინა ეკრანზე.

„მე კმაყოფილი ვარ“, — ამბობს მოხუცი, რომელიც ჯო ლუისს ჰგავდა — „თავს ღირსეულ კაცად ვთვლი“.



**დაუვიწყარი წუთი — კოლი უოლესი როკი მარჩიანოს ამარცხებს**



**საშუალო წონის ჩემპიონი რენდი ტარპინი და ორი „ჯო ლუისი“ — კოლი უოლესი და ნამდვილი ჯო ლუისი**


REUTERS სენტ მორიციდან

რენატა გოეტჩლი გამარჯვებას მიეჩვია

# შიფერერმა სასიდედროს თავი მოაწონა

ნორვეგიელმა ლასე კიუსმა გასულ უქმეებზე გერმანულ ოფშტერვინგში მსოფლიოს თასის ორი ეტაპი ავადმყოფობის გამო გამოტოვა და პირველობასაც დაემშვიდობა. იქეთ კიდევ ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა სლალომში ვერ ივარგა, ამით, აქამდე კიუსსა და „ჰერმინატორის" ჩრდილში მყოფმა ნორვეგიელმა ანდრე ამოდტმა ისარგებლა, ჩინებულად ისრიალა და საერთო ჩათვლის სათავეშიც მოექცა.

ასეთი სატურნირო ვითარებით ესტუმრნენ სამთომოთხილამურე კაცები ნორვეგიულ კვიტფჯელის ფერდობებს და ერთმანეთს სწრაფდაშვებაში გაეჯიბრნენ. ლასე კიუსს სურდო მოერჩინა, მაიერი გამარჯვებას ეშურებოდა. ამოდტიც ლიდერობის დათმობას არ აპირებდა. ერთი სიტყვით, სათხილამურო სამყაროს სამ უძლიერს სპორტსმენს თავისი ძალა ასპარეზობისას უნდა დაემტკიცებინა.

საქმეში კი მსოფლიოს თასის ხუთი ეტაპის მომგები ავსტრიელი ანდრეას შიფერერი ჩაერია. ანდრეასმა, რომელსაც თურმე გულის ვარდად ნორვეგიელი ლამაზმანი ჰყოლია შეგულებული, სატრფოსა და სასიდედროს თვალწინ თავის შერცხვენა იუკადრისა და საუკეთესო დრო 1:46.36 წუთი აჩვენა, კარიერაში მეექვსე ეტაპზე გაიმარჯვა და მომხიბვლელი მარიც ძლიერ გაახარა. ლიდერთაგან ყველაზე უკეთ ისევ და ისევ ანდრე ამოდტმა ისრიალა. მესამე ადგილზე გავიდა და პირველობაც შეინარჩუნა. ლასე კიუსი მეოთხე ადგილს დასჯერდა, მაგრამ ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა სწრაფდაშვების ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. საერთო ჩათვლაში კი ლასემ მეორეზე გადაინაცვლა და ახლა ჰერმან მაიერს 21 ქულით უსწრებს.

სამთომოთხილამურე ქალებიც სწრაფდაშვებაში, ოღონდ შვეიცარიის სენტ მორისში ეჯიბრებოდნენ ერთურთს. წინა ეტაპის მსგავსად, აქაც ბადალი არ ჰყავდა ავსტრიელ რენატა გოეტჩლის (1:48.65). მეორეც, ავსტრიელი მიქაელა დორფმაისტერი (14:48.95) იყო. მესამე კი იტალიელი იზოლდე კოსტნერი (1:49.77). მსოფლიოს თასის ლიდერებმა ალექსანდრა მაიზნიცერმა და გერმანელმა ჰილდე გერგმა ერთნაირი დრო (1:50.34) აჩვენეს და მეექვსეზე გავიდნენ.

საერთო ჩათვლაში სატურნირო ვითარება ასე გამოიყურება:

1. ალექსანდრა მაიზნიცერი (1490); 2. ჰილდე გერგი (1091); 3. მარტინა ერტლი (987); 4. პერნილა ვიბერგი (924); 5. რენატა გოეტჩლი (905).

**სოსო ქოტორეიშვილი**

## მსოფლიოს თასი

### ვალკარტიერი. ბიატლონი. 10 კმ სპრინტი.

#### კაცები

| | |
|---|---|
| 1. ოლეგს მალუშინსი (ლატვია) | 28:59.7 |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 29:15.9 |
| 3. ფროდე ანდრესენი (ნორვეგია) | 29:16.2 |
| 4. ვადიმ საშურინი (ბელარუსი) | 29:18.4 |
| 5. ჰავარდ ჰანეკოლდი (ნორვეგია) | 29:33.9 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ფრანკ ლუკი (გერმანია) | 346 |
| 2. სვენ ფიშერი (გერმანია) | 337 |
| 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 331 |
| 4. რიკო გროსი (გერმანია) | 291 |
| 5. რაფაელ პიორე (საფრანგეთი) | 280 |

### კუოპიო. ფინეთი.

#### ტრამპლინიდან ხტომა — K 120

| | |
|---|---|
| 1. მარტინ შმიდტი (გერმანია) | 250.9 |
| 2. კაზიუში ფუნაკი (იაპონია) | 250.1 |
| 3. ნორიაკი კასაი (იაპონია) | 243.3 |
| 4. შტეფან ჰორნგახერი (ავსტრია) | 242.3 |
| 5. სვენ ჰანავალდი (გერმანია) | 241.8 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. იანე აჰონენი (ფინეთი) | 1462 |
| 2. მარტინ შმიდტი | 1288 |
| 3. კაზიუოში ფუნაკი | 1223 |
| 4. ნორიაკი კასაი | 1093 |
| 5. ანდრეას ვინდჰოლზლი (ავსტრია) | 801 |

# ბავშვს დაბადების დღე ჩაუშხამეს

4 მარტი

**ფილადელფია — ოტავა 0:5**

0:1 0:0 0:4

0:1 იაშინი 1'00 (30); 0:2 იაშინი 43'59 (31); 0:3 ალფრედსონი 57'05 (9); 0:4 იაშინი 59'06 (32); 0:5 მაკიჩერნი 59'30 (28)

ასეთი საშინელი დებიუტი ფილადელფიის მეკარე ჟან მარკ პელეტიეს არც კი დაესიზმრებოდა. ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ „მფრინავთა" მწვრთნელებმა ორი ძირითადი მეკარე დაასვენეს და ახალბედა გოლკიპერს, რომელსაც იმ დღეს 21 წელი შეუსრულდა, ძლიერ მეტოქესთან ძალის გამოცდის საშუალება მისცეს. მართალია, ორი პერიოდის განმავლობაში მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლო მესამედში ოტაველებმა პელეტიე და „მფრინავები" საკუთარი მაყურებლის თვალწინ შეარცხვინეს. კანადელთა კაპიტანმა ალექსეი იაშინმა ჰეთ-თრიქს ერთი პასიც მიუმატა და ერიკ ლინდროსთან დუელში დაამტკიცა, რომ მასზე ნაკლებ როდია სეზონის MVP-ს მოპოვების ღირსი. სტუმართაგან თავლაფდასხმულ მასპინძლებს კი, რომელთაც მატჩის შემდეგ ქომაგებმაც უსტვინეს, ერთი სული ჰქონდათ, როდის მიიმალებოდნენ გასახდელში. „ეს დროული გაკვეთილი იყო ჩვენთვის. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ახლა გაორმაგებული გარჯა გვმართებს" — ფილადელფიელთა ფორვარდი ჯონ ლეკლერი გუნებაზე აშკარად ვერ იყო.

**ტამპა — კოლორადო 2:1**

2:0 0:1 0:0

1:0 ჰოუგი 14'28(9); 2:0 ჰოუგი 18'52(10); 2:1 ფორსბერგი 24'57(22)

მასპინძლებმა თავიანთი ახალი მფლობელი უილიამ დავიდსონი ერთ-ერთი ფავორიტის დამარცხებით ძალიან გაახარეს, თუმცა კოლორადოელთა გასამართლებლად ისიც უნდა ითქვას, რომ წინა დღეს ფლორიდასთან გმირობის შემდეგ ძალაგამოცლილნი იყვნენ.

**აილენდერსი — დალასი 2:3**

1:1 1:1 0:0 0:1

0:1 რიდი 3'27(5); 1:1 პალფი 18'29(13); 2:1 პალფი 26'46(14); 2:2 მოდანო 37'05(25); 2:3 ნუინდაიკი 64'12(15)

**ვაშინგტონი — რეინჯერსი 2:4**

0:0 1:0 1:4

1:0 გონჩარი 35'39(16); 1:1 ნაბლი 42'00(12); 2:1 ბონდრა 49'03(30); 2:2 ნაბლი 55'31(13); 2:3 გრეივსი 56'28(31); 2:4 სუნდსტრიომი 57'28(11)

ნიუ იორკში უკვე ალაპარაკდნენ, იქნებ სჯობს, უეინ გრეცკი სათადარიგოთა შორის დარჩეს მას შემდეგ, რაც ტრავმას მოიშუშებსო. ნჰლ-ის ნომერი პირველი ჰოკეისტის დაშავებამ რეინჯერსს ბევრი ვერაფერი დააკლო — ის კი არა, გაირკვა, რომ გუნდს გაზრდილი ჰოკეის თამაში შეძლებია და დიდი ნებისყოფითა და შეუპოვრობითაც გამოირჩევა. ყოველ შემთხვევაში, გრეცკის არყოფნაში რეინჯერსმა 4 მატჩში 7 ქულა დააგროვა და ახლაც, ვაშინგტონელთა წინააღმდეგობა ბოლო წუთებში დაძლია.

**ლოს ანჯელესი — ნეშვილი 3:4**

0:1 1:3 2:0

0:1 სლეინი 8'34(2); 0:2 ბორდელო 27'18(9); 0:3 ბორდელო 31'27(10); 1:3 ოდეტი 34'11(13); 1:4 ჩელბერგი 35'06(11); 2:4 გელი 46'45(4); 3:4 კ. ჯონსონი 52'58(6)

**სენტ ლუისი — ტორონტო 0:4**

0:1 0:3 0:0

0:1 სალივანი 11'03(13); 0:2 სუნდინი 22'13(23); 0:3 ბოჰონოსი 25'58(1); 0:4 ვოლკი 38'29(7)

საოცარი ამბები ხდება წლეულს ნჰლში! ზედიზედ მეორედ ამ სეზონში (პირველი, სან ხოსე — დალასის 4 ნოემბრის მატჩი იყო, კალიფორნიელებმა 4:0 რომ მოიგეს) გამარჯვებულ გუნდს დამაჯერებელი მოგებისთვის სულ 9(!) დარტყმა ჰყოფნის. 34-ე წუთისთვის სტუმრებმა ხუთად ხუთჯერ დაარტყეს და აქედან სამჯერ გოლი გაიტანეს. 9 დარტყმა ტორონტოელთა ახალი ანტირეკორდია (მანამდე 11 იყო და იგი 1956 წელს „დამყარდა"), თუმცა კანადელთა მწვრთნელმა პეტ ქუინმა ირონიულად თქვა, კარს უკან მჯდომ დარტყმების დამთვლელს ვურჩევდი, უფრო ყურადღებით იყოსო.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 61 | 35 | 8 | 18 | 179:130 | 78 |
| ნიუ ჯერსი | 62 | 34 | 8 | 20 | 186:156 | 76 |
| კაროლინა | 63 | 28 | 12 | 23 | 162:155 | 68 |
| ტორონტო | 62 | 35 | 5 | 22 | 200:181 | 75 |
| ფილადელფია | 62 | 30 | 13 | 19 | 188:14 | 73 |
| პიტსბურგი | 60 | 32 | 8 | 20 | 191:167 | 72 |
| ბუფალო | 61 | 28 | 12 | 21 | 166:137 | 68 |
| ბოსტონი | 61 | 26 | 10 | 25 | 158:144 | 62 |
| რეინჯერსი | 62 | 26 | 8 | 28 | 175:174 | 60 |
| ფლორიდა | 61 | 22 | 16 | 23 | 158:166 | 60 |
| მონრეალი | 63 | 25 | 9 | 29 | 152:163 | 59 |
| ვაშინგტონი | 62 | 26 | 5 | 31 | 163:165 | 57 |
| აილენდერსი | 63 | 19 | 7 | 37 | 147:190 | 45 |
| ტამპა | 61 | 14 | 5 | 42 | 127:220 | 33 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 60 | 39 | 10 | 11 | 176:120 | 88 |
| კოლორადო | 63 | 31 | 8 | 24 | 174:158 | 70 |
| დეტროიტი | 62 | 31 | 6 | 25 | 183:158 | 68 |
| ფინიქსი | 61 | 30 | 10 | 21 | 151:139 | 70 |
| ანაჰაიმი | 62 | 28 | 9 | 25 | 166:151 | 65 |
| სენტ ლუისი | 61 | 26 | 10 | 25 | 170:156 | 62 |
| ედმონტონი | 62 | 25 | 9 | 28 | 173:162 | 59 |
| სან ხოსე | 63 | 22 | 14 | 27 | 142:148 | 58 |
| კალგარი | 61 | 21 | 10 | 30 | 156:176 | 52 |
| ლოს ანჯელესი | 63 | 23 | 5 | 35 | 144:168 | 51 |
| ნეშვილი | 62 | 22 | 6 | 34 | 146:201 | 50 |
| ვანკუვერი | 62 | 19 | 9 | 34 | 151:193 | 47 |
| ჩიკაგო | 62 | 17 | 8 | 37 | 136:196 | 42 |

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან.

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 94(29+65); ლინდროსი (ფილადელფია) 86(36+50); სელიანე (ანაჰაიმი) 79(38+41); ლეკლერი (ფილადელფია) 79(38+41); კარია (ანაჰაიმი) 78(27+51); ფორსბერგი (კოლორადო) 76(22+54); იაშინი (ოტავა) 71(32+39); ფლერი 70(31+39); საკიკი (კოლორადო) 68(29+39); მოდანო (დალასი) 67(25+42); სტრაკა (პიტსბურგი) 64(30+34); სუნდინი (ტორონტო) 64(23+41).*



REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონელი კალე იუჰანსონი რეინჯერსელ მარკ სავარს მართლაც რომ თავზე წამოაჯდა



## თვის ახალბედა - ვენსან ლეკავალიე (ტამპა)

ტამპა რომ თავის ქომაგებს ლამის თვეში ერთხელ აზარებს (26 თებერვალს ფილადელფიასთან მოგებამდე 10-მატჩიანი უილბლო სერია ჩაატარა), ყველამ იცის და ამ ფაქტს გულშემატკივრებიც შეეგუვნენ. ერთადერთი, რაც მათ გულს ეფონება, ვენსან ლეკავალიეს კარგი თამაშია. 18 წლის ვუნდერკინდი სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს ნჰლ-ში და ბოლო მატჩებში ერთადერთი ტამპელი იყო, ვინც მწვრთნელთა კრიტიკა არ დაიმსახურა. 22 თებერვალს ლეკავალიემ კარიერაში პირველად დუბლი შეასრულა, იმ თვის 11 მატჩში დაგროვებული 4 გოლითა და 3 პასით კლუბის მესამე ბომბარდირი გახდა და დამსახურებულად მოიპოვა თვის ახალბედის წოდება. მართალია, პიტსბურგელი იან ჰრდინა (2+9 14 შეხვედრაში) და სანხოსელი ალექსანდრ კოროლიუკი (5+4 14 მატჩში) უფრო მაღალი შედეგიანობით გამოირჩნენ, მაგრამ ვენსანის ასაკიც ხომ გასათვალისწინებელია — მისი კბილა ლიგაში მხოლოდ „რეინჯერი" მენი მალჰოტრაა.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXI ტური

**დუისბურგი 4:1 ჰანზა**

1:0, 2:0, 3:0 ბაიერლე (32, 34, 43), 4:0 ბუგერა (66), 4:1 ბრაიტკროიცი (87)

**ნიურნბერგი 3:0 შალკე**

1:0 კუკა (36), 2:0 ჩირიჩი (45), 3:0 კუკა (60)

### მეორე ბუნდესლიგა

XXI ტური

**ობერჰაუზენი 0:2 ფიურტი**

**კოტბუსი 2:0 ვატენშაიდი**

**ჰანოვერი 0:1 უნტერჰახინგი**

## ჰოლანდია

**როდა 1:3 ეინდჰოვენი**

0:1, 0:2 ნილისი (29, 51), 0:3 ბრუგინკი (78), 1:3 პეეტერსი (85)

## ბელგია

XXV ტური

**სტანდარდი 2:0 მუსკრონი**

1:0 მ. მპენზა, 2:0 ე. მპენზა

## თურქეთი

XXIII ტური

**ტრაბზონი 3:1 ერზურუმი**

## ავსტრია

XXI ტური

**ლინცერი 0:0 გრაცერი**

## საფრანგეთი

ლიგის თასის მეოთხედფინალი

**ოსერი 0:1 სოშო**

# ცამეტი კაცი დაჯდება

აკაპულკოს პოლიციამ მექსიკის საფეხბურთო ნაკრების მეკარეს, ხორხე კამპოსის მამის, ალვარო კამპოსის ამასწინანდელ გატაცებაში ეჭვმიტანილი 4 კაცი დააპატიმრა. პოლიციელ მახვშთა განცხადებით, მათ მალე კიდევ 9 დამნაშავესაც მიამატებენ... ამ ცამეტკაციანმა ბანდამ მექსიკელთა მეკარეს საყვარელი მამის სანაცვლოდ ჯერ 2 მილიონი დოლარი მოსთხოვა, მაგრამ შემდეგ, რალაც გაურკვეველი მიზეზების გამო, ნიხრს მაგრად მოუკლო და მხოლოდ 63 ათას დოლარს დასჯერდა.




REUTERS ბარსელონიდან

იოჰან კრუიფი ბარსელონაში პატივით ბრუნდება — 10 მარტს მას მიეძღვნება მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებისა და „ბარსას" ახლანდელი შემადგენლობის შეხვედრა, რომელსაც კატალონიელი ფეხბურთელები იმ მაისურებით ჩაატარებენ, თავად დიდ ჰოლანდიელს რომ გამოუტანია სამსჯავროზე



REUTERS ბომბეიდან

# მადლი ჰქენი...

*დედის დღე გამივია, ბავშვების დღე გამივია, კოსმონავტის დღეც გამივია, მაგრამ ეს კიბოსგან გადარჩენილთა დღე რაღაა კაცო. აი, სწორედ ამ დღესასწაულზე (?) სახელმოხვეჭილმა ინდოელმა მოკრიკეტეებმა ზემოხსენებული დაავადებით ავადმყოფი 15 ღლაპი ბომბეიში მოედანზე გაიხმეს და ფრიად პოპულარული თამაშის ანაბანას ათვისებაში დაეხმარნენ. სურათზე კი 10 წლის დურგანანდ კასვანს ეროვნული ნაკრების წევრი ვინოდ კაბლი ტაფელის მარჯვედ ცემის საიდუმლოებას აზიარებს.*

# იარშიყეთ, სანამ დროა

დაძაბული სეზონის წინ რა სჯობს ცოტაოდენ გართობას, გვერდზე გახედვას და მზეთუნახავ ასულთან... თუნდაც მხოლოდ გასაუბრებას. მზიან მელბურნში უილიამსის პილოტები რალფ შუმახერი (მარცხნივ) და ალექს ძანარდიც ადგილობრივ მოდელ ჯოდი მირზს ემუსაიფებიან, ეს ახალი საბურავებიო, ეს კვალიფიკაციაო, ეს საცურაო კოსტიუმიო, იქნებ თავისუფალი დროო. ვინ იცის...



REUTERS მელბურნიდან

# ეგ ბებიაშენს მოუყევი!

არგენტინული საფეხბურთო კლუბ „რასინგის" პრეზიდენტ დანიელ ლალინს გუშინ მაგრად არ გაუმართლა. სწორედ იმ დროს, როდესაც იგი ჟურნალისტებს კლუბის დუხჭირ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ესაუბრებოდა და — ამის გამო აწი პირველ ლიგაში ველარ ვითამაშებთო — ამბობდა, ერთმა ამძუვნებულმა გულშემატკივარმა, შეძახილით: „ეგ ზღაპარი ბებიაშენს მოუყევიო", მას თავზე ვეება დოლ-გარმონი დაახურა...



REUTERS ბუენოს აირესიდან

მე-9 ტურმა ლინარესის სუპერტურნირის ცხრილში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა. კასპაროვმა ისევ მოიგო და თუ აქამდე ამას მხოლოდ შავი ფიგურებით ახერხებდა, ახლა თეთრებითაც ივარგა

## ანანდი ველარ გამოფხიზლდა

მისი რისხვა ამჯერად ისედაც დათარსულმა ივანჩუკმა იგემა, რომელმაც ლაზიერის გამბიტში ინიციატივა მეტოქეს დაუთმო და 36-ე სვლაზე ქულაც მას გადაულოცა. ახლა კასპაროვს 9 შესაძლებლიდან 7 ქულა აქვს და ტურიდან ტურამდე გამარჯვებას იახლოებს. მისი უახლოესი მდევარი კრამნიკი გახდა, რომელიც მე-9 ტურში სვიდლერს ეთამაშა და კომბინაციურ სტილში მოუგო. კრამნიკმა მეტოქეს პაიკი შესწირა, რის სანაცვლოდაც ცენტრალურ ვერტიკალებზე მძლავრი შემტევი დაჯგუფება მიიღო და ხსენებული უპირატესობიდან მატერიალური ანაზღაურების მოპოვებაც არ დაუყოვნებია. ორიოდე გაცვლითი კომბინაციის შემდეგ, 33-ე სვლაზე სვიდლერი დანებდა. კრამნიკს 5,5 ქულა აქვს და ანანდსაც გაუსწრო. ვიში უკვე მე-8 პარტიაში დასჯერდა ყაიმს და საეჭვოა, ასეთმა მშვიდობისმოყვარეობამ სასურველი შედეგები მოუტანოს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29